საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

ი. გოგინაშვილი

# ნათესაობის სისტემა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში

## (მთიულეთი და გუდამაყარი)

თბილისი
„მეცნიერება"
1991

ნაშრომში განხილულია ნათესაობის სისტემის თავისებურებანი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (მთიულეთი და გუდამაყარი). კომპონენტური ანალიზის მეშვეობით გამოვლენილია ტერმინოლოგიის სტრუქტურული ნიშნები; დადგენილია ნათესავებს შორის არსებული სოციალური ურთიერთობების, ნათესაური გაერთიანებების ხასიათი; გამოვლენილია ტერმინოლოგიის წარმომქმნელი სოციალური საფუძვლები. წერილობითი წყაროებისა და საენათმეცნიერო ლიტერატურის მონაცემების ანალიზის საფუძველზე განხილულია მთიულეთ გუდამაყარში გავრცელებული ნათესაობის აღმნიშვნელი ტერმინების წარმომავლობისა და მორფოლოგიური სტრუქტურის საკითხები.

ნაშრომში სათანადო ყურადღება ეთმობა თეორიულ საკითხებს. კრიტიკულადაა შეფასებული ზოგად ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებები ნათესაობის სისტემის პრობლემატიკის ირგვლივ, რაც ზოგიერთი პრობლემის ახლებურად გაშუქების შესაძლებლობას იძლევა.

რედაქტორი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
ვ. ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი

რეცენზენტები - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
გ. ა კ ო ფ ა შ ვ ი ლ ი
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი
ი. კ ვ ი ც ი ა ნ ი

0503000000
გ ―――――――― 156 - 90
M 607(06)-91
ISBN 5 - 520 - 00724-1

© გამომცემლობა "მეცნიერება", 1991

## შესავალი

ნებისმიერი საზოგადოების სოციალური სტრუქტურის შესასწავლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნათესაობის სისტემის ანალიზს.

ნათესაობის სისტემების კვლევას საფუძველი დაუდო XIX საუკუნის დიდმა ამერიკელმა მეცნიერმა ლ. ჰ. მორგანმა, რომელმაც ჩატარებული კვლევის შედეგები განაზოგადა თავის მრავალმხრივ საყურადღებო და უნიკალურ ნაშრომში "ძველი საზოგადოება". ამის შემდეგ მთელი მსოფლიოს მეცნიერები აქტიურად შეუდგნენ ნათესაობის სისტემის პრობლემატიკის დამუშავებას სხვადასხვა ხალხების ყოფის ამსახველი ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე და დიდ წარმატებასაც მიაღწიეს ამ მიმართულებით. სულ მალე ეს საკითხი მსოფლიო ანთროპოლოგიური მეცნიერების ცენტრალურ თემად იქცა.

ნათესაობის სისტემის რაობის შესახებ ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში არსებობს აზრთა სხვადასხვაობა.

ინგლისელი ეთნოლოგის ა. რ. რედკლიფ-ბრაუნის მიხედვით, ნათესაობის სისტემაში იგულისხმება სოციალური ურთიერთობების ბადე, რომელიც ქმნის სოციალური სტრუქტურის ნაწილს... ნათესაობის ნომენკლატურა არის ნათესაობის სისტემის არსებითი ნაწილი [2. 68, გვ. 53, 61]. ი. ვინიკოვის განსაზღვრებით, ნათესაობის სისტემა არის ტერმინების ერთობლიობა, რომლებითაც აღინიშნება საზოგადოებაში არსებული ნათესაური ურთიერთობები [2. 40, გვ. 3]. ვ. პოპოვის აზრით, ნათესაობის სისტემა წარმოადგენს სოციალური ნათესაობის ურთიერთობების სისტემას, ნათესაობის ტერმინების სისტემა კი არის რეალური ნათესაური ურთიერთობების ეგოცენტრული გამოხატულება [3. 120, გვ. 51], ნ. გირენკოს თვალსაზრისის მიხედვით, ნათესაობის ტერმინების სისტემა არის ბუნებრივ-ისტორიული განვითარების პროცესში წარმოშობილი სისტემა, რადგანაც მის უკან დგას კვლავწარმოქმნილი, ისტორიულად განპირობებული სოციალური ურთიერთობების სისტემა [3. 58, გვ. 35].

როგორც ვხედავთ, ყველა განმარტებაში სისტემის შემადგენელ ნაწილებად ფიგურირებენ ნათესაობის ტერმინოლოგია და ნათესაური ურთიერთობები. ცხადია, რომ სისტემის განსაზღვრებაში აუცილებელია ამ ორ მოვლენას შორის არსებული გენეტიკური კავშირის ჩვენება, ამიტომაც ყველაზე ზუსტად გვესახება ი. სემიონოვის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც

სისტემა წარმოადგენს ნათესაობის ტერმინების სისტემასა და რეალური ნათესაური ურთიერთობების სისტემას, ერთად აღებულს [2.57, გვ. 16].

ნათესაობის სისტემის კვლევა იწყება ტერმინოლოგიის შესწავლით. ქართველი ენათმეცნიერის ე. სოსელიას აზრით, ნათესაობის ტერმინი არის სიტყვა, ან სიტყვათა ჯგუფი, რომლებიც აღნიშნავენ ნათესაურ ურთიერთობას და ამ ურთიერთობის წინამორბედ, ან ერთდროულად წინამორბედ და მომდევნო წევრებს [2.58, გვ. 6].

ნათესაობის ტერმინებს ახასიათებთ სხვადასხვა თავისებურებები.

ლ. მორგანმა თავის დროზე ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ ნათესაობის ტერმინები ძირითადად აღნიშნავენ ერთზე მეტ ნათესაურ ურთიერთობას და ასეთ ტერმინებს კლასიფიკატორული უწოდა. ამავე დროს, მორგანმა გამოავლინა ის ტერმინებიც, რომლებიც სისხლით ნათესავებს აღწერდნენ ან ნათესაობის ძირითადი ტერმინებით, ან მათი კომბინაციით. ასეთ ტერმინებს მან აღწერილობითი უწოდა [2. 53, გვ. 222].

პრობლემის შემდგომმა კვლევამ აჩვენა, რომ ასეთი დაყოფა არ იყო სწორი. კერძოდ, ამერიკელმა მეცნიერმა რ. ლოუიმ მიუთითა, რომ ტერმინ "კლასიფიკატორულის" დაპირისპირება ტერმინ "აღწერილობითთან" მიუღებელია, რადგან კლასიფიკატორული ტერმინი გულისხმობს ნათესავების აღნიშვნის მხოლობითობას, ან მრავლობითობას, ხოლო აღწერილობითი კი - მათი განსაზღვრის ტექნიკას [2. 66, გვ. 96][2].

საბჭოთა ეთნოგრაფიაში ძირითადად მიღებული თვალსაზრისის მიხედვით, კლასიფიკატორული ტერმინი აღნიშნავს ეგოს მიმართ სხვადასხვა ნათესაურ ურთიერთობაში მყოფ რამდენიმე ნათესავს [2. 51, გვ. 35; 3. 105, $25_6$; 3. 112, გვ. 188-189; 3. 134, გვ. 231]. ბუნებრივია, რომ ინდივიდუალური ტერმინი აღნიშნავს ერთ ნათესაურ ურთიერთობას[3].

ნათესაობის ტერმინები დიფერენცირდება მორფოლოგიური სტრუქტურის მიხედვითაც. რ. ლოუიმ და ამერიკელმა ეთნოლოგმა ჯ. მერდოკმა გამოყვეს სამი ტიპის ტერმინები: ელემენტარული, შედგენილი და აღწერილობითი. ელემენტარული ტერმინები წარმოადგენენ დამოუკიდებელ სიტყვებს, რომლებიც არ გაიყოფა რაიმე მნიშვნელობის მქონე კომპონენტებად. შედგენილი ტერმინის საფუძველია ელემენტარული ტერმინი, განსაზღვრული ამა თუ იმ ლექსიკური ერთეულის მეშვეობით, რომელიც თავად არ წარმოადგენს ნათესაობის ტერმინს. აღწერილობით ტერმინს კი შეადგენს ატრიბუტული ურთიერთობებით დაკავშირებული ორი, ან მეტი ელემენტარული ტერმინი [2.51, გვ. 33-34].

ნათესაობის ტერმინები იყოფა რეფერენტულ, ანუ აღნიშვნის და ვოკატიურ, ანუ მიმართვის ტერმინებად. პირველი რიგის ტერმინოლოგია გამოიყენება ნათესავის აღსანიშნავად, მეორე რიგისა კი - ამ ნათესავისადმი მიმართვისას.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ შესაძლებელი ხდება განვსაზღვროთ

ნათესაობის ტერმინი: ესაა სიტყვა, ან სიტყვათა ჯგუფი, რომელიც გამოხატავს ერთ ან რამდენიმე ნათესაურ ურთიერთობას, გამოიყენება აღნიშვნისას, ან მიმართვისას და მორფოლოგიური თვალსაზრისით არის ელემენტარული, შედგენილი, ან აღწერილობითი.

ნათესაობის ტერმინოლოგიის სრულყოფილად შესასწავლად საჭიროა მისი სწორი მეთოდოლოგიური პრინციპებით ჩაწერა.

ლ. მორგანი მასალას აფიქსირებდა სპეციალური ანკეტების მეშვეობით. მათში ჩამოწერილი იყო სხვადასხვა ტიპის ნათესაური ურთიერთობები, რომელთა გვერდითაც ინფორმატორებს ნათესაობის შესაბამისი ტერმინი უნდა მიეწერათ. შემდგომმა კვლევა-ძიებამ გამოავლინა ამ მეთოდის ნაკლი. აღმოჩნდა, რომ მორგანი ხშირად ქმნიდა ისეთ ნათესაურ ურთიერთობებს, რომლებიც არ ფუნქციონირებდნენ მოცემულ საზოგადოებაში [2.51, გვ. 20; 3.96, გვ. 52; 3.100, გვ. 160-161].

უფრო პროგრესული გამოდგა ინგლისელი ანთროპოლოგის უ. რივერსის მიერ შემოთავაზებული გენეალოგიური მეთოდი, რომლის მიხედვითაც აღირიცხებოდა ინფორმატორის ყველა ფაქტიური ნათესავი და დგინდებოდა, თუ რას უწოდებდა ინფორმატორი მათ და ისინი - მას [3.64, გვ. 87].

ტერმინოლოგიის ჩაწერის შემდეგ იწყება მისი თავისებურებების გამოვლენა.

ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, ნათესაობის ნომენკლატურა არის მექანიზმი, რომლის საშუალებითაც მჟღავნდება სოციალური დიფერენციაცია ნათესავებს შორის [3.157, გვ. 212]. მისი ანალიზისას დიდი ხნის მანძილზე ეთნოგრაფები ცალკეული ტერმინების ერთმანეთისაგან იზოლირებულად კვლევით იფარგლებოდნენ [3.137, გვ. 144-146]. მდგომარეობა შეიცვალა ჩვენი საუკუნის 50-იან წლებში, როდესაც აშშ-ში სტრუქტურული ლინგვისტიკის მიღწევების საფუძველზე უ. გუდენაფისა და ფ. ლაუნსბერის მიერ ჩამოყალიბდა ტერმინოლოგიების კვლევის ახალი მეთოდი - კომპონენტური ანალიზი [3.167; 3.192].

კომპონენტური ანალიზი საშუალებას იძლევა გამოვავლინოთ მთელი ტერმინოლოგიის სტრუქტურის წარმომქმნელი პრინციპები, რის შედეგადაც შესაძლებელი ხდება ნათესაობის ნომენკლატურის გამომწვევი სოციალური ინსტიტუტების დადგენა[4].

კომპონენტურ ანალიზს თავიდანვე მრავალი მიმდევარი გამოუჩნდა და აღზათ, ამან გამოიწვია ანალიზის პრინციპების განსხვავებული გაგება სხვადასხვა ეთნოგრაფთა მიერ. კერძოდ, ამერიკელი ეთნოლოგების ე. უოლესისა და ჯ. ეტკინსის მიერ წარმოებული ინგლისური ტერმინოლოგიის კომპონენტური ანალიზი და მისი შედეგები განსხვავდება სხვა ამერიკელი მეცნიერების - ა. ქ. რომნისა და რ. გ. დ'ანდრადეს - მიერ ჩატარებული იგივე მასალის ანალიზისა და მისი შედეგებისაგან. თანამედროვე ამერიკულ

ანთროპოლოგიაში ანალიზის წარმოების ამ ორი პრინციპის შესადარებლად გამოყენებულია სტატისტიკური ტექნიკა [3.197].

საბჭოთა ეთნოგრაფებმა კომპონენტური მეთოდით სარგებლობა დაიწყეს 60-იან წლებში [3.49]. განსაკუთრებით ფართოდ ის გამოყენებულ იქნა მ. კრიუკოვის ნაშრომში "ჩინელების ნათესაობის სისტემა" [2.51].

ტერმინოლოგიის თავისებურებების დადგენის შემდეგ იწყება ნათესავებს შორის არსებული სოციალური ურთიერთობების ანალიზი.

თავდ ნათესაობა იყოფა ორ ძირითად კატეგორიად. ესენია: სისხლით ნათესაობა და მოკეთეობრივი ნათესაობა. გარდა ამისა, მიღებულია ისეთი ნათესაობის გამოყოფაც, რომელიც არ მიეკუთვნება არც ერთ ხსენებულ კატეგორიას. ის დაკავშირებულია ბავშვების დაბადებასა და გაზრდასთან, დაძმობილებასთან, შვილად აყვანასთან და ა. შ. [4.5, გვ. 9]. ზოგიერთი ავტორი ასეთ ნათესაობას უწოდებს ფიქტიურ ნათესაობას [2.45, გვ. 311; 3.205, გვ. 66], ზოგი მკვლევარი კი - ხელოვნურ ნათესაობას [2. 13, გვ.23].

ნათესაური ურთიერთობების ანალიზის შედეგად ვლინდება ნათესავებს შორის არსებული დიფერენციაცია უფლებრივ-ქონებრივ ასპექტში, ნათესავთა გამაერთიანებელი კოლექტივების ხასიათი. ყოველივე ამის შემდეგ, საზოგადოებაში არსებული ქორწინების ფორმების გათვალისწინებით, იქმნება ტერმინოლოგიური თავისებურებების გამომწვევი სოციალური ინსტიტუტების გამოვლენის შესაძლებლობა, რაც ნათესაობის სისტემების კვლევის ძირითად მიზანს შეადგენს.

ნათესაობის სისტემის სხვადასხვა პრობლემების კვლევა საქართველოში დაიწყო რ. ხარაძემ [3.33, 3.34, 3.35]. გარკვეული წვლილი ამ საქმეში შეიტანა ლენინგრადელმა ეთნოგრაფმა ლ. პანეკმა [3.109, 3.111, 113]. საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში გავრცელებული ნათესაობის სისტემების თავისებურებები შეისწავლეს: ვ. ბარდაველიძემ [3.2], ა. რობაქიძემ [3.30], ვ. ითონიშვილმა [2.11], ი. ჭყონიამ [2.32], მ. კანდელაკმა [2.43], ზ. ნანობაშვილმა [4.3], ნ. ჯავახაძემ [3.37], ი. გოგინაშვილმა [3.9, 3.10, 3.11] და სხვებმა, ხოლო ფერეიდნელ ქართველებში არსებული ნათესაობის სისტემის ზოგიერთი ნიშანი გამოიკვლია გ. გოცირიძემ [2.5].

საქართველოს არც ერთი კუთხის ნათესაობის სისტემა, აჭარის გარდა, [4.9], არ შესწავლილა მონოგრაფიულად. სწორედ ამ ხარვეზის გარკვეულად შევსებას ისახავს მიზნად წინამდებარე ნაშრომი.

მთიულეთი და გუდამაყარი შეადგენენ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ნაწილს. მთიულეთი ლოკალიზებულია მდინარე თეთრი არაგვის ხეობაში, დაბა ფასანაურს (ან სოფ. ქავთარაანს) და ჯვრის უღელტეხილს (აგრეთვე ლუდის ხევის სათავეში აღმართული ნეფისკალოს მთის) შორის,

გუდამაყარი კი შავი არაგვის ხეობას მოიცავს და აღმოსავლეთიდან ემიჯნება მთიულეთს [2.15, გვ. 81-82; 4.1, გვ. 12-13].

მთიულეთისა და გუდამაყრის ეთნოგრაფიული ყოფის თავისებურებებს შეეხო XVIII ს. ცნობილი მეცნიერი ვახუშტი ბაგრატიონი [2.8]. XIX ს. ქართველმა ეთნოგრაფმა ნ. ხიზანაშვილმა შეისწავლა გიორგი ბრწყინვალეს მიერ XIV ს. შედგენილი კანონმდებლობა "ძეგლის დადება" [2.35, გვ. 10-14], რომლის მოქმედება ვრცელდებოდა მთიულეთ-გუდამაყარზედაც. აქვე მივუთითებთ, რომ "ძეგლის დადების" სრული სახით გააზრება მოცემულ იქნა მომდევნო პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის მიერ [2.6; 2.37, გვ. 94-102; 4.1 და სხვ.].

კვლევამ განსაკუთრებით ინტენსიური ხასიათი მიიღო XX ს. ამ საქმეში დიდი როლი ითამაშა ს. მაკალათიას ნაშრომმა "მთიულეთი" [2.18]. აღსანიშნავია, აგრეთვე, უკვე დასახელებული ლ. პანეკის ღვაწლი, რომელმაც რიგი ნაშრომებისა მიუძღვნა მთიულეთ-გუდამაყრის საზოგადოებრივი სტრუქტურისა და საცხოვრებელი ნაგებობების თავისებურებებს [3.109, 3.110]. 1955 წ. დაიბეჭდა ი. ჭყონიას მონოგრაფია "ქორწინების ინსტიტუტი მთიულეთში", ხოლო 1965 წ. გამოვიდა რ. ხარაძისა და ა. რობაქიძის მონოგრაფია "მთიულეთის სოფელი ძველად" [2.34]. ამ ნაშრომში მოცემულ იქნა საკვლევი კუთხეების სოციალური სტუქტურისათვის დამახასიათებელი რიგი თავისებურებების, ტერიტორიული თემის გადმონაშთების გააზრება. 1971 წ. გამოიცა "კავკასიის ეთნოგრაფიული კრებულის" III ტომი, რომელიც მთლიანად მთიულეთ-გუდამაყარს მიეძღვნა. ამ კრებულში შესულ სტატიებში, სხვა საკითხებთან ერთად, გაშუქებულ იქნა საკვლევი კუთხეების სოციალური ცხოვრების ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემები, როგორიცაა სათკახო თემი, პატრონიმია, ნათესაობის სისტემისა და ქორწინების ზოგიერთი საკითხი.

1981-1986 წწ. მთიულეთ-გუდამაყარში ნაყოფიერად მუშაობდა ეთნოგრაფიული ექსპედიცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის პროფესორ ვ. ითონიშვილის ხელმძღვანელობით. ეს მუშაობა აისახა ექსპედიციის წევრთა მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომებში [3.13; 3.14; 3.20; 3.21; 3.22; 3.17; 2.15; 4.1].

როგორც ვხედავთ, მთიულეთისა და გუდამაყრის მოსახლეობის საზოგადოებრივ ყოფას რამდენიმე ნაშრომი მიეძღვნა. მიუხედავად იმისა, რომ თითქმის არც ერთ მათგანში არაა გამოკვლეული სპეციალურად ნათესაობის სისტემის თავისებურებანი, მათში მოიპოვება ჩვენთვის საინტერესო ეთნოგრაფიული მასალები და მოსაზრებები, რომელთა გათვალისწინებამაც გაგვიადვილა ზოგიერთი საკითხის გადაწყვეტა.

ჩვენ გამოვთქვამთ იმედს, რომ ნათესაობის სისტემის შესწავლა ხელს შეუწყობს მთიულეთ-გუდამაყრის საზოგადოებრივი ყოფის უკეთ გააზრებას.

### თ ა ვ ი   პ ი რ ვ ე ლ ი

# მთიულეთისა და გუდამაყრის ნათესაობის ტერმინოლოგიის კომპონენტური ანალიზი

## § 1. კომპონენტური ანალიზის თეორია

კომპონენტური ანალიზის ჩატარების უმთავრეს პირობას წარმოადგენს კომპონენტების შერჩევა. კომპონენტის რაობა კი მჭიდროდაა დაკავშირებული კატეგორიის ცნებასთან. ამიტომ თავდაპირველად უნდა განვსაზღვროთ კატეგორია.

ნათესაობის ნებისმიერი სისტემის კვლევისას ყურადღებას იპყრობს რაიმე ნიშნის მიხედვით ნათესავების ერთმანეთისაგან დიფერენციაციის ფაქტი. ამერიკელმა ანთროპოლოგმა ა. კრიობერმა გამოავლინა ასეთი რვა ნიშანი, ანუ კატეგორია:

1. განსხვავება სხვადასხვა თაობის ნათესავებს შორის. 2. განსხვავება პირდაპირი და გვერდითი ხაზის ნათესაობას შორის. 3. განსხვავება ასაკში ერთი თაობის ნათესავებს შორის. 4. განსხვავება ნათესავის სქესში. 5. განსხვავება მოლაპარაკის სქესში. 6. განსხვავება დამაკავშირებელი ნათესავის[5] სქესში. 7. სისხლით ნათესავების განსხვავება მოკეთეებისაგან. 8. განსხვავება დამაკავშირებელი ნათესავის მდგომარეობაში (სიცოცხლე ან სიკვდილი, დაქორწინებულობა ან დაუქორწინებლობა), რომელზედაც არის დამოკიდებული ეგოს ურთიერთობა ალტერთან [3. 181, გვ. 78-79].

შემდგომი კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ შეიძლება არსებობდეს სხვა, ა. კრიობერის მიერ გამოუვლენელი კატეგორიებიც [2. 58, გვ. 29-32; 3. 49, გვ. 219-221; 3.146, გვ.73-76; 3.162, გვ. 279; 3.202, გვ. 185-186]. ამავე დროს, გვხვდება ისეთი ნომენკლატურებიც, რომელთა ანალიზისას საკმარისია კრიობერისეული რამდენიმე კატეგორია [3.72, გვ. 83; 3.153, გვ. 358-359]. ყოველივე ეს მკაფიოდ მიუთითებს კატეგორიების რაოდენობისა და რაობის დამოკიდებულებაზე კონკრეტული მასალის ხასიათზე.

ამრიგად, კატეგორია[6] არის ნათესავთა შორის განსხვავება რაიმე ნიშნის მიხედვით, კომპონენტი კი წარმოადგენს კატეგორიის ერთეულს[7] [3.153, გვ. 359; 3. 167, გვ. 205-210]. კომპონენტების შერჩევა რიგ შემთხვევებში დამოკიდებულია საკვლევი მასალის ხასიათზე. მაგალითად, ნათესაობის ზოგიერთ ნომენკლატურაში ტერმინოლოგიურად შეიძლება გამოხატული იყოს ხუთი თაობის ნათესაობა - მეორე აღმავალიდან მეორე დაღმავალ თაობამდე, ზოგან კი - შვიდი თაობისა - მესამე აღმავალიდან მესამე დაღმავალ თაობამდე. ბუნებრივია, რომ პირველ შემთხვევაში თაობის კომპონენტების რაოდენობა იქნება ხუთი, ხოლო მეორე შემთხვევაში - შვიდი.

ნათესაობის ტერმინების უმრავლესობა შეიცავს ერთზე მეტ ნათესაურ ურთიერთობას. ერთი ტერმინის ქვეშ გაერთიანებული ნათესავების ერთობლიობას ეწოდება ტერმინის დენოტატუმი, ხოლო ცალკე აღებულ ნათესაურ ურთიერთობას - დენოტატუმი [3. 192, გვ. 167-168]. ყოველ დენოტატუმში შემავალ სხვადასხვა ნათესაურ ურთიერთობებს აქვთ საერთო ნიშნები - კომპონენტები, რომლებიც შეადგენენ ტერმინის სიგნიფიკატუმს. კომპონენტური ანალიზის უშუალო მიზანია ტერმინთა სიგნიფიკატუმების დადგენა [3.192, გვ. 167; 3.215, გვ. 841-842], რის შედეგადაც შესაძლებელი ხდება მთელი ტერმინოლოგიის სტრუქტურისწარმომქმნელი პრინციპების, ანუ კატეგორიების გამოვლენა[8]

კომპონენტური ანალიზის წარმოების დღესდღეისობით ყველაზე დახვეწილი ტექნიკა ეკუთვნით ამერიკელ ანთროპოლოგებს ე. უოლესსა და ჯ. ეტკინსს. ისინი ანალიზს ხუთ საფეხურად ყოფენ:

1. რეფერენტული ტერმინების სრული კომპლექტის ჩამოწერა. 2. მათთვის შესაბამისი დენოტატუმების მიწერა. 3. იმ კატეგორიების შერჩევა, რომელთა კომპონენტებსაც აღნიშნავს ერთი ან მეტი ტერმინი. 4. ყოველი ტერმინის განსაზღვრა, როგორც კომპონენტების სპეციფიკური კომბინაციისა. 5. ტერმინებს შორის არსებული სემანტიკური ურთიერთობების გამოვლენა [3. 214, გვ. 352].

ვფიქრობთ, რომ ეს სქემა არაა სრულყოფილი. რამდენადაც კომპონენტი წარმოადგენს კატეგორიის ერთეულს, ყველა კატეგორიის შერჩევა შესაძლებელი გახდება ყველა ტერმინის სიგნიფიკატუმის გამოვლენის შემდეგ. ამიტომ ანალიზის მესამე საფეხურს წინ უნდა უსწრებდეს მეოთხე საფეხურად ნავარაუდები მოქმედება.

ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში არსებული ერთ-ერთი თვალსაზრისის მიხედ-ვით, კომპონენტური, ფორმალური ანალიზი მხოლოდ აღწერს ნათესაობის ნომენ-კლატურას და წარმოადგენს ზასრ იარაღს, რომელიც ეხმარება ეთნოგრაფს ძირითადი სამუშაოს ჩატარებაში [3. 137, გვ. 167; 3.140, გვ. 535; 3.194, გვ. 242; 3.217, გვ.149]. ამავე დროს, ზოგიერთ ნაშრომში გამოჩნდა კატეგორიებს და სოციალურ ინსტიტუტებს შორის კავშირის პოვნის

შესაძლებლობა [2.51, გვ. 269; 3.154; 3.156, გვ. 156-157]. ვფიქრობთ, რომ სწორედ ეს მომენტი წარმოადგენს ანალიზის ყველაზე დადებით მხარეს.

კომპონენტური ანალიზის წარმოება მჭიდროდაა დაკავშირებული ნათესაური ურთიერთობების ჩაწერის პრინციპებთან. ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში არსებობს სხვადასხვა ტიპის შემოკლებები, რომელთა შორისაა საბჭოთა მეცნიერის ს. ტოკარევის მიერ შემოთავაზებული ციფრობრივი კოდი [2.51, გვ. 17-18], ამერიკელი ანთროპოლოგების მიერ შემუშავებული ალგებრული კოდი [3. 176, გვ. 148] და ა. შ. ამ ბოლო დროს საბჭოთა ეთნოგრაფიაში გავრცელდა ი. ლევინის კოდი, მაგრამ მისი გამოყენება, ი. სემიონოვის სამართლიანი შენიშვნით, დიდ სიძნელეებს ქმნის წაკითხვის სირთულის გამო. ამიტომ ი. სემიონოვი გვთავაზობს ნიმუშად ავილოთ ბევრად უფრო სადა ინგლისურენოვანი კოდი [3.126, გვ. 169], რომელსაც შემდეგი შემოკლებები აქვს: მამა - F, დედა - M, ძმა - B, და - Z, ვაჟიშვილი - S, ქალიშვილი - D, შვილი - CH, ქმარი - H, ცოლი - W, მშობელი Pa [3.137, გვ. 152].

ამ სიმბოლოებისაგან შემდგარი ნათესაური ურთიერთობები იკითხება მარცხნიდან მარჯვნივ: FB არის მამის ძმა, MB - დედის ძმა და ა. შ. ჩვენს ნაშრომში გამოყენებულ იქნება სწორედ ეს კოდი[9]

## § 2 მთიულეთისა და გუდამაყრის სისხლით ნათესაობის ტერმინოლოგიის კომპონენტური ანალიზი

მთიულეთსა და გუდამაყარში, XIX-XX სს-ის მიჯნაზე არსებობდა შემდეგი ტიპის სისხლით ნათესაობის ტერმინოლოგია:

| ნათესაობის ტერმინები | შესაბამისი ნათესაური ურთიერთობები |
|---|---|
| 1. პაპა | PaF, PaFB |
| 2. ბებია | PaM, PaFBW |
| 3. მამა | F |
| 4. დედა | M |
| 5. ძმა | B |
| 6. და | Z |
| 7. ქალი | D |
| 8. შვილი | S |
| 9. ბიძა | FB, FFBS |

10. მამიდა FZ, FFBD
11. დედიძმა MB, MFBS
12. დედიდა MZ, MFBD
13. ბიძაშვილი FBCH, FFBSCH
14. მამიდაშვილი PZCH, FFBDCH
15. დედიძმიშვილი MBCH, MFBSCH
16. შინში MZCH, MFBDCH
17. ძმისწული BCH, FBSCH
18. დისწული ZCH, FBDCH
19. შინშიშვილი MZCHCH, MFBDCHCH
20. შვილიშვილი CHCH

შენიშვნა: 9-19 ნომრებით აღნიშნული ტერმინები ვრცელდება მსგავსი ფორმალური ნიშნების მქონე უფრო დაშორებულ ნათესავებსა და მოგვარეებზედაც. მაგალითად, "ბიძა" არის მამის თაობის მამრობითი სქესის უფრო დაშორებული აგნატი ნათესავი და მოგვარეც. 1-2 ტერმინები ვრცელდება მსგავსი ნიშნების მქონე ნათესავებზე [1.1].

კომპონენტური ანალიზის შედეგების საჩვენებლად აუცილებელია შემდეგი შემოკლებების შემოღება:

A - ნათესაობის ხასიათი: $A_1$-სისხლით ნათესაობა, $A_2$-მოკეთეობრივი ნათესაობა.

B აღტერის გვარი: $B_1$-ეგოს მამის გვარი, $B_2$-ეგოს დედის გვარი, $B_3$-"მესამე გვარი" (ამ ტერმინით აღვნიშნავთ ნებისმიერ გვარს, მშობლების გვარების გარდა).

C - აღტერის სქესი: $C_1$-მამრობითი სქესი, $C_2$-მდედრობითი სქესი.

D - აღტერის თაობა: $D_5$- +2 თაობა, $D_4$- +1 თაობა, $D_3$- 0, $D_2$- -1, $D_1$- -2 თაობა.

E აღტერის ხაზობრიობა: $E_1$-პირდაპირი ხაზის ნათესაობა, $E_2$-მხოლოდ პირველი რიგის გვერდითი ნათესაობა (იგულისხმებიან სიბლინგები, მათი შვილები და პირდაპირი ხაზის ნათესავების სიბლინგები), $E_3$-პირველი რიგისა და უფრო დაშორებული ხაზების გვერდითი ნათესაობა, $E_4$-მეორე რიგისა (იგულისხმებიან კუზენები მათი შთამომავლობით) და უფრო დაშორებული ხაზების გვერდითი ნათესაობა.

F - დამაკავშირებელი ნათესავის სქესი: $F_1$-მამრობითი სქესი, $F_2$-მდედრობითი სქესი.

G - შედარებითი ასაკი: $G_1$-შედარებითი ასაკის არსებითობა, $G_2$-არარსებითობა.

H ტერმინების გავრცელების არეალი: $H_1$-ინდივიდუალური ტერმინი, $H_2$-მხოლოდ ნათესავებზე გავრცელებული კლასიფიკატორული ტერმინი,

$H_3$-მოგვარეებზედაც გავრცელებული კლასიფიკატორული ტერმინი.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, თუ ტერმინის დენოტატუმები რომელიმე კატეგორიის ყველა კომპონენტს შეიცავენ, ამ კატეგორიის ამსახველი სიმბოლო ციფრობრივი ინდექსის გარეშე იქნება წარმოდგენილი; ხოლო კატეგორიის მხოლოდ რამდენიმე და არა ყველა კომპონენტის გამოსახატავად შესაბამისი კომპონენტების აღმნიშვნელი ინდექსები იქნება გამოყენებული.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ განხილული ტერმინოლოგიის კომპონენტური ანალიზის შედეგები ასეთ სახეს მიიღებს:

| | |
|---|---|
| 1. პაპა | $A_1 B_{1,2} C_1 D_5 EFG_2 H_2$ |
| 2. ბებია | $A_1 B_3 C_2 D_5 EFG_2 H_2$ |
| 3. მამა | $A_1 B_1 C_1 D_4 E_1 H_1$ |
| 4. დედა | $A_1 B_2 C_2 D_4 E_1 H_1$ |
| 5. ბიძა | $A_1 B_1 C_1 D_4 E_3 F_1 G_2 H_3$ |
| 6. მამიდა | $A_1 B_1 C_2 D_4 E_3 F_1 G_2 H_3$ |
| 7. დედიძმა | $A_1 B_2 C_1 D_4 E_3 F_2 G_2 H_3$ |
| 8. დედიდა | $A_1 B_2 C_2 D_4 E_3 F_2 G_2 H_3$ |
| 9. ძმა | $A_1 B_1 C_1 D_3 E_2 G_2 H_1$ |
| 10. და | $A_1 B_1 C_2 D_3 E_2 G_2 H_1$ |
| 11. ბიძაშვილი | $A_1 B_1 CD_3 E_4 F_1 G_2 H_3$ |
| 12. მამიდაშვილი | $A_1 B_3 CD_3 E_4 F_2 G_2 H_3$ |
| 13. დედიძმიშვილი | $A_1 B_2 CD_3 E_4 F_1 G_2 H_3$ |
| 14. შინში | $A_1 B_3 CD_3 E_4 F_2 G_2 H_3$ |
| 15. შვილი | $A_1 B_1 C_1 D_2 E_1 G_2 H_1$ |
| 16. ქალი | $A_1 B_1 C_2 D_2 E_1 G_2 H_1$ |
| 17. ძმისწული | $A_1 B_1 CD_2 E_3 F_1 G_2 H_3$ |
| 18. დისწული | $A_1 B_3 CD_2 E_3 F_2 G_2 H_3$ |
| 19. შინშიშვილი | $A_1 B_3 CD_2 E_4 FG_2 H_3$ |
| 20. შვილიშვილი | $A_1 B_{1,3} CD_1 E_1 FG_2 H_2$ |

კომპონენტური ანალიზის შემდეგ შესაძლებელი ხდება სისხლით ნათესაობის ტერმინოლოგიის შემდეგი სტრუქტურული ნიშნების გამოვლენა:

1. მკაფიოდაა დაცული ტერმინების დაყოფა თაობების მიხედვით. 2. ყოველ თაობაში, მეორე აღმავალის გარდა, პირდაპირი და გვერდითი ხაზების ნათესავები გამიჯნული არიან ერთმანეთისაგან. 3. ალტერების სქესობრივი დაყოფა სრულადაა დაცული აღმავალ თაობებში და ნაწილობრივ - ნულოვანსა და პირველ დაღმავალ თაობებში. ამ უკანასკნელ ორ თაობაში ნათესავები გაიმიჯნებიან დამაკავშირებელი ნათესავის სქესის მიხედვით. -2 თაობაში

ალტერისა და დამაკავშირებელი ნათესავის სქესი ნეიტრალურია. 4. +1, 0 და -1 თაობებში აგნატური ნათესაობა გამოყოფილია დედის მხრიდან ნათესაობისაგან. 5. ინდივიდუალური ტერმინები ვრცელდება მხოლოდ ინდივიდუალურ ოჯახში შემავალ უახლოეს ნათესავებზე. გვერდითი ნათესაობის ამსახველი ტერმინები კი ვრცელდება მსგავსი ფორმალური ნიშნების მქონე ნათესავებზე, მშობლების მოგვარეებზე და ქალი მოგვარეების შვილებზედაც. 6. კოლატერალური ნათესაობის სხვადასხვა ხაზები ძირითადად არ დიფერენცირდება ერთმანეთისაგან. გამონაკლისს წარმოადგენს 0 თაობაში პირველი ხარისხის გვერდითი ნათესაობის გამოყოფა მეორე ხარისხის კოლატერალური ნათესაობისაგან. 7. შედარებითი ასაკი არ აისახება ტერმინოლოგიაში. 8. ქალი ნათესავების შთამომავლობის აღმნიშვნელი ტერმინების ერთ-ერთი კომპონენტია "მესამე გვარი".

## § 3. მთიულეთისა და გუდამაყრის მოკეთეობრივი ტერმინოლოგიის კომპონენტური ანალიზი

| ნათესაობის ტერმინი | ნათესაური ურთიერთობები |
|---|---|
| 1. ცოლი | W |
| 2. ქმარი | H |
| 3. მამამთილი | HF, HFB |
| 4. დედამთილი | HM, HFBW |
| 5. მაზლი | HB, HFBS |
| 6. მული | HZ, HFBD |
| 7. მაზლისწული | HBCH, HFBSCH |
| 8. მულიშვილი | HZCH, HFBDCH |
| 9. სიძე | DH, ZH, FBDH, BDH, ZDH |
| 10. რძალი | SW, BW, FBSW, BSW, ZSW |
| 11. ძალუა | FBW, FFBSW |
| 12. სიმამრი | WF |
| 13. სიდედრი | WM |
| 14. ცოლისდა | WZ |
| 15. ცოლისძმა | WB |
| 16. ცოლის დისწული | WZCH |
| 17. ცოლის ძმისწული | WBCH |

შენიშვნა: 3-11 ნომრებით აღნიშნული ტერმინები ვრცელდება მსგავსი ფორმალური ნიშნების მქონე უფრო დაშორებულ მოკეთეებზედაც [1.1].

კომპონენტური ანალიზის შედეგების საჩვენებლად შემოგვაქვს შემდეგი შემოკლებები:

A - ნათესაობის ხასიათი: $A_1$-სისხლით ნათესაობა, $A_2$-მოკეთეობრივი.

B - ეგოს ალტერთან კავშირის ხასიათი: $B_1$-სისხლითნათესაური კავშირების არსებობა, $B_2$-არარსებობა.

C - ალტერის სქესი: $C_1$-მამრობითი სქესი, $C_2$-მდედრობითი.

D - მეუღლეთა სისხლით ნათესავები: $D_1$-ცოლის სისხლით ნათესავები, $D_2$-ქმრის სისხლით ნათესავები.

E - მეუღლის სისხლით ნათესავთა გვარი: $E_1$-მეუღლის გვარი, $E_2$-მეუღლის დედის გვარი, $E_3$-მეუღლის "მესამე გვარი".

F - ალტერის თაობა: $F_3$- +1, $F_2$-0, $F_1$- -1 თაობა.

G მეუღლის ნათესავთა ხაზობრიობა: $G_1$-პირდაპირი ხაზის ნათესაობა, $G_2$-მხოლოდ პირველი რიგის გვერდითი ნათესაობა, $G_3$-პირველი რიგისა და უფრო დაშორებული ხაზების კოლატერალური ნათესაობა.

H სისხლით ნათესავის მეუღლის გვარი: $H_1$-ეგოს მშობლების, ან ამ ნათესავის მშობლების გვარი, $H_2$-"მესამე გვარი".

I პირდაპირი და გვერდითი ხაზების სისხლით ნათესავთა მეუღლეები: $I_1$-პირდაპირი ხაზის ნათესავის, $I_2$-გვერდითი ნათესავის მეუღლე.

K - ტერმინის გავრცელების არეალი: $K_1$-ინდივიდუალური ტერმინი, $K_2$-მეუღლის სისხლით ნათესავებზე გავრცელებული კლასიფიკატორული ტერმინი, $K_3$-სისხლით ნათესავების მეუღლეებზე გავრცელებული კლასიფიკატორული ტერმინი.

ანალიზის შედეგები:

| | |
|---|---|
| 1. ცოლი | $B_2 C_2 E_3 F_2 K_1$ |
| 2. ქმარი | $B_2 C_1 E_3 F_2 K_1$ |
| 3. მამამთილი | $A_2 C_1 D_2 E_1 F_3 G_1 K_2$ |
| 4. დედამთილი | $A_2 C_2 D_2 E_{2,3} F_3 G_1 K_2$ |
| 5. მაზლი | $A_2 C_1 D_2 E_1 F_2 G_3 K_2$ |
| 6. მული | $A_2 C_2 D_2 E_1 F_2 G_3 K_2$ |
| 7. მაზლისწული | $A_2 C D_2 E_1 F_1 G_3 K_2$ |
| 8. მულიშვილი | $A_2 C D_2 E_3 F_1 G_3 K_2$ |
| 9. სიძე | $A_2 B_2 C_1 F_{2,1} H_2 I K_3$ |
| 10. რძალი | $A_2 B_2 C_2 F_{2,1} H_2 I K_3$ |
| 11. ძალუა | $A_2 B_2 C_2 F_3 H_2 I_2 K_3$ |
| 12. სიმამრი | $A_2 C_1 D_1 E_1 F_3 G_1 K_1$ |
| 13. სიდედრი | $A_2 C_2 D_1 E_2 F_3 G_1 K_1$ |
| 14. ცოლისდა | $A_2 C_2 D_1 E_1 F_2 G_2 K_1$ |

15. ცოლისძმა $A_2 C_1 D_1 E_1 F_2 G_2 K_1$

16. ცოლის დისწული $A_2 CD_1 E_3 F_1 G_2 K_1$

17. ცოლის ძმისწული $A_2 CD_1 E_1 F_1 G_2 K_1$

კომპონენტური ანალიზის შედეგად შესაძლებელი ხდება მოკეთეობრივი ტერმინოლოგიისათვის დამახასიათებელი შემდეგი თავისებურებების გამოვლენა:

1. მეუღლეებს აღნიშნავს ინდივიდუალური ტერმინები. 2. ძირითადად დაცულია ალტერების გამიჯვნა თაობრივი ნიშნის მიხედვით. გამონაკლისს წარმოადგენს ტერმინები - "სიძე" და "რძალი". 3. 0 და -1 თაობების სისხლით ნათესავების მეუღლეებს თითო ტერმინი აღნიშნავს. მათ შორის განსხვავება მხოლოდ სქესშია. 4. მეუღლეების და სისხლით ნათესავთა მეუღლეების აღმნიშვნელი ტერმინების სიგნიფიკატუმებში შედის კომპონენტი "სისხლითნათესაური კავშირების არარსებობა" 5. ქმრის სისხლით ნათესავებს აღნიშნავს კლასიფიკატორული ტერმინები, ხოლო ცოლისას - ინდივიდუალური.

მთიულეთისა და გუდამაყრის ნათესაობის ტერმინოლოგიის კომპონენტურმა ანალიზმა გამოავლინა მისთვის დამახასიათებელი უმნიშვნელოვანესი სტრუქტურული პრინციპი - სისხლით ნათესაობის სრული გამიჯვნა მოკეთეობრივისაგან.

ანალიზის დროს გამოირკვა, რომ საკვლევი რეგიონების ნათესაობის ტერმინოლოგიისათვის მეტ-ნაკლებად დამახასიათებელია ა. კრიობერის მიერ შემოთავაზებული შემდეგი კატეგორიები:

1. ალტერის სქესი. 2. დამაკავშირებელი ნათესავის სქესი. 3. ალტერის ხაზობრიობა. 4. ალტერის თაობა. 5. ნათესაობის ხასიათი.

გარდა ამისა, ტერმინოლოგიის სრული სახით დასახასიათებლად აუცილებელი გახდა ახალი კატეგორიების შემოტანაც. ესენია:

1. ალტერსა და ეგოს შორის კავშირის ხასიათი. 2. ალტერის გვარი. 3. მეუღლის სისხლით ნათესავთა გვარი. 4. მეუღლის სისხლით ნათესავთა ხაზობრიობა. 5. სისხლით ნათესავების მეუღლეთა გვარი. 6. პირდაპირი გვერდითი ხაზების სისხლით ნათესავთა მეუღლეები.

კომპონენტური ანალიზის დროს წარმოიქმნა ტერმინების გავრცელების არეალის გათვალისწინების საჭიროება, რაც მიუთითებს ანალიზის წარმოების ტექნიკისა და მოქმედების სფეროს მოდიფიცირების შესაძლებლობაზე.

ტერმინოლოგიის სტრუქტურული ნიშნების გამოვლენის შემდეგ საჭიროა ნათესავებს შორის არსებული სოციალური ურთიერთობებისა და ნათესაური გაერთიანებების ხასიათის შესწავლა. ამ პრობლემას ჩვენ მომდევნო თავში შევეხებით.

თ ა ვ ი   მ ე ო რ ე

## ნათესავებს შორის არსებული სოციალური ურთიერთობებისა და ნათესაური გაერთიანებების ხასიათი მთიულეთსა და გუდამაყარში

### § 1. გვარის განსაზღვრების პრობლემა ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში

საბჭოთა ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში ტერმინი "გვარი" ორი მნიშვნელობით იხმარება: ან იგულისხმება გენეალოგიური კოლექტივი, ერთი წინაპრის, მამაკაცის, ან ქალის ხაზით, შთამომავალი ყველა ნათესავის გაერთიანება, ან კიდევ იგულისხმება სტრუქტურა, რომელიც შეიცავს მოცემული ნათესაურ-სამეურნეო ჯგუფის ყველა წევრს [3.78, გვ. 85]. ამავე დროს, საკმაოდ ხშირად გვხვდება ისეთი ნაშრომები, რომლებშიც ტერმინი "გვარი" მოცემულია განმარტების გარეშე [2.9; 3.3; 3.9; 3.44; 3.52; 3.61; 3.71; 3.89; 3.115; 3.116; 3.121; 3.123; 3.129], რაც ართულებს მის ქვეშ ნაგულისხმევი სოციალური ორგანიზაციის გარკვევას.

უცხოურ ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში გვარი ძირითადად აღინიშნება ტერმინით "კლანი"[10]. ხშირია შემთხვევები, როდესაც ავტორები მას განმარტების გარეშე ხმარობენ [3.142; 3.174; 3.190; 3. 191], ზოგჯერ კი ამ ტერმინს გვარისაგან განსხვავებული მნიშვნელობაც ენიჭება [3. 201, გვ. $30_8$].

ყოველივე ეს გამოწვეულია იმით, რომ ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში არ არსებობს გვარის ერთიანი, ყველა მეცნიერისათვის მისაღები განმარტება. ამიტომაც ვცანით საჭიროდ ამ საკითხის განხილვა.

ლ. მორგანის განმარტებით, გვარი წარმოადგენს ერთი წინაპრის შთამომავალ იმ სისხლით ნათესავთა ერთობლიობას, რომლებიც გამოირჩევიან გვაროვნული სახელით და დაკავშირებულნი არიან სისხლით [2.53, გვ. 38]. ლ. მორგანი ჩამოთვლის გვარისთვის დამახასიათებელ ნიშნებს, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია გვარის შემადგენლობაში უცხო პირის მიღების უფლება და ეგზოგამიის წესები [2.53, გვ. 41, 128, 167][11].

XIX ს-ის რუსი მკვლევრის ფ. ი. ლეონტოვიჩის აზრით, გვარი არის ჩაკეტილი, სისხლით ნათესავების უცხოთათვის მიუწვდომელი კავშირი, რომლის

ერთიანობა დაფუძნებულია მისი ყველა წევრის წარმომავლობის ერთიანობაზე [3.40, გვ. 82-83].

რ. ლოუი თვლის, რომ გვარი (სიბი, ლოუის ტერმინოლოგიით) არის ნათესაური ჯგუფი, რომელიც გამორიცხავს ნათესავთა მამის მხარეს მატრონიმიულ და დედის მხარეს – პატრონიმიულ საზოგადოებებში. ის შეიცავს რამდენიმე სხვადასხვა ხაზის წარმომავლობას, რომლებიც მხოლოდ თეორიულად აღიქმება, როგორც ერთი ხაზი. ეს დამოკიდებულია ადოპციაზე, ცერემონიალური ერთეულების გაერთიანებაზე [2.66, გვ. 82-83].

საბჭოთა ეთნოგრაფის მ. კოსვენის აზრით, გვარი წარმოადგენს ერთი წინაპრიდან საერთო წარმომავლობის მქონე ნათესავების ერთობლიობას [2.50, გვ. 119]. მ. კრიუკოვის აზრით, ეს განმარტება სწორად გამოხატავს გვარის არსს, მაგრამ არასრულია, რადგანაც ამ სოციალური ინსტიტუტის რამდენიმე ძირეულ ნიშანზე არ მიუთითებს. მ. კრიუკოვი გვთავაზობს გვარის საკუთარ განმარტებას, რომლის მიხედვითაც გვარი არის საერთო გვაროვნული (ტოტემური) სახელის მატარებელი, ერთი წინაპრის შთამომავალი სისხლით ნათესავთა ეგზოგამიური კოლექტივი [3.88, გვ. 84]. გვარს სისხლით ნათესავთა ეგზოგამიურ კოლექტივს უწოდებს დ. ტუმარკინიც [3.133, გვ. 97].

დ. ოლდეროგეს აზრით, გვარი არის იმ პირთა ჯგუფი, ვინც თავის წარმომავლობას აითვლის კაცის, ან ქალის ხაზით ერთი სავარაუდო ან რეალური წინაპრისაგან. გვარს აქვს საერთო სახელი. მისი ერთიანობა იდეოლოგიის სფეროში თითქმის ყოველთვის გამოიხატება საერთო წეს ჩვეულებებში. გვარისთვის დამახასიათებელი ნიშანია ეგზოგამია [3.106, გვ. 9, $18_{11}$]. გვარის ეგზოგამიურ ხასიათს ხაზს უსვამს ნ. ბუტინოვიც [3.46, გვ. 181]. ი. მარეტინი გვარს სისხლით ნათესაობით დაკავშირებული პირების გაერთიანებად თვლის [3.95, გვ. 61]. მსგავსი აზრია გატარებული საქართველოს ისტორიის ნარკვევებში [2.27, გვ. 28].

საინტერესოა განვითარების სხვადასხვა სტადიაზე მყოფი გვარების შესახებ არსებული მოსაზრებები.

ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში ხშირად გვხვდება ისეთი ნაშრომები, რომლებშიც მოცემულია კონკრეტული საზოგადოების გვარის განმარტება ან აღწერა [3.50, გვ. 81; 3.51, გვ. 61; 3.59, გვ. 69-71; 3.150, გვ. 45-47; 3.196, გვ. 741-742; 3.209, გვ. 357], რაც არ წარმოაჩენს გვარის სტადიალურ თავისებურებებს. ამიტომ აქ ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ იმ ნაშრომებს, რომლებიც შეეხება განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მყოფ გვარებს.

ლ. მორგანის აზრით, გვარმა თავის განვითარებაში, არქაულიდან საბოლოო ფორმამდე, ორი ცვლილება განიცადა: ათვლის დედის ხაზიდან მამის ხაზზე გადასვლა და მემკვიდრეობითობის წესების შეცვლა ჯერ იყო

მოგვარეების მემკვიდრეობა, შემდეგ - აგნატი ნათესავებისა და ბოლოს მემკვიდრე გახდა შვილი [2.53, გვ. 39].

საბჭოთა ეთნოგრაფიაში ძირითადად გაბატონებული თვალსაზრისის მიხედვით, მატრიარქალური გვარი წარმოადგენს გვარის არქაულ ფორმას, რომელსაც განვითარების შედეგად ცვლის პატრიარქალური გვარი[12] [2.50; 3.101; 3.124], თუმცა არსებობს შეხედულებაც დედისა და მამის გვარების პრინციპიალური ტოლფასოვნების შესახებ [3.125, გვ. 57-58; 3.136].

ი. სემიონოვის მიხედვით, გვარი თავისი განვითარების ადრეულ სტადიაზე და გვარი კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბების პერიოდში არის თვისებრივად განსხვავებული მოვლენები, რომლებიც მსგავსია მხოლოდ ფორმით. პირველ ფაზაში ქორწინება იყო დისლოკალური[13], რის შედეგადაც გვარი სრულად ემთხვეოდა სამეურნეო კოლექტივს, მეორე ფაზაში კი წყვილადი უნილოკალური ქორწინების წარმოქმნის შედეგად საწარმოო კოლექტივის წევრები სხვადასხვა გვარების წარმომადგენლები გახდნენ და გვარი აღარ ემთხვეოდა სამეურნეო კოლექტივს [3.124, გვ. 81-87]. დედის გვარი არის ეგზოგამიური სამეურნეო კოლექტივი [3.125, გვ. 58], ხოლო მამის გვარის ნიშნებია: ეგზოგამია, პატრიხაზოვნება [3.125, გვ. 68].ი. დიაკონოვის აზრით, პატრიარქალური გვარი არის იმ პირთა ჯგუფი, რომლებიც დაკავშირებულები არიან ერთი წინაპრიდან მამის ხაზით საერთო წარმომავლობით, საერთო სახელით, საერთო კულტით და სამეურნეო-ორგანიზაციული კავშირებით [3.67, გვ. 76-77][14]

საყურადღებოა, რომ ჩვენს მიერ ციტირებულ თითქმის ყველა განმარტებაში გვარი მოხსენიებულია, როგორც სისხლით ნათესავთა გაერთიანება. ამავე დროს, ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში საკმაოდ უხვად გვხვდება მასალები, რომელთა მიხედვითაც, საჭიროების შემთხვევაში, გვარის შემადგენლობაში შეიძლებოდა შესულიყო სხვა პირი გვარის წევრების ყველა უფლება-მოვალეობის გაზიარების პირობით [2.53, გვ. 49; 2.54, გვ. 180-182; 3.35, გვ. 192]. ამიტომ გვარის განსაზღვრებისას აუცილებელია დაზუსტდეს, რომ საქმე გვაქვს ადამიანთა ისეთ გაერთიანებასთან, რომლის ძირითად ნაწილს შეადგენს ერთი წინაპრის რეალური შთამომავლების ერთობლიობა და რომელშიც პრინციპულად შესაძლებელია უცხო პირების მიღება[15]. ეს პირები, შთამომავლობასთან ერთად, გვარის რეალური წევრები ხდებიან გვარის ძირითად ნაწილთან სისხლიერი კავშირების არარსებობის მიუხედავად.

მეორე უმნიშვნელოვანეს თავისებურებას, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელია გვარის განსაზღვრებისას, წარმოადგენს ეგზოგამია. ჩვენს მიერ ციტირებულ ავტორთა ნაწილი გვარისთვის დამახასიათებელ ნიშნად მიიჩნევს ეგზოგამიას, სხვა ნაწილი კი გვარის განმარტებისას ეგზოგამიის ხსენებას თავს არიდებს[16] რამდენადაც ენდოგამიური გვარების არსებობა

სრულიად აშკარა ფაქტია, ვფიქრობთ, რომ ეგზოგამია არ წარმოადგენს გვარის უნივერსალურ ნიშანს.

მესამე ნიშანია საკუთრების ფორმები. მ. კოსვენის მიხედვით, კოლექტიური საკუთრება დამახასიათებელი იყო მხოლოდ დიდის გვარისთვის [2.50, გვ. 119]. ამიტომ საკუთრება არ წარმოადგენს გვარის უნივერსალურ ნიშანს.

მეოთხე თავისებურებას წარმოადგენს საკულტო ერთიანობა. ეთნოგრაფიული მასალებიდან ჩანს, რომ განვითარების გარკვეულ ეტაპზე გვარის საკულტო ერთიანობა ქრება. ასეთ სურათს ვხედავთ ქსნის ხეობის ქართულ მოსახლეობაში, სადაც გვარების უმრავლესობას აღარ ჰქონდა საკულტო სალოცავები [1.2].

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ შესაძლებელი ხდება გვარის შემდეგნაირი განსაზღვრების შემოთავაზება:

გვარი არის საერთო გვარსახელის მქონე ადამიანთა ისეთი კოლექტივი, რომლის გარკვეულ ნაწილს შეადგენს ერთი წინაპრის რეალური შთამომავლების ერთობლიობა და რომელშიც პრინციპულად შესაძლებელია უცხო პირების მიღება მათ და მათი შთამომავლობის მიერ გვარის წევრების ყველა უფლება-მოვალეობის გაზიარების პირობით. გვარის შემადგენლობა თავის წარმომავლობას აითვლის მამის ან დედის ხაზით. გვარის წევრები ერთმანეთის ნათესავებად შეიმეცნებენ თავს რეალური გენეალოგიური კავშირებისაგან დამოუკიდებლად.

მსგავსად განიმარტება პატრილინეური გვარი. იმ განსხვავებით, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვექნება წარმომავლობასთან მამის ხაზით.

ბუნებრივია, რომ მოცემული განსაზღვრებები გარკვეულად პირობითია და მომავალმა კვლევა-ძიებამ შეიძლება მათი კორექტირების აუცილებლობა წარმოშვას.

## § 2. გვარის თავისებურებები მთიულეთსა და გუდამაყარში

ტერმინ "გვარის" შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებობს აზრთა სხვადასხვაობა [2.1, გვ. 303; 2.2, გვ. 45; 2.37, გვ. 137; 3.1, გვ. 9-11; 3.29, გვ. 179], რაც დღესდღეობით არ იძლევა მისი ეტიმოლოგიის შესახებ დამაჯერებლად საუბრის საშუალებას.

გვარს მთიულეთსა და გუდამაყარში უწოდებენ საერთო გვარსახელის მქონე ადამიანთა გაერთიანებას, რომელიც გამოირჩევა გარკვეული საერთო ნიშნებითა და თავისებურებებით. ტერმინი საკმაოდ ტრადიციული ჩანს,

რაზედაც მიუთითებს "ძეგლის დადებაში" ტერმინ "გვარის" მოხსენიება [2.30, გვ. 403-421].

გვარის სოციალური მნიშვნელობის დასადგენად აუცილებელია მისი შემადგენლობის განსაზღვრა.

როგორც ეთნოგრაფიული მასალებიდან ჩანს, მთიულეთსა და გუდამაყარში არსებობდა პატრიხაზოვანი გვარი, რომლის ძირითად ნაწილს წარმოადგენდნენ ერთი წინაპრის მამამთავლები და რომელშიც შესაძლებელი იყო უცხო პირების შესვლა მათ მიერ გვარის წევრთა ყველა უფლება - მოვალეობის გაზიარების პირობით. შემადგენლობის მრავალგვაროვნებით განსაკუთრებით გამოირჩეოდა წიკლაურთა გვარი, რომლის შემადგენლობაშიც სხვადასხვა დროს შევიდნენ ხარხელაურების, ზუზუნაურების, ჭოჭოლაურების, თამნიაურების, თლოშიაურებისა და წითელაურების გვარების წარმომადგენლები [3.17, გვ. 94-96]. აქვე მივუთითებთ, რომ გვარში უცხო პირების მიღების ტრადიცია დამახასიათებელი იყო საქართველოს სხვა რეგიონებისთვისაც [2.11, გვ.23; 2.22, გვ. 96-97; 2.43; 3.21, გვ. 141; 3.22, გვ. 118; 3.35, გვ.192].

ეთნოგრაფიული მასალები და ლიტერატურის მონაცემები უჩვენებენ, რომ XIX-XX სს.-ის მიჯნაზე გვარს არ ჰქონდა საკუთრება [3.109, გვ. 77; 1.1], ხოლო მის წევრებს შორის არ არსებობდა რეალური საკუთრებრივ სამართლებრივი ურთიერთობები [1.1].

საინტერესო თავისებურებები ახასიათებდა გვართა განსახლების პრინციპებს. როგორც საინტერესო წყაროებიდან ჩანს, XVIII ს. - ის ბოლოს საკვლევი კუთხეების სოფლების დაახლოებით ნახევარი მონოგენური იყო. ზოგჯერ ერთი გვარის წევრები რამდენიმე სოფელში ცხოვრობდნენ [2.23, გვ. 428-472]. დაახლოებით ასეთივე მდგომარეობა შეიმჩნეოდა XX ს.-ის დასაწყისშიც. მონოგენური დასახლებები არსებობდა საქართველოს სხვა კუთხეებშიც [3.26, გვ.23].

როგორც ვხედავთ, გვარს XIX-XX სს.-ის მიჯნაზე არ ჰქონდა მნიშვნელობა სამეურნეო-ეკონომიკურ სფეროში, მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ მას არავითარი ფუნქციები არ გააჩნდა საკვლევი კუთხეების საზოგადოებრივ სტუქტურაში.

ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, მთიულეთსა და გუდამაყარში გვარის მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენდა ეგზოგამია. ეს მოვლენა, რომელიც დამახასიათებელი იყო საქართველოს სხვადასხვა კუთხეებისათვის [2.11, გვ. 53; 2.22, გვ. 162; 2.24, გვ. 7-9; 2.41, გვ. 22; 2.46, გვ. 106; 3.36, გვ.168; 4.6, გვ. 13-14; 4.10, გვ.17][17], განაპირობებდა გვარის დიდ როლს ქორწინების ორგანიზაციაში, რამდენადაც პოტენციალური მეუღლეების წრიდან ავტომატურად გამოირიცხებოდნენ მოგვარეები[18]. ეს ნიშანი მიუთითებს გვარის სოციალურ მნიშვნელობაზე თვით ქორწინების სოციალური ბუნების გამო.

გვარს გააჩნდა საკულტო ფუნქციაც. კერძოდ, ყოველ გვარს ჰქონდა სამლოცველო ხატი, რომლის ყმადაც ის ითვლებოდა. წლის განსაზღვრულ დროს გვარი ამ ხატში იყრიდა თავს და თავის გაძლიერება-გამრავლებაზე ლოცულობდა [2.18, გვ. 149]. საკუთარი ხატების არსებობა ხელს უწყობდა გვარის იდეოლოგიური ერთიანობის რწმენის შენარჩუნებას.

იდეოლოგიური ერთიანობის კიდევ ერთ გამოხატულებას წარმოადგენდა საერთო საგვარეულო სასაფლაოს არსებობა. ყველა შემთხვევაში, თუკი ეს შესაძლებელი იყო, გარდაცვლილს ასაფლავებდნენ მის საგვარეულო სასაფლაოზე.

როგორც ვხედავთ, გვარს მთიულეთსა და გუდამაყარში ჰქონდა გარკვეული მნიშვნელობა. ის წარმოადგენდა ერთი წინაპრის მამის ხაზით შთამომავალ პირთა გაერთიანებას, რომლის შემადგენლობაში პრინციპულად შესაძლებელი იყო უცხო პირების შესვლა მათ მიერ მოგვარის ყველა უფლება-მოვალეობის მიღების პირობით. ეს თავისებურება განაპირობებდა გვარის დემოკრატიულ ბუნებას და კარგად წარმოაჩენდა მისი შემადგენლობის ნათესაურ-სოციალურ ხასიათს.

გვარის წევრები ერთმანეთის ნათესავებად შეიმეცნებდნენ თავს რეალური გენეალოგიური კავშირებისაგან დამოუკიდებლად. გვარს ჰქონდა საკუთარი კულტი და საკუთარი სასაფლაო. ყოველივე ეს მიუთითებს გვარის იდეოლოგიურ სიმტკიცეზე, ხოლო ეგზოგამიის წესები კარგად წარმოაჩენს მის სოციალურ მნიშვნელობას.

გვარის საერთო საკუთრებისა და მის წევრებს შორის ყოველგვარი უფლებრივ-ქონებრივი ურთიერთობების არარსებობა განაპირობებდა იმ ფაქტს, რომ XIX-XX სს.-ის მიჯნაზე მთიულეთსა და გუდამაყარში ფუნქციონირებდა განვითარების ბოლო საფეხურზე მყოფი პატრიხაზოვანი გვარი.

### § 3. უახლოეს აგნატ ნათესავებს შორის არსებული სოციალური ურთიერთობების ხასიათი მთიულეთსა და გუდამაყარში

ა. მემკვიდრეობის წესები და ქონების გაყოფის პრინციპები. ოჯახის გაბატონებულ ფორმას მთიულეთსა და გუდამაყარში წარმოადგენდა ინდივიდუალური ოჯახი. მის გვერდით ფუნქციონირებდა დიდი ოჯახი, რომელიც შედგებოდა რამდენიმე საქორწინო წყვილისა და მათი შთამომავლებისაგან. ინდივიდუალური ოჯახი შეიცავდა ერთ საქორწინო წყვილს თავისი შთამომავლობით [2.13, გვ. 7-10].

მემკვიდრეობას პატრილატერალური ხასიათი ჰქონდა. მოწილეების[19] უფლება კუთვნილ წილზე ხორციელდებოდა მხოლოდ ოჯახის გაყრის შემთხვევაში[20]. ქონება იყოფა თანაბრად მათ შორის. ზოგჯერ ოჯახის

უფროსს დამატებით ეძლეოდა ე. წ. "საუფროსო", რომელშიც შედიოდა ერთი ხარი, ან ერთი ცხენი, ან საარყე – სალუდე ქვაბი. "საუფროსოს" გაცემა არ იყო სავალდებულო. მას ძირითადად იღებდნენ ოჯახის ისეთი უფროსები, რომლებიც განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ თავს ოჯახის სამეურნეო საქმიანობის უნარიანი ხელმძღვანელობით. "საუფროსოს" გამოყოფის აღნიშნული წესი არსებითად განსხვავდებოდა მაიორატის პრინციპისაგან, რომელიც გულისხმობდა ქონებაზე უფროსი ვაჟიშვილის მეკვიდრეობით უფლებას [2.13, გვ. 52-53].

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ მამას არ ჰქონდა თავისი ვაჟიშვილებისადმი არამცთუ წილის მიუცემლობის, არამედ ქონების დაკლების უფლებაც კი [2.13, გვ. 55].

საინტერესო შედეგებს იძლევა პოტენციალური მემკვიდრეობის საკითხების კვლევა.

ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, უმემკვიდრეოდ დარჩენილი მამული გადაეცემოდა პატრონის განაყარ ძმებს, რომლებიც მას თანაბრად იყოფდნენ. თუ რომელიმე ძმა არ იყო ცოცხალი, მისი წილი მის ვაჟებზე გადადიოდა. თუ არც ერთი ძმა არ იყო ცოცხალი, ქონებას ძმის ვაჟები იღებდნენ, ხოლო თუ კაცს ძმები არ ჰყავდა, ქონება ეძლეოდათ მამის ძმების ვაჟებს [1.3]. ხდებოდა ისეც, რომ უმემკვიდრეოდ დარჩენილი მამაკაცი თავის მიწას ხატს გადასცემდა ხოლმე, რის შედეგადაც ეს მიწა ხატის მიწად იქცეოდა და მისი მოხმარება გარკვეული ვადით შეეძლო ნებისმიერ სოფლელს კულუხის გადახდის პირობით [2.34, გვ. 50-51][21]

ამრიგად, უმემკვიდრეოდ დარჩენილი მიწა ძირითადად მისი მფლობელის უახლოესი აგნატების ხელში გადადიოდა, რომელთა უფლება მიწაზე შეესაბამებოდა მათ ბიოლოგიურ დაშორებას ეგოსაგან. ამავე დროს, ყოველივე ეს არ იყო აყვანილი უმკაცრესი ვალდებულების რანგში, რადგანაც შესაძლებელი იყო ქონების ხატისთვისაც გადაცემა.

უპატრონოდ დარჩენილი მიწის ახლო განაყართა ხელში გადასვლის ტრადიციისადმი სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგობა კარგად ჩანს XVIII ს.-ის ბოლოს შედგენილ ძეგლში "განჩინება ზარისა და მთიურთა ადგილთა" [2.31, გვ. 452]. ჩვენს მიერ გადმოცემული ეთნოგრაფიული მასალები მიუთითებენ ტრადიციის დიდ სიძლიერეზე.

მემკვიდრეობითი ურთიერთობების ანალიზისას ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ ქალები ძირითადად მოკლებულნი იყვნენ მემკვიდრეობას. მხოლოდ გათხოვებისას ეძლეოდათ მათ სათავნო და მცირე ღირებულების მზითევი. სათავნო შედგებოდა თავნისა და ნამატისაგან. თავნი წარმოადგენდა დედალ ცხვარს, ან ძროხას, ნამატი კი – მის ნამრავლს. ქალის ხელშეუხებელ საკუთრებად ითვლებოდა თავნი და ერთი წლის ნამატი. დანარჩენი კი შემდგომში ქმრის ოჯახის საერთო საკუთრებას ერწყმოდა [2.13, გვ. 60;

2.27, გვ. 163]. ცხადია, რომ სათავნოს ღირებულება ვერ შეედრებოდა ვაჟის წილს.

მამაკაცის პრიორიტეტი მემკვიდრეობით საკითხებში უნდა აიხსნას იმ ვარაუდით, რომ პატრილატერალური მემკვიდრეობითობა ემსახურებოდა ქონების შენარჩუნებას აგნატ ნათესავებში.

ყოველივე ზემოთქმულის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ მემკვიდრეობის საკითხში ვაჟისთვის უმთავრესი ნათესავი არის მამა. შემდეგ მოდიან უმემკვიდრეო ძმები, უმემკვიდრეო ბიძები, (თუ მამა აღარაა ცოცხალი) და მათი ვაჟები. ქონების გადამცემისათვის კი ვაჟის შემდეგ ყველაზე ახლობლებია ძმები, მერე - ძმების ვაჟები და ბოლოს - მამის ძმების ვაჟები. მხოლოდ მამა-ვაჟიშვილის ურთიერთობაში არის მკაცრად სავალდებულო მემკვიდრეობითი პრინციპების დაცვა. სხვა შემთხვევებში ასეთი მკაფიოდ გამოხატული ვალდებულება არ არსებობს.

ზემოთ ჩვენ რამდენიმე სიტყვით შევეხეთ ქონების გაყოფის პრინციპებს, ახლა კი სხვა კუთხით განვიხილავთ ამ პრობლემას.

როგორც ეთნოგრაფიული მასალებიდან ირკვევა, საოჯახო ქონების განაწილების შემდეგ შეიძლებოდა დარჩენილიყო საკუთრების ისეთი ობიექტი, რომელსაც მოწილეები საერთო მფლობელობაში იტოვებდნენ. ასეთ საკუთრებას სხვადასხვა დროს შეადგენდნენ: საარყე ან სალუდე ქვაბი, საქონლის გამოსაზამთრებლად მოწყობილი სამეურნეო ბაზა, მიწის მცირე ნაკვეთი, გუთანი და სხვა [3.4, გვ. 56; 3.30, გვ.77; 1.1].

საერთო საკუთრება ხშირად არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენდა. მაგალითად, საზიარო მიწის ნაკვეთი ძირითადად უვარგისი ან მისასვლელად ძალიან მოუხერხებელი იყო [3.30, გვ. 76-77] და მოწილეები სწორედ ამიტომ არ იყოფდნენ მას. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ საკუთრების ჩვენ მიერ მითითებული ობიექტები საკმაოდ იშვიათად ექცეოდნენ მოწილეთა საერთო საკუთრებაში. ასე მაგალითად, სამეურნეო ბაზა გაყრის შემდეგ ან კარგავდა თავის მნიშვნელობას და განაყრები საერთოდ აღარ იყენებდნენ მას, ან კიდევ მოწილეები ახალ ქოხებს იშენებდნენ თავ-თავისთვის [1.1]. ასეთივე დამოკიდებულება იყო გუთნის მიმართაც: მთხრობელთა თქმით, გუთანი სოფელში ყველას ჰქონდა [1.1]. გარკვეული ღირებულების საერთო საკუთრებას წარმოადგენდა მხოლოდ საარყე-სალუდე ქვაბი, მაგრამ ამ შემთხვევაშიც ხშირად იჩენდა თავს საოჯახო ქონების აბსოლუტურად განაწილებისაკენ მიმართული ტენდენცია, რაც გამოიხატებოდა ერთ-ერთი მოწილის მიერ საერთო მფლობელობაში მოქცეული ნივთის შესყიდვასა და გადახდილი ფულის დანარჩენ მოწილეთა შორის გაყოფაში. თუკი ყოველივე ამას დავუმატებთ იმ ფაქტს, რომ საარყე-სალუდე ქვაბი ხშირად არ რჩებოდა განაყართა ერთობლივ მფლობელობაში [1.1], ცხადი გახდება, რომ საერთო საკუთრების ფუნქციონირება არ იყო ნორმირებული მოვლენა. ის წარმოიქმნებოდა მხოლოდ

იქ და იმდენად, სადაც და რამდენადაც ქონების გაყოფის შემდეგ დარჩებოდა ისეთი საწარმოო საშუალება, რომლის განაწილება ფიზიკურად შეუძლებელი იყო, ან რომელიც თანაბრად მნიშვნელოვან ღირებულებას წარმოადგენდა მოწილეთათვის.

ყოველივე ამის გამო, ჩვენ ვერ გავიზიარებთ სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც, საოჯახო ქონების გაყოფის წესი მთიულეთში გულისხმობდა ამ ქონების ნაწილის დატოვებას განაყართა საერთო მფლობელობაში [3.30, გვ. 75].

ზ. უახლოესი განაყრების ურთიერთობა სამეურნეო სფეროში. დიდ ინტერესს იწვევს უახლოეს განაყართა ურთიერთობის განხილვა სამეურნეო სფეროში. უახლოეს განაყრებში ჩვენ ვგულისხმობთ ოჯახის გაყრის შედეგად წარმოქმნილი ოჯახების ერთობლიობას მათ მომდევნო გაყრამდე.

ა. რობაქიძის მართებული მოსაზრების მიხედვით, განაყართა სამეურნეო ერთიანობა გამოიხატებოდა საერთო მიწის კოლექტიურ დამუშავებაში, საქონლის ერთობლივ მწყემსვასა და უპირატესი ურთიერთდახმარების ფორმებში [3.122, გვ. 94].

როგორც ეთნოგრაფიული მასალებიდან ირკვევა, განაყრები საერთო მიწას მორიგეობით იყენებდნენ[22]. ამის გამო, საზიაროდ დატოვებულ მამულს სარიგაო ერქვა [2.13, გვ. 51]. მსგავსი დამოკიდებულება იყო საერთო საკუთრების სხვა ობიექტების მიმართაც. გარდა ამისა, განაყრებს არ ევალებოდათ საქონლის ერთობლივი მწყემსვა და უპირატესი დახმარების გაწევა [1.1]. ამ ზოლო თავისებურებით მთიულეთსა და გუდამაყარში დაფიქსირებული ვითარება მსგავსია საქართველოს სხვა კუთხეებში არსებული მდგომარეობისა [3.5, გვ. 80, 91; 3.6, გვ. 49-50: 3.7, გვ. 43, 48: 3.8, გვ. 42, 47; 3.23, გვ.59][23].

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ცხადია, რომ უახლოეს განაყრებს შორის არ არსებობდა ნორმირებული, ეკონომიკურ ნიადაგზე დამყარებული საერთო სამეურნეო ინტერესები.

გ. უახლოესი აგნატი ნათესავების როლი ეგოს ქორწინებაში. ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, ქორწინების ორგანიზაცია შედიოდა მშობლების კომპეტენციაში[24], რომლებიც შეიძლებოდა დათათბირებოდნენ მათ უახლოეს ნათესავებს, მაგრამ ამ უკანასკნელთა სიტყვას მხოლოდ რჩევის ხასიათი ჰქონდა [1.1][25]

დასაქორწინებელი ქალ - ვაჟის ოჯახებს შორის შეთანხმების მიღწევის შემდეგ ქორწილამდე კიდევ რამდენიმე ეტაპის გავლა იყო საჭირო. ესენია: ზეღვა, პატარა ნიშანი, დიდი ნიშანი. ქალის სახლში გამართულ დიდ ნიშანში აწყობდნენ "შაზაშს" - ცეკვა-თამაშს, რომლის დროსაც ვაჟის ახლობლები დებდნენ ფულს ქალისათვის. ამ ფულიდან ქალის ოჯახი მას მზითევს უმზადებდა [2.13, გვ. 58]. "შაზაშში" გაღებული თანხის რაოდენობა არ იყო

დამოკიდებული ნეფესა და ფულის მიმცემს შორის არსებულ ნათესაურ მანძილზე.

დიდი ნიშნობის შემდეგ ეწყობოდა ქორწილი, რომელიც მიმდინარეობდა ჯერ ქალის, ხოლო შემდეგ კი - ვაჟის სახლში.

ქალის სახლში გამართული ქეიფის დროს იცოდნენ გადასაღოცისა და ძღვენის მიცემა. ამისთვის გამოაცხობდნენ დიდ მრგვალ ხმიადს, რომელზედაც დებდნენ ძღვენს - ქათამს, ხაჭაპურს, სხვა სანოვაგეს, და გადასაღოცს, რომელშიც შედიოდა ფული, საკაბე და სხვა. ძღვენი რჩებოდა სუფრაზე, ხოლო გადასაღოცი პატარძლის საკუთრებად იქცეოდა. ძღვენ-გადასაღოცის რაოდენობა ადამიანის შეძლებასა და ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული.

მსგავსი ვითარება იყო ვაჟის სახლში გამართულ ქორწილშიც, სადაც იცოდნენ შესაწევარის მიცემაც. შესაწევარში იგულისხმებოდა ქორწილში მოსული სტუმრების მიერ ფულის გადახდა ნეფე-დედოფლის სასარგებლოდ. ფულის რაოდენობა არ იყო დამოკიდებული ნათესავის ვინაობაზე[26]

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ქორწილის მოსაწყობად საჭირო ხარჯებს, ჩვეულებრივ, მხოლოდ ოჯახი გაიღებდა. ამ მხრივ უახლოესი განაყრების მხრიდან არავითარი შეწევნა არ იყო სავალდებულო[27]

გარკვეულ როლს ქორწილში ასრულებდა ნეფის ეჯიბი, რომელიც წარმოადგენდა ქორწილის პროცესის ერთ-ერთ მაორგანიზებელს. ეჯიბი უახლოესი განაყრის ოჯახიდან უნდა აერჩიათ [2.32, გვ. 129]. მას სამემკვიდრეო უფლებებიც ჰქონდა, რომელთა მიხედვითაც, თუ ჯერი მიდგებოდა ქონების ზიძაშვილებზე გადაცემაზე, პირველობა სწორედ ეჯიბ ზიძაშვილს ეკუთვნოდა [2.32, გვ. 137]. ცხადია, რომ ამ წესის შესრულებას უამრავი შემთხვევითობის ჯაჭვი სჭირდებოდა და მისი მოქმედებაში მოყვანა ძირითადად თეორიულ სფეროს განეკუთვნებოდა.

როგორც ვხედავთ, მთავარ ფიგურას ქორწინების ორგანიზაციაში წარმოადგენდა მამა. დანარჩენი აგნატი ნათესავების როლი შედარებით ნაკლები იყო, რაც კარგად ჩანს დიდ ნიშნობასა და ქორწილში მოწყობილ არანორმირებულ მატერიალურ დახმარებაში. ერთადერთი ნორმირებული მოვლენა იყო ეჯიბის უახლოესი განაყრობის წრიდან არჩევის ვალდებულება.

დ. დაობლებული ბავშვების გაზრდა, დახმარება ჭირში. ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, ორმხრივ დაობლებულ ბავშვებს ძირითადად მამის ძმა ზრდიდა, ან მისი ცოლი, თუ მამის ძმა არ იყო ცოცხალი. ხდებოდა ისეც, რომ უფროსი ძმა თავის უმცროს ძმას ზრდიდა. ლიტერატურაში დაფიქსირებულია საინტერესო შემთხვევა, როდესაც მამაკაცის ორი ქალიშვილი, მას შემდეგ, რაც ამ კაცს ცოლი მოუკვდა და მან სხვა ქალი შეირთო, გაზარდა ამ კაცის მამის ძმის ცოლმა [2.17, გვ.27]. თუკი ობოლს აღარ ჰყავდა უახლოესი აგნატი ნათესავები, ის გასაზრდელად ზოგჯერ დედის ძმას მიჰყავდა.

უახლოესი აგნატი ნათესავების როლი არ იყო მკაფიოდ გამოყოფილი

ჭირში შეწევნის დროს. ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, მიცვალებულის დაკრძალვის შემდეგ მოწყობილ ქელეხში ("ხარჯში" - ადგილობრივი გამოთქმით) გაცემული შესაწევარის რაოდენობა ადამიანთა შეძლებასა და ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული. ასეთივე ვითარება ნარჩუნდებოდა წლისთავზე მოწყობილი შესაწევარის შეგროვების დროსაც[28]

ე. უახლოესი განაყრების განსახლებისა და დაკრძალვის პრინციპები. ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, უახლოესი განაყრები გაყრის შემდეგ ზოგჯერ ძველ სახლში რჩებოდნენ, რომელსაც ლასტებით მიჯნავდნენ. იმ შემთხვევაში, თუკი ყველა განაყარი, ან რომელიმე მათგანი, თავისთვის ახალ სახლს აშენებდა, ეს სახლი ზოგჯერ იდგმებოდა ძველი სახლის გვერდით, ზოგჯერ კი - მისგან მოშორებით. ე. ი. რიგ შემთხვევებში ახლო განაყრები კომპაქტურად სახლობდნენ, თუმცა ასეთი დასახლება არ იყო სავალდებულო. ყველას შეეძლო საკუთარი მიწის ნებისმიერი ადგილის გამოყოფა სახლის ასაშენებლად, თუნდაც რომ ეს ადგილი ძველი საერთო სახლიდან, ან უახლოესი განაყრების ახალი სახლებიდან მოშორებით ყოფილიყო.

განსხვავებული წესები იყო დაკრძალვისას. საგვარეულო სასაფლაოზე უახლოესი აგნატი ნათესავები ერთმანეთის გვერდით იკრძალებოდნენ - ოჯახის წევრებიც და უახლოესი განაყრებიც. დაკრძალვის ეს პრინციპები უჩვენებს ახლო ნათესავების საიქიოში ერთად ყოფნის რწმენას, თუმცა რეალურ ცხოვრებაში უახლოეს განაყრებს შორის დამოკიდებულებაში ასეთი ერთიანობა არ ჩანდა.

3. საკითხი უახლოესი განაყრების იდეოლოგიური ერთიანობის, საერთო რელიგიური დღესასწაულებისა და საერთო სახელის შესახებ. ეთნოგრაფიული მასალებიდან ირკვევა, რომ უახლოესი განაყრებისთვის არ იყო დამახასიათებელი სპეციფიკური იდეოლოგიური ერთიანობა. მათ არ ჰქონდათ საკუთარი რელიგიური დღესასწაულები. ნიშანდობლივია, რომ ყოველ ოჯახს ჰყავდა სახლის ანგელოზი, რომელსაც ოჯახის გაყრის შემდეგ მოწილეები იყოფდნენ გარკვეული რიტუალის ჩატარების შემდეგ. ცხადია, ახლო განაყრებს შორის მხოლოდ მათი გაერთიანებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ერთობის საფუძველი რომ ყოფილიყო, სახლის ანგელოზს ისინი არ გაყოფდნენ.

საინტერესოა, რომ განაყართა ერთობლიობა ზოგჯერ იღებდა გაყრილი ოჯახის ყოფილი უფროსის, ან სხვა რომელიმე წინაპრის სახელს.

შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ საერთო სახელის არსებობა მიუთითებს ძველი ერთიანობის რწმენის შენარჩუნებაზე, მაგრამ ასეთი დასკვნა არ უნდა იყოს მართებული - ლიტერატურის მონაცემებისა და ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, სახელს განაყრობას ძირითადად სოფელი აძლევდა [2.32, გვ. 15; 1.1], და თანაც გაყრის შემდეგ განაყრების ერთობლიობის სახელდება არ იყო

უნივერსალური მოვლენა საკვლევ კუთხეებში [1.1]. ცხადია, საერთო სახელი იდენტიფიცირებული რომ ყოფილიყო სპეციფიკურ იდეოლოგიურ ერთიანობასთან, სოფელი კი არ შეარქმევდა სახელს განაყრობას სურვილის მიხედვით, არამედ ყოველი განაყრობა ავტომატურად მიიღებდა ოჯახის უფროსის სახელს ამ ოჯახის გაყრის შემდეგ. ვარაუდის სახით შეიძლებოდა დაგვეშვა, რომ სოფლის ყოფნა სახელმდებლის როლში დაკავშირებული იყო მის მიერ განაყრების ერთობლიობის ერთ იდეოლოგიურ გაერთიანებად აღქმასთან, მაგრამ ეთნოგრაფიული მასალები ამ შესაძლებლობასაც უკუაგდებენ. ირკვევა, რომ სახელის დარქმევას სხვადასხვა მიზეზები ჰქონდა, რომელთა შორისაც აღსანიშნავია რითიმე გამორჩეული პირის ყოფნა გაყრილი ოჯახის უფროსად, რომელიმე პირის შთამომავლების სხვა ადამიანის შთამომავლებისაგან გამორჩევის სურვილი და სხვა.

ამრიგად, საერთო სახელის არსებობა თავად უახლოესი განაყრობის შინაგან სტუქტურასთან არ იყო უშუალოდ დაკავშირებული და არ მიუთითებდა ამ გაერთიანების სპეციფიკურ იდეოლოგიურ ერთიანობაზე.

განხილული მასალები უახლოესი აგნატი ნათესავებისათვის დამახასიათებელი შემდეგი ნიშნების გამოვლენის საშუალებას გვაძლევს:

1. უახლოესი ნათესავი უფლებრივ-ქონებრივ ასპექტში არის მამა.

2. ბევრად ნაკლები მნიშვნელობა აქვთ უახლოეს გვერდით ნათესავებს - ძმას, ბიძას, ბიძაშვილებს. მათი გარკვეული როლი ჩანს მხოლოდ მამულის პოტენციალურ მემკვიდრეობაში, ეჭიბის უახლოესი განაყრების წრიდან არჩევის ვალდებულებაში და ობლის გაზრდაში.

3. უახლოესი განაყრების საერთო საკუთრების არსებობა არაა აუცილებელი მოვლენა. არსებობის შემთხვევაში კი მას აქვს ძალიან მცირე ღირებულება. ასეთი საერთო საკუთრების მორიგეობით მოხმარების წესი გამორიცხავს განაყრების ნორმირებულ სამეურნეო ერთიანობას. მათ არ ევალებათ საქონლის ერთობლივი მწყემსვა და უპირატესი დახმარების გაწევა. არაა აუცილებელი განაყრების ერთმანეთის გვერდით ცხოვრება. ქორწილისა და ხარჯის დროს არსებულ მატერიალურ შეწევნაში არ ჩანს მათი მეტი როლი უფრო დაშორებულ აგნატებთან შედარებით.

4. უახლოეს განაყრებს არა აქვთ საკუთარი რელიგიური დღესასწაული. მათი საერთო სახელის არსებობა არაა დაკავშირებული იდეოლოგიურ ერთიანობასთან. გარკვეული ერთიანობის რწმენა ჩანს მხოლოდ საერთო საგვარეულო სასაფლაოზე ერთ რიგად დაკრძალვის წესში, მაგრამ რეალურ ცხოვრებაში ეს გრძნობა ნაკლებ ასახვას პოულობს.

უახლოესი აგნატური ნათესაობის თავისებურებების დადგენის შემდეგ დიდ ინტერესს იწვევს პატრონიმიის პრობლემა, რომელსაც ჩვენ მომდევნო პარაგრაფში შევეხებით.

## § 4. პატრონიმიასთან დაკავშირებული ზოგიერთი პრობლემა საბჭოთა ეთნოგრაფიულ მეცნიერებაში

პატრონიმია არის ისტორიულად საზოგადოებრივი ფორმა, დამახასიათებელი პატრიარქალურ-გვაროვნული წყობისათვის - ის წარმოადგენს იმ დიდი, ან პატარა ოჯახების ჯგუფებს, რომლებიც შექმნილია ერთი პატრიარქალური საოჯახო თემის ზრდისა და სეგმენტაციის შედეგად. ეს ოჯახები, ამა თუ იმ ფორმით, ინარჩუნებენ სამეურნეო, საზოგადოებრივ და იდეოლოგიურ ერთიანობას და ატარებენ საერთო პატრონიმიულ სახელს, რომელიც გაყრილი ოჯახის საკუთარი სახელის მიხედვით იქმნება [2.50, გვ. 97].

საბჭოთა ეთნოგრაფები დიდი ხანია აქტიურად იკვლევენ პატრონიმიას [2.14, გვ. 114-117; 2.44; 3.18, გვ. 74-76; 3.30; 3.39; 3.42; 3.51; 3.60; 3.74, გვ. 99; 3.122; 3.127; 3.135; 3.138; 4.9]. საინტერესოა, რომ ხსენებული ორგანიზაცია ზოგიერთ ნაშრომში მიჩნეულია მეორეხარისხოვან ინსტიტუტად [3.73, გვ. 152], ხოლო ზოგი ავტორის მიერ ის საერთოდ არაა მოხსენიებული სოციალური სტრუქტურების თავისებურებათა კვლევისას [3.106]. აქვე მივუთითებთ, რომ გვხვდება ისეთი ნაშრომებიც, რომლებშიც ტერმინი "პატრონიმია" იხმარება განმარტების გარეშე [3.70; 3.99], რაც ართულებს ტერმინის ქვეშ ნაგულისხმევი ინსტიტუტის არსის გაგებას.

სხვადასხვა რიგის საერთო ნიშნებით დაკავშირებული ოჯახების ან ნათესავების გაერთიანებას ყურადღება მიაქციეს უცხოელმა ეთნოგრაფებმაც, მაგრამ ჩვენს ხელთ არსებულ მათ ნაშრომებში ძირითადად ვხედავთ მხოლოდ ასეთი ტიპის ორგანიზაციის აღწერას სპეციალური თეორიული ანალიზის გარეშე [2.61, გვ.42-44; 2.63, გვ. 141-146; 2.66, გვ.118; 2.67, გვ. 170-171; 3.141, გვ. 860; 3.144, გვ. 78-79; 3.148, გვ. 107-108; 3. 151, გვ. 268; 3.155, გვ. 327; 3.159, გვ. 131; 3.166, გვ.96-97; 3.188, გვ. 483; 3.206, გვ. 270; 3.207, გვ. 630; 3.210, გვ. 571; 3.211, გვ. 380; 3.216, გვ. 295][29].

საკითხი პატრონიმიის არსისა და სოციალურ სტრუქტურაში მისი ადგილის შესახებ მწვავედ დგას საბჭოთა ეთნოგრაფიაში. ამის გარკვეული გამოხატულება იყო 60 - იანი წლების ბოლოს ჟურნალ "საბჭოთა ეთნოგრაფიის" ფურცლებზე დაწყებული დისკუსია, რომელიც, სხვა საკითხებთან ერთად, პატრონიმიასთან დაკავშირებულ მრავალ პრობლემასაც შეეხო [3.47; 3.75; 3.78; 3.88; 3.117; 3.122; 3.133].

პატრონიმიის თეორიული ასპექტების კვლევისას ყურადღებას იპყრობს პატრონიმიის ფარგლების პრობლემა. მ. კოსვენის მიერ მოცემულ პრაქტიკულად არც ერთ განმარტებაში არაა სათანადო ყურადღება მიქცეული მისი საზღვრებისადმი და პატრონიმია მიჩნეულია საოჯახო თემის სეგმენტაციის შედეგად მიღებული დიდი ან პატარა ოჯახების ერთობლიობად რაიმე მკაფიო

ფარგლების გარეშე [2.46, გვ.137; 3.80, გვ.5; 3.81, გვ.119; 3.83, გვ.20][30]. მსგავსი ვითარებაა სხვა ავტორებთანაც, რომელთა ნაწილი პატრონიმიის განმარტებისას მის საზღვრებად აცხადებს თაობათა არამყარ რაოდენობას [2.44, გვ.25; 3.39, გვ.150; 3.54, გვ.77-81; 3.113, გვ.93; 3.114, გვ.36; 4.8, გვ.21], ხოლო მეორე ნაწილი საერთოდ არ აქცევს ყურადღებას ამ პრობლემას [2.42, გვ.267-268; 3.15, გვ.178; 3.43, გვ.59; 3.53, გვ.11; 3.60, გვ.84; 3.68, გვ.78; 3.69, გვ.190; 3.77, გვ.115]; ყოველივე ზემოთქმულის გამო ჩვენ მართებულად გვესახება საბჭოთა ეთნოგრაფის ს. აბრამზონის მოთხოვნა პატრონიმიის ფარგლების ზუსტი კრიტერიუმების შემოღების შესახებ [3.38, გვ.153].

დიდ ინტერესს იწვევს პატრონიმია - გვარის ურთიერთმიმართების საკითხი

მ. კოსვენის მიხედვით, პატრონიმია წარმოიშვა პატრიარქალურ - გვაროვნულ წყობილებაში. კავკასიაზე საუბრისას მკვლევარი აქ ადასტურებს გვარის და განვითარების ბოლო ფაზაში მყოფი პატრონიმიის არსებობას [2.50, გვ.189]. ცხადია, რომ მ. კოსვენის აზრით, გვარი და პატრონიმია, ამ უკანასკნელი სოციალური ორგანიზაციის არსებობის მთელ მანძილზე, თანაარსებობდნენ ერთმანეთთან.

მ. კოსვენი თვლის, რომ პატრონიმიასა და გვარს შორის განსხვავების საფუძველი მდგომარეობს იმ ფაქტში, რომ პატრიარქალური გვარი არაა ერთიანი საზოგადოებრივი და, მით უფრო, სამეურნეო ჯგუფი. პატრონიმია კი წარმოადგენს სრულიად განსაზღვრულ, ერთიან საზოგადოებრივ-ეკონომიკურ კოლექტივს.. გვარი არის თემური საწყისის, კოლექტიური საკუთრების გამომხატველი, პატრონიმია კი აერთიანებს კერძომესაკუთრულსა და კოლექტივისტურ საწყისებს. გვარის დაშლისას მის შემადგენლობაში მყოფ ოჯახებში წარმოიქმნება კერძო საკუთრება, მაგრამ კოლექტიური საკუთრების საწყისი რჩება გვარის პრინციპიალურ კუთვნილებად და შეუთავსებელია კერძო საკუთრებასთან [2.50, გვ.119-120]. პატრონიმია კი, რომელიც წარმოიქმნა პატრიარქალურ - გვაროვნულ წყობაში, თავიდანვე განიცდის პირველყოფილი - თემური საწყისების რღვევის, კერძო საკუთრების წარმოშობის გავლენას. ამდენად, კოლექტიური მფლობელობის ელემენტების შენარჩუნებასთან ერთად პატრონიმიაში შეუჩერებლად მიმდინარეობს კერძო საკუთრების განვითარების პროცესი, იქმნება მისი დუალიზმი. კერძო საკუთრების სუბიექტს წარმოადგენს პატრონიმიის ცალკეული ოჯახი, ობიექტს - საკარმიდამო მიწა. შემდეგ, დროთა განმავლობაში, კერძო საკუთრებაში გადადის მიწისა და უძრავი ქონების სხვა სახეობები. ეს პროცესი გრძელდება იქამდე, სანამ პატრონიმია არ მივა დაშლის სტადიამდე, როცა იშლება დიდი ოჯახიც და კერძო საკუთრების მატარებლად იქცევა მცირე ოჯახი [2.50, გვ.115].

როგორც ამ განმარტებიდან ჩანს, პატრონიმიაში კერძომესაკუთრული

საწყისის არსებობა დაკავშირებულია მის შემადგენლობაში გაერთიანებული ოჯახების კერძო საკუთრების სუბიექტად გადაქცევასთან. მაგრამ, თუკი ბოლომდე თანმიმდევრულად გავყვებით ამ დებულების პრინციპებს, მაშინ გვარიც, კოლექტიურობასთან ერთად, კერძომესაკუთრული საწყისის გამომხატველად უნდა მივიჩნიოთ, რადგან, მ. კოსვენისვე განმარტებით, გვარის შემადგენლობაშიც შედიან ოჯახები, რომლებიც, ცხადია, ასევე კერძო საკუთრების სუბიექტებს წარმოადგენენ. გარდა ამისა, ავტორი არ მიუთითებს, თუ რაში გამოიხატება გვარის მიერ კოლექტივისტური საკუთრების საწყისის შენარჩუნება გვაროვნული საკუთრების გაქრობის შემდეგ.

ყოველივე ამის გამო, ჩვენ ვერ გავიზიარებთ მ.კოსვენის მოსაზრებას.

საინტერესოა, რომ მ. კოსვენი გვარსა და პატრონიმიას შორის არსებულ კიდევ ერთ განსხვავებაზე მიუთითებს. კერძოდ, ის აღნიშნავს, რომ გვარის სახელი არის ლეგენდარული და ხშირად აქვს ტოტემური ხასიათი. პატრონიმიის სახელდება კი რეალური პირის სახელით ხდება [2.50, გვ.120]. ვფიქრობთ, რომ ეს კრიტერიუმი ყოველთვის არაა მისაღები, რადგანაც როდესაც პატრონიმია რამდენიმე ასეული ოჯახისაგან შედგება [იხ. მაგ., 3.113, გვ.99], საერთო წინაპარი ძალიან დაშორებული უნდა იყოს და ისიც ლეგენდის ბურუსში გახვეული წარმოგვიდგება. ასეთი კრიტერიუმი შეიძლება მიესადაგოს იმ საზოგადოებებს, რომლებშიც ფუნქციონირებენ მცირე ზომის პატრონიმიები. მაგრამ ამ შემთხვევაში წამოიჭრება საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად წარმოაჩენს პატრონიმიის სოციალური როლის თავისებურებებს სახელდების პრინციპებში მისი გვარისაგან განსხვავება. თავის განმაზოგადოებელ ნაშრომში "საოჯახო თემი და პატრონიმია" მ. კოსვენი არ ეხება ამ პრობლემას.

გვარისა და პატრონიმიის ურთიერთმიმართების საკითხს შეეხო მ. კრიუკოვიც, რომელმაც ჩვ. წ. აღ. – მდე 1 ათასწლეულის ჩინური მასალის ანალიზის საფუძველზე მიუთითა, რომ პატრონიმია უფრო დიდხანს არსებობს, ვიდრე გვარი. გვარის ეგზოგამიას ცვლის პატრონიმიული, გვარის წევრები თანდათან კარგავენ მისდამი მიკუთვნების რწმენას და გვარის სახელებს ცვლის პატრონიმიული სახელები [3.88, გვ.90-92]. ვფიქრობთ, რომ ამ მოსაზრების უნივერსალობის მტკიცებისათვის მხოლოდ ჩინური მასალის მოშველიება არაა საკმარისი.

ბუნებრივია, რომ გვარისა და პატრონიმიის როლის განსაზღვრისათვის მოცემულ ნათესაურ-სოციალურ სტრუქტურაში უნდა გამოვავლინოთ ორივე ინსტიტუტისათვის დამახასიათებელი ფუნქციები და შევადაროთ ისინი ერთმანეთს. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი პატრონიმიას ექნება გვარის დამახასიათებელი ნიშნებისაგან განსხვავებული ფუნქციები, რომელთაც რეალური გავლენა აქვთ საზოგადოების ცხოვრებაზე, შეიძლება მივიჩნიოთ ის სოციალური მნიშვნელობის მქონე ერთეულად მოცემულ ნათესაურ-სოციალურ

სტრუქტურაში. უფრო კონკრეტული სახით ეს დებულება მოცემული იქნება ეთნოგრაფიული მასალის ანალიზის დროს.

პატრონიმიის თეორიულ ასპექტებთან დაკავშირებით დიდ ყურადღებას იქცევს პატრონიმიული საკუთრების არსის პრობლემა.

რადგანაც პატრონიმია იქმნება საოჯახო თემის გაყრის შედეგად, ცხადია, რომ მის საერთო საკუთრებაში განაყარი ოჯახების მიერ გაუყოფლად დატოვებული ქონება უნდა მოექცეს. ოჯახის გაყრის შესახებ საუბრისას უკვე მივუთითეთ, რომ XIX-XX სს.-ის მიჯნაზე მთიულეთსა და გუდამაყარში უახლოესი განაყრების საერთო საკუთრების არსებობა არ იყო საოჯახო ქონების განაწილების წესთან დაკავშირებული მოვლენა. ვფიქრობთ, რომ პატრონიმიული ქონების ანალიზისას მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს მისი წარმოშობის მექანიზმს. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საოჯახო ქონების განაწილების აუცილებელ პირობას წარმოადგენს მისი ნაწილის დატოვება განაყართა საერთო მფლობელობაში, შეიძლება ვილაპარაკოთ ნორმირებულ, რეალურ საერთო საკუთრებაზე. სამწუხაროდ, პრობლემის ამ კუთხით დაყენებას არ ექცევა სათანადო ყურადღება საბჭოთა ეთნოგრაფიულ მეცნიერებაში.

პატრონიმიასთან დაკავშირებული რამდენიმე ძირეული პრობლემის განხილვამ წარმოაჩინა ამ სფეროში არსებული ჯერ კიდევ გადაუჭრელი პრობლემები, რომელთა გადაწყვეტა სხვადასხვა საზოგადოების კონკრეტული ეთნოგრაფიული მასალების ანალიზითაა შესაძლებელი. ვფიქრობთ, რომ მთიულეთისა და გუდამაყრის ეთნოგრაფიული მონაცემების გააზრება გარკვეულ დახმარებას გაუწევს ამ პრობლემის უფრო სრულად გაშუქების საქმეს.

## § 5. პატრონიმიის თავისებურებები და მისი მიმართება გვართან მთიულეთსა და გუდამაყარში

პატრონიმიას მთიულეთსა და გუდამაყარში უწოდებდნენ "განაყრობას". მასში შეიძლებოდა ყოფილიყო გაერთიანებული ერთი ოჯახის გაყრის შედეგად მიღებული ოჯახების ერთობლიობა, ან ამ ოჯახების გაყრის შედეგად მიღებული ოჯახების ერთობლიობაც და ა. შ. უახლოეს განაყრებს ერქვათ "ახლო განაყრები", ხოლო უფრო დაშორებულებს - "ძველი განაყრები".

განაყრობების სოციალური ფუნქციის დასადგენად აუცილებელია მათთვის დამახასიათებელი თავისებურებების გამოვლენა.

ჩვენ უკვე განვიხილეთ უახლოესი განაყრობის ნიშნები. ეთნოგრაფიული მასალებიდან ჩანს , რომ უფრო დაშორებულ აგნატებს არ ჰქონდათ ერთიანობის ის მცირე ნიშნებიც კი, რაც ახასიათებდათ უახლოეს განაყრებს. მართალია, პატრონიმიებს ჰქონდათ ნათესაური სიახლოვის რწმენა, რაც აისახებოდა კიდეც საგვარეულო სასაფლაოზე ერთ რიგად დაკრძალვის წესში, მაგრამ ეს

ფაქტი ნორმირებული უფლებრივ-ქონებრივი ურთიერთობების არსებობას არ განაპირობებდა[31].

ჩვენ განვიხილეთ გვარის, უახლოესი განაყრობისა და უფრო დაშორებული აგნატების გაერთიანების თავისებურებები. მართალია, უახლოესი განაყრობა უკვე წარმოადგენს პატრონიმიას, მაგრამ, რადგანაც საბჭოთა ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში პატრონიმიაში ხსენებულ ნათესაურ წრეზე უფრო ფართო გაერთიანებაც იგულისხმება, შესაძლებლად ვცანით ცალკე გამოგვეყო ერთი გაყრით მიღებული ოჯახების გაერთიანება, რომელსაც ამ შემთხვევაში ვუწოდებთ უახლოეს განაყრობას, ხოლო აგნატების უფრო ფართო წრეს - პატრონიმიას.

ამ დაზუსტების შემდეგ შესაძლებელი ხდება გვარის, პატრონიმიისა და უახლოესი განაყრობის ხვედრითი წონის გამოვლენა საკვლევი კუთხეების სოციალურ სტრუქტურაში. არსებული ვითარება კარგად ჩანს შემდეგ სქემაზე:

| დამახასიათებელი ნიშნები | გვარი | პატრონიმია | უახლოესი განაყრობა |
|---|---|---|---|
| 1. საერთო სახელი | + | + | + |
| 2. ეგზოგამია | + | + | + |
| 3. რეალური ღირებულების მქონე საერთო საკუთრება | | | |
| 4. საკუთრების პოტენციალური მემკვიდრეობა | | - | |
| 5. სამეურნეო ერთიანობა | | - | |
| 6. კომპაქტურად ცხოვრების ვალდებულება | - | | |
| 7. უპირატესი ურთიერთდახმარების არსებობა | | - | |
| 8. ეჭიბად აყვანის ვალდებულება | - | - | |
| 9. საკუთარი საერთო კულტის არსებობა | | - | |
| 10. უპირატესი მატერიალური შეწევნის ვალდებულებების არსებობა ცხოვრების სხვადასხვა სფეროში | - | | |
| 11. უოჯახოდ დარჩენილი ობოლი ბავშვების გაზრდის ვალდებულება | | | |
| 12. ერთად დაკრძალვის წესი | | | |

შენიშვნები: ა. ნიშანი "+" აღნიშნავს თავისებურების ქონას, "-" არქონას.

ბ. მე-4 და მე-11 ვალდებულებები ზოგჯერ არ ხორციელდება.

ჩვენ ვხედავთ, რომ პატრონიმიას არა აქვს არც ერთი ის ნიშანი, რაც არ ახასიათებდეს გვარსაც. მაგალითად, პატრონიმია ეგზოგამიურია, მაგრამ ეგზოგამია, უპირველეს ყოვლისა, გვარის ფუნქციაა. ამიტომ საქორწინო ურთიერთობებს არეგულირებს არა პატრონიმია, არამედ გვარი[32]. პატრონიმიის წევრები ერთად იკრძალებიან, მაგრამ გვარის წევრებსაც საკუთარი საერთო სასაფლაო აქვთ. ქორწილისა და ჭირის დროს განაყრობის წევრს მოგვარეზე მეტი შეწევნა არ ევალება და სხვა. რაც შეეხება კულტს, ის მხოლოდ გვარისათვის დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს. მართალია, პატრონიმიას თავისი სახელი აქვს, მაგრამ მის შერქმევაში მთავარ როლს სოფელი ასრულებს. ამიტომ საერთო სახელი არ მიუთითებს თავად პატრონიმიისთვის დამახასიათებელ სპეციფიკურ იდეოლოგიურ ერთიანობაზე[33]. პატრონიმიული სახელი ძირითადად იმ პირის სახელს წარმოადგენს, ვინც ჯერ კიდევ ახსოვთ განაყრობის უხუცეს წევრებს, მაშინ, როცა გვარის სახელმდებელი წინაპრები უკვე ლეგენდად არიან ქცეული. ვფიქრობთ, რომ ეს განსხვავება არ მიუთითებს პატრონიმიის სოციალურ მნიშვნელობაზე.

პატრონიმიას არა აქვს რეალური ნიშნები უახლოესი განაყრობის და ოჯახის მიმართაც. ამიტომ XIX-XX სს.-ის მიჯნაზე პატრონიმია მთიულეთსა და გუდამაყარში არ წარმოადგენდა სოციალური ფუნქციის მატარებელ ერთეულს. ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება პატრონიმიების გენეალოგიებად სახელდების შესახებ [3.19, გვ.161]. ჩვენი აზრით, სწორედ აღნიშნულ ვითარებაში, როდესაც პატრონიმია მოკლებულია დამოუკიდებელ სოციალურ მნიშვნელობას და მხოლოდ გენეალოგიური გაერთიანების ფუნქციას ასრულებს, შეიძლება ვუწოდოთ მას გენეალოგია.

პატრონიმიის თავისებურებების გამოვლენის შემდეგ დიდ ინტერესს იწვევს საკითხი მისი საზღვრების კრიტერიუმების შესახებ. ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, განაყრობები არსებობენ მანამდე, სანამ რომელიმე პირის შთამომავლებს ემახსოვრებათ მათი წინაპრის ვინაობა. მ. კოსვენმა თავის ერთ-ერთ ადრინდელ ნაშრომში ოსური პატრონიმიის შესახებ დააფიქსირა პრინციპულად მსგავსი ვითარების არსებობა, მაგრამ მიუთითა, რომ ინფორმატორთა ასეთი განმარტება არაა სწორი და სინამდვილეში ჩვენ გვაქვს საწინააღმდეგო მოვლენა - ბუნებრივი პირობები და საწარმოო ძალთა დონე გარკვეულ ზღვარს უდებენ მოცემული ჯგუფის ზომებს და სანამ არსებობს ჯგუფი, არის წარმოდგენაც წინაპარზე [3.80, გვ.5].

ჩვენი აზრით, იმ საზოგადოებაში, სადაც პატრონიმიას არა აქვს სოციალური ფუნქცია, ადგილობრივ მოსახლეობაში არ შემუშავდება სპეციალური პრინციპები მისი ფარგლების განსაზღვრისათვის. ასეთ ვითარებაში პატრონიმიის საზღვრების კრიტერიუმებად გამოდგება ჯგუფის დამფუძნებელი პირის შესახებ ხსოვნის შენარჩუნება-გაქრობის პრინციპი, ხოლო იმ სოცი-ალურ სტრუქტურებში, რომლებშიც პატრონიმია წარმოგვიდგება სოციალური

ღირებულების მქონე ერთეულად, მისი არსებობის ხანგრძლიობის განმსაზღვრელად შეიძლება გამოდგეს მ. კოსვენის მიერ შემოთავაზებული პრინციპი თავად პატრონიმიის ფუნქციონირების კრიტერიუმების დაზუსტების პირობით.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ცხადია, რომ პატრონიმიის მიერ სოციალური ფუნქციის არქონას მთიულეთსა და გუდამაყარში შეესაბამება ამ გაერთიანების ფარგლებად დამაარსებელი წინაპრის შესახებ ხსოვნის შენარჩუნება-გაქრობის მოსახლეობაში დაფიქსირებული პრინციპი.

გარკვეულად განსხვავებული სახით წარმოგვიდგება უახლოესი განაყრების გაერთიანება, რომელსაც სამი, გვარისაგან განსხვავებული ფუნქცია აქვს: პოტენციალური მემკვიდრეობა, ობლის გაზრდისა და ეჯიბად არჩევის ვალდებულება. პირველი ორი ფუნქციის მოქმედებაში მოყვანა მხოლოდ განსაკუთრებული შემთხვევების არსებობას გულისხმობდა და თანაც ეს ვალდებულებები აბსოლუტურად ყოველთვის არ ხორციელდებოდა. რაც შეეხება ეჯიბობას, ის დიდ მატერიალურ დახმარებასთან არ იყო დაკავშირებული.

ამრიგად, მთიულეთისა და გუდამაყრის ნათესაურ-სოციალურ სტუქტურაში გამოიყოფოდნენ: გვარი, როგორც ქორწინების მარეგულირებელი, საერთო კულტის მქონე, ერთიანობის რწმენით შეკავშირებული პირების გაერთიანება, უახლოესი განაყრების წრე, რომლის ფუნქციები ძირითადად თეორიულად შესაძლებელ ვითარებასთან იყო დაკავშირებული, სოციალურ-ნათესაური სტრუქტურის მთავარი უჯრედი - ინდივიდუალური ოჯახი და გადმონაშთის სახით შემონახული დიდი ოჯახი, რომელთათვისაც დამახასიათებელი ქონების გაყოფის წესი არეგულირებდა მემკვიდრეობით ურთიერთობებს.

## § 6. დედის მხრიდან ნათესაობის თავისებურებები მთიულეთსა და გუდამაყარში

დედის მხრიდან ნათესაობის უმნიშვნელოვანესი თავისებურებაა ქორწინების აკრძალვა ნებისმიერ ნათესავთან, დედის მოგვარე მამაკაცთან და მოგვარე ქალის შვილებთან. დედის გვარზე ეგზოგამიის წესების გავრცელება დამახასიათებელია საქართველოს სხვა კუთხეებისთვისაც [2.11, გვ.53].

დიდ ინტერესს იწვევს დედის მხრიდან ნათესაობის უფლებრივ-ქონებრივი რივი დამოკიდებულების ანალიზი. უახლოესი ნათესავი ბიოლოგიური თვალსაზრისით არის დედა. ამიტომ თავდაპირველად განვიხილავთ მის როლს შვილის ცხოვრებაში.

ჩვენ უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ ოჯახის გაყრისას ქალები ძირითადად მოკლებული იყვნენ მემკვიდრეობას. მხოლოდ გათხოვებისას

ეძლეოდათ მათ მცირე ღირებულების სათავნო და მზითევი. ქალის სიკვდილის შემდეგ მზითვის გამოსაყენებლად ვარგისი ნაწილი გადადიოდა მისი ქალიშვილების ხელში [2.13, გვ.59]. ცხადია, რომ მზითვის მცირე ღირებულების გამო ასეთი მემკვიდრეობა დიდ დახმარებას ვერ გაუწევდა ახალგაზრდა ქალს, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესოა მემკვიდრეობის არსებობის ფაქტი.

დედის მთავარი ფუნქცია შვილის ცხოვრებაში იყო მისი გაზრდა. ამის გამო ბავშვს დედასთან ჰქონდა სტაბილური კონტაქტები, რაც მათ უკიდურეს სიახლოვეს განაპირობებდა. საქორწინო დასახლების პატრილოკალურობის გამო ბავშვს დედის აგნატ, ან სხვა ნათესავებთან შეხვედრები შედარებით იშვიათად უწევდა.

ზევით ჩვენ უკვე ვუჩვენეთ, რომ ეგოს ქორწინების მოწყობაში მთავარი სიტყვა ეკუთვნოდათ ეგოს მშობლებს. ე. ი. ამ შემთხვევაშიც დედას უფრო მეტი როლი ჰქონდა, ვიდრე დანარჩენ ნათესავებს.

ბიოლოგიური თვალსაზრისით დედის შემდეგ ყველაზე ახლობლები არიან მისი სიბლინგები. განვიხილოთ დედის ძმის დამოკიდებულება დისწულთან.

როგორც ეთნოგრაფიული ლიტერატურიდანაა ცნობილი, მსოფლიოს მრავალ ხალხებში დედის ძმასა და დისწულს შორის არსებობდა სპეციფიკური უფლებებისა და მოვალეობების მთელი კომპლექსი, რომელსაც ეწოდება ავუნკულატი [3.82, გვ.3]. ავუნკულატის შესახებ პირველი მითითება ეკუთვნის ტაციტუსს, რომლის მიხედვითაც, გერმანელები საკუთარი შვილებივით ექცეოდნენ დის ვაჟიშვილებს [3.82, გვ.3]. ტაციტუსის მომდევნო ეპოქის მწერლებთანაც ვხვდებით სხვადასხვა ცნობებს ავუნკულატის ნიშნების შესახებ, მაგრამ პრობლემის მეცნიერულ შესწავლას საფუძველი ჩაეყარა მხოლოდ XIX ს.-ის მეორე ნახევარში, როდესაც თვით ეთნოგრაფია გაფორმდა ცალკე სამეცნიერო დისციპლინად.

მსოფლიოს ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში დაფიქსირებულია ავუნკულატის უამრავი მაგალითი ნათესაობის როგორც მატრიხაზოვანი [2.47, გვ.30; 2.52, გვ.43; 3.107, გვ.23-24; 2.66, გვ.122; 3.195, გვ.95], ისე პატრიხაზოვანი ათვლის მქონე ხალხების ყოფაში [2.68, გვ.16; 3.158, გვ.393; 3.165, გვ.595; 3.168, გვ.349; 3.170, გვ.560; 3.171, გვ.610-612; 3.172, გვ.530; 3.177, გვ.407-408; 3.183, გვ.478-480; 3.184, გვ.113-114; 3.187, გვ.189; 3.189, გვ.52; 3.208, გვ.107], თუმცა ზოგჯერ გვხვდება ავუნკულატის არარსებობის შემთხვევებიც [3.195, გვ.94; 3.206, გვ.269].

ავუნკულატის წარმოშობის შესახებ არსებობს განსხვავებული მოსაზრებები [2.47, გვ.28-29; 2.66, გვ.92; 3.79, გვ.52; 3.82, გვ.10-12; 3.102, გვ.19], რაც დღესდღეობით პრობლემის გადაუჭრელობაზე მიუთითებს.

საქართველოს ცალკეულ კუთხეებში არსებული ურთიერთობები დედის ძმასა

და დისწულს შორის ყოველთვის იყო მკვლევართა ყურადღების ობიექტი [2.12, გვ.218; 2.19, გვ.157-164; 2.22, გვ.180-186; 2.25, გვ.94-97; 2.35, გვ.77; 2.41, გვ.21; 2.46, გვ.9; 2.47, გვ.33-35; 3.28, გვ.146; 4.2, გვ.79; 4.4, გვ.117]. ეთნოგრაფიული მასალებისა და ლიტერატურის მონაცემების ანალიზი მთიულეთ-გუდამაყარში არსებული ვითარების წარმოჩენის შესაძლებლობას იძლევა.

ირკვევა, რომ საკვლევ კუთხეებში დის შვილები გამორიცხულნი იყვნენ დედის ძმის მემკვიდრეთა წრიდან. წერილობითი წყაროები ამ მომენტის ტრადიციულობის დადგენის საშუალებას იძლევა. კერძოდ, "ძეგლის დადება", რომლის დიდი ნაწილი ეხება სწორედ მემკვიდრეობით, უფლებრივ-ქონებრივ საკითხებს, საერთოდ არ მოიხსენიებს დედის ძმას. ეს ვითარება საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ არც XIV ს. არსებობდა მემკვიდრეობითი ურთიერთობა დედის ძმასა და დისწულს შორის მთიულეთსა და გუდამაყარში. უფრო ადრინდელი ვითარების წარმოდგენა რთულდება შესაბამისი წერილობითი წყაროების უქონლობის გამო.

საინტერესო შედეგებს იძლევა დედის ძმის როლის განხილვა დისწულის გათხოვებაში. ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით, ვაჟის მხარის მიერ არჩეული მაჭანკალი ზოგჯერ მიდიოდა საცოლედ შეგულებული ქალის დედის ძმასთან და სთხოვდა მას თანხმობას დისწულის გათხოვებაში, თუმცა დედის ძმას არ შეეძლო დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღება და ის ქალის მამის სახლს დაეკითხებოდა ხოლმე [2.32, გვ.90-92]. ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში მთავარია ქალის გათხოვებაში მისი ოჯახის მთავარი როლი, რაზედაც ადრე ჩვენ უკვე ვისაუბრეთ და რაც ციტირებული ნაწყვეტიდანაც თვალნათლივ ჩანს.

ეთნოგრაფიული მასალებიდან ირკვევა, რომ დედის ძმას არ ჰქონდა სპეციფიკური მნიშვნელობა არც ცხოვრების სხვა სფეროებში. ყოველივე ეს კი მიუთითებს, რომ ავუნკულატი XIX-XX სს.-ის მიჯნის მთიულეთსა და გუდამაყარში არ არსებობდა.

ჩვენ განვიხილეთ დედისა და დედის ძმისთვის დამახასიათებელი თავისებურებები. დანარჩენ ნათესავებს, დედის ძმის მსგავსად, არა აქვთ მნიშვნელობა ეგოსთვის უფლებრივ-ქონებრივ ასპექტში. ამიტომ მათ აღარ შევეხებით.

სისხლით ნათესავებს შორის ურთიერთობების განხილვის შემდეგ დიდ ინტერესს იწვევს აგნატი და დედის მხრიდან ნათესავების შედარება, რაც აგნატური ნათესაობის სრულიად ცხად უპირატესობას ავლენს უფლებრივ-ქონებრივ ასპექტში. ეს გამოიხატება იმ ფაქტშიც, რომ ეგოსთვის გარკვეული სოციალური მნიშვნელობა ჰქონდათ ბევრად მეტი რაოდენობის აგნატებს, ვიდრე დედის მხრიდან ნათესავებს.

სისხლით ნათესავებს შორის არსებული სოციალური დამოკიდებულებების

განხილვის შემდეგ შესაძლებელი ხდება ნათესაობის ტერმინოლოგიის გამომწვევი სოციალური ინსტიტუტების დადგენა. ამ პრობლემას ჩვენ მომდევნო თავში შევეხებით.

## § 7. ხელოვნური ნათესაობა მთიულეთსა და გუდამაყარში

ნათესავებს შორის არსებული დამოკიდებულების სრული სახით წარმოსაჩენად აუცილებელია ხელოვნური ნათესაობის თავისებურებათა გამოვლენაც.

ხელოვნური ნათესაობის ერთ-ერთ საინტერესო და გავრცელებულ სახეს წარმოადგენს ძმადგაფიცვა.

სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის მონაცემებისა და ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, საქართველოში და, კერძოდ, მთიულეთსა და გუდამაყარში, არსებობდა ძმათგაფიცვის ტრადიცია [3.2, გვ.64; 1.1]. დაძმობილების წარმოშობის მოტივებსა და ძმადნაფიცთა შორის არსებული ურთიერთობის ზოგიერთ მხარეს კარგად წარმოაჩენს ვ. ბარდაველიძის მიერ დაფიქსირებული შემდეგი მაგალითი:

მთიულეთის სოფელ ყველაანში მცხოვრები მიხეილ ყველაიძე და მეზობელი სოფლის გოგნაურის მკვიდრი ანდრია ოგბაიძე ერთმანეთს ემტერებოდნენ ფულისა და მიწის გამო. ერთხელ ისინი შემთხვევით შეხვდნენ ერთმანეთს საზოგადოებრივ ადგილზე. ყველაიძე თურმე ძლივს იკავებდა თავს, რომ მეშულლესთან ჩხუბი არ მოსვლოდა. ამ დროს მასთან მივიდა ოგბაიძე და ძმადგაფიცვა სთხოვა. ყველაიძეს გაუხარდა და ისინი ფიცვერცხლით გაეფიცნენ ერთმანეთს. ყველაიძემ სადავო ფული და მიწა აჩუქა ოგბაიძეს, ოგბაიძემ კი მის ცოლს ცხვარი მიართვა. მათ ერთმანეთი სიკვდილსაც კი გადაარჩინეს [3.2, გვ.$66_2$].

რა თქმა უნდა, ძმადნაფიცობის წარმოქმნა ყოველთვის პირადი მტრობის მოსპობის სურვილით არ იყო განპირობებული. მისი წარმოშობის უფრო ხშირ და ძირითად მოტივს პირადი მეგობრობის განმტკიცების სურვილი წარმოადგენდა. ისიც ცხადია, რომ მათი ურთიერთობა ყოველთვის არ ვითარდებოდა ციტირებული მაგალითის მსგავსად. შეიძლებოდა ძმადნაფიცს არ ჰქონოდა უხვი საჩუქრების გაცემის საშუალება, ან რაიმე კონკრეტულ ვითარებაში ფიზიკურად არ შეეძლო დახმარების გაწევა. ამიტომ ძმადნაფიცებს შორის არსებულ ურთიერთობებს საფუძვლად ედო საჭიროების შემთხვევაში შესაძლებლობების არსებობისას თანადგომის გაწევის მორალური ვალდებულება. ბუნებრივია, რომ ეს პრინციპი მრავალნაირად ხორციელდებოდა ცხოვრების სხვადასხვა სფეროში.

საყურადღებოა, რომ ძმადნაფიცების ოჯახებსა და მათ შთამომავლებს შორის არსებობდა ეგზოგამიის ნორმები, რომლებიც ნარჩუნდებოდა იქამდე, სადამდეც შთამომავლებს ახსოვდათ წინაპრების ძმადნაფიცობის ფაქტი.

ძმადნაფიცებს შორის არ არსებობდა მემკვიდრეობითი კავშირები. შეიძლებოდა კაცს გაჭირვებაში ჩავარდნილი ძმადნაფიცისთვის მიეცა თავისი საქონლის ნაწილი, მაგრამ ძმადნაფიცები ერთმანეთის მემკვიდრეებს არ წარმოადგენდნენ.

როგორც ვხედავთ, ძმადნაფიცობა იყო ორი პირის ხელოვნურად დანათესავების ფორმა, რომელშიც ვლინდებოდა სისხლით ნათესაობის ერთ-ერთი თავისებურება ეგზოგამია. ეს ნიშანი, თავის მხრივ, მიუთითებს იმაზე, რომ ძმადნაფიცობის ზოგიერთი პრინციპი ვრცელდებოდა ძმობილთა შთამომავლობაზედაც, რის გამოც ძმადნაფიცობა წარმოადგენდა არა მარტო ინდივიდებს, არამედ ინდივიდების საშუალებით კოლექტივებს - ძმადნაფიცთა ნათესავებს შორის დადებულ გარკვეულ შეთანხმებასაც, რაც ძირითადად სწორედ ეგზოგამიურ აკრძალვებში გამოიხატებოდა.

ძმადგაფიცვის გარდა, საკვლევ კუთხეებში დავაფიქსირეთ და-ძმად გაფიცვისა და დადგაფიცვის მაგალითებიც. ხელოვნური ნათესაობის ორივე ეს ფორმა ფუნქციონირებდა იგივე საფუძვლებზე, რაზედაც ძმადგაფიცვა და მისგან განსხვავდებოდა მხოლოდ რიტუალური თავისებურებებით: ხსენებული კავშირები იქმნებოდა გამფიცველთა მიერ ვერცხლგარეული რძის დალევის შედეგად [1.1].

ამრიგად, ძმადგაფიცვა, და - ძმადგაფიცვა და დადგაფიცვა კომპლექსში ქმნიდა ხელოვნური ნათესაობის გარკვეულ ტიპს, რომელშიც ვლინდებოდა დახმარების საჭიროებისა და მისი შეძლების პირობებში გაფიცულის თანადგომის მორალური ვალდებულება. ცხადია, რომ ეს მომენტი ძალიან აახლოებდა ადამიანებს, რასაც გამოხატავს ხსენებულ ურთიერთობებზე უახლოესი ნათესავების - სიბლინგების - აღმნიშვნელი ტერმინების გავრცელება.

დიდ ინტერესს იწვევს ძმადგაფიცვის რიტუალში სისხლის არსებობის ფაქტი. ლიტერატურაში გამოთქმული ერთ-ერთი მოსაზრების მიხედვით, რადგანაც ნათესაობა დაფუძნებულია სისხლის ერთიანობაზე, ძმადგაფიცულთა კავშირები იქმნება სისხლის დალევის, ან გაცვლის შედეგად [2.11, გვ.60; 2,62, გვ.156]. ვფიქრობთ, რომ ეს შეხედულება მართებულად წარმოაჩენს სისხლის, როგორც სიმბოლოს, მნიშვნელობას ძმადგაფიცვის რიტუალში.

ხელოვნური ნათესაობის საინტერესო ფორმაა შვილად აყვანა.

შვილად აყვანა წარმოიშვა თავდაპირველი სოციალური განშრევების პერიოდში, პირველყოფილი საზოგადოების დაშლის ეპოქაში [3.128, გვ.87].

შვილად აყვანის ტრადიცია არსებობდა მთიულეთსა და გუდამაყარშიც. ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, უვაჟო კაცს შეეძლო აეყვანა ბავშვი მისი დედ-მამის თანხმობით. ეს ბავშვი ძირითადად მისი ნათესავი, ან მოგვარე იქნებოდა.

შვილად აყვანის შემდეგ იხდიდნენ მის ძეობას, ასაკის მიუხედავად. ძეობას ესწრებოდა მღვდელი. ნაშვილებს მეორედ აღარ ნათლავდნენ.

ნაშვილები იღებდა ნამდვილი შვილის სტატუსს[34] თუ ის არანათესავი იყო, მასზე ვრცელდებოდა ეგზოგამიის წესები.

შვილად აყვანის ინსტიტუტში ყურადღებას იპყრობს შვილობილის არჩევისას ნათესავების, ან მოგვარეების პრიორიტეტი სხვა გვარის წევრებთან, არანათესავებთან შედარებით. მსგავსი ვითარება დადასტურებულია სხვა ხალხების ყოფაშიც [3.216, გვ.296-298; 4.5, გვ.121]. ვფიქრობთ, რომ ხსენებული ტენდენცია გამოხატავს შვილად ამყვანის სურვილს გვერდით იყოლიოს ბიოლოგიურად ახლობელი ადამიანი.

შვილად აყვანაზე საუბრისას წამოიჭრება კითხვა - რამდენად მართებულია ამ ინსტიტუტს ვუწოდოთ ხელოვნური ნათესაობა?

ვფიქრობთ, რომ როდესაც ვლაპარაკობთ ახლო ნათესავის, ან მოგვარის შვილად აყვანაზე, ტერმინი "ხელოვნური ნათესაობა" გაუმართლებელია, რადგან მოგვარეც კი საკვლევ კუთხეებში იდენტიფიცირებულია ნათესავთან. ამიტომ უფრო მართებული იქნებოდა ხსენებული ვითარებისათვის გვეწოდებინა "ნათესავის სტატუსის ხელოვნური შეცვლა"[35]

ხელოვნური დანათესავების კიდევ ერთ ფორმას წარმოადგენს უცხო პირის გვარში მიღება მის მიერ გვარის წევრთა ყველა უფლება-მოვალეობის გაზიარების პირობით. ხშირ შემთხვევაში ეს იყო მკვლელი, რომელიც ცდილობდა მისთვის უცხო რომელიმე სოფელში დამალვოდა შურისძიებას და მიდიოდა იქ ამანათად. ამანათი იყო მფარველობის მძებნელი პირი, რომელიც ეკუთვნოდა სხვა თემს [2.43, გვ.9]. ის ზოგჯერ იღებდა სოფელში მცხოვრებ პირთა გვარს. ამ შემთხვევაში ხელოვნურად დანათესავებულზე გადადიოდა სისხლით ნათესაობისათვის დამახასიათებელი პრაქტიკულად ყველა ნიშან თვისება. ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, ამანათობის საშუალებით ფართოვდებოდა ხელოვნური ნათესაობის წრე მთიელთა ტერიტორიულ თემში; ამანათობა წარმოადგენდა ამ ნათესაობის განმტკიცების ერთ-ერთ საშუალებას ტერიტორიული თემის სტუქტურაში [4.7, გვ. 42].

ხელოვნური ნათესაობის საინტერესო მხარეს წარმოადგენს მონათვლით წარმოქმნილი ნათესაობა.

მონათვლა არის ქრისტიანული წესი, რომელიც მიმართულია ახალდაბადებულის ქრისტიანული ეკლესიის რიგებში მიღებისაკენ. საბჭოთა ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში არსებული ერთ-ერთი თვალსაზრისის მიხედვით, ქრისტიანული ნათლიის უფლება-მოვალეობები არის დედის ძმის უფლება-მოვალეობების ტრანსფორმირებული ფორმა [3.84, გვ.107].

მთიულეთსა და გუდამაყარში ბავშვის ნათლია იყო მისი მშობლების მეჯვარე ქორწილში. მეჯვარე-ნათლიად, როგორც წესი, სხვა გვარის უახლოეს მეზობელს ნიშნავდნენ[36] ნათლიისა და ნათლიმამის გვარებს შორის რიგების შეცვლა არ შეიძლებოდა. მეჯვარე ნეფის უახლოესი ამხანაგი იყო. ძმადნაფიცი ნათლია ვერ იქნებოდა, რადგანაც მათ შორის უკვე არსებობდა ნათე-

საური ურთიერთობა. თუ სოფელი მონოგენური იყო, მეჯვარეს სხვა გვარიდან და სოფლიდან აიყვანდნენ, პოლიგენურ სოფლებში კი მეჯვარედ თანასოფლელს ნიშნავდნენ.

ნათლიასა და მონათლულის ოჯახებს შორის არსებობდა გარკვეული ურთიერთობები. მაგალითად, ზოგჯერ ვაჟიანთა ოჯახი ქალის მშობლებთან ქალის ნათლიას მიგზავნიდა ხოლმე შუამავლად. გარდა ამისა, მონათლულისა და ნათლიის ოჯახებს შორის არსებობდა ეგზოგამიის წესები, რომლებიც ნარჩუნდებოდა იქამდე, სადამდეც მათ ახსოვდათ ნათელმირონის ფუნქციონირების ფაქტი.

ზემოგანხილული მასალების ანალიზის შედეგად შესაძლებელი ხდება ხელოვნური ნათესაობის ორი ტიპის გამოყოფა:

1. ნათესაობა, რომლის საშუალებითაც ნათესაურ სტატუსს სრული სახით იღებს ის პირი, რომელსაც ადრე არავითარი კავშირი არ ჰქონდა ამ სტატუსთან. ასეთ შემთხვევათა რიგს მიეკუთვნება გვარში უცხო პირის მიღება და არანათესავის, არამოგვარის შვილად აყვანა.

2. ნათესაობა, რომელზედაც ვრცელდება მხოლოდ ზოგიერთი სისხლით ნათესაობის პრინციპი, კონკრეტულად კი ეგზოგამია, რომელიც ხელოვნურად დანათესავებულ პირებს და მათ შთამომავლობასაც უკრძალავს გარკვეული პერიოდით ქორწინებას. ასეთ ურთიერთობათა რიცხვს მიეკუთვნება ძმად გაფიცვა, დედგაფიცვა, და-ძმად გაფიცვა და მონათვლით შექმნილი დამოკიდებულება.

გარდა ამისა, გამოიყოფა მოგვარის, ან ახლო ნათესავის შვილად აყვანა, რაც წარმოადგენს სისხლით ნათესაობის სტრუქტურაში ნათესავის სტატუსის შეცვლის ერთ-ერთ სახეობას.

ვფიქრობთ, რომ გამოვლენილი განსხვავებები კარგად წარმოაჩენს ხელოვნური ნათესაობის რთულსა და მრავალმხრივ ბუნებას, რომლის უფრო დაწვრილებითი კვლევა მომავლის საქმეა.

## თ ა ვ ი  მ ე ს ა მ ე

# ნათესაობის ტერმინოლოგიის სოციალური განპირობებულობისა და ტიპოლოგიის საკითხები მთიულეთსა და გუდამაყარში

## § 1. ნათესაობის ტერმინოლოგიის სოციალური განპირობებულობის ზოგიერთი საკითხი ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში

ნათესაობის სისტემის კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენს ტერმინოლოგიის წარმომქმნელი სოციალური ინსტიტუტების გამოვლენა. ბუნებრივია, რომ ნათესაობის ნომენკლატურებისა და სოციალური ორგანიზაციების კავშირის ზოგადი პრობლემა ყოველთვის იდგა მკვლევართა ყურადღების ცენტრში.

ლ. მორგანი ნათესაობის ტერმინებს თვლიდა იმ სოციალური ინსტიტუტების წარმონაქმნად, რომლებიც ტერმინოლოგიის ფუნქციონირების პერიოდში აღარ არსებობდნენ [2.53, გვ. 118-119]. ამიტომ ნათესაობის ნომენკლატურა ლ. მორგანისთვის წარმოადგენდა საისტორიო წყაროს, რომლის მიხედვითაც ის ცდილობდა აღედგინა საზოგადოების განვითარების განვლილი საფეხურები.

პრინციპულად სხვა თვალსაზრისი წამოაყენა ინგლისელმა ანთროპოლოგმა ა. რ. რედკლიფ-ბრაუნმა. მისი აზრით, ნათესაობის ნომენკლატურა ასახავს არა წარსულ, არამედ თანამედროვე მდგომარეობას [2.68, გვ.61].მსგავსი მოსაზრება გამოთქვა ამერიკელმა ეთნოგრაფმა რ. ლოუიმაც [2.66, გვ.75], რომელმაც, ამავე დროს, მიუთითა, რომ ყველა ტერმინოლოგიური თავისებურების სოციალური მიზეზებით ახსნა შეუძლებელია [2.66, გვ. 130].

ლ. მორგანის ·დებულება მიიღო საბჭოთა მკვლევართა დიდმა ნაწილმა [3.65; 3.118]. ამავე დროს, ზოგიერთმა საბჭოთა ეთნოგრაფმა 30-40 - იან წლებში გაიზიარა თეზისი ნათესაობის ნომენკლატურის მიერ ქრონოლოგიურად

შესაბამისი სოციალური ინსტიტუტების ასახვის შესახებ [3.96, გვ.69; 3.104, გვ.6]. ამ დებულების ყველაზე თანმიმდევრულ გამტარებლად მომდევნო პერიოდში მოგვევლინა ლ. ოლდეროგე, რომელმაც მიიჩნია, რომ ნათესაობის სისტემა საკმაოდ ზუსტად გამოხატავს ცვლილებებს საზოგადოებრივ წყობაში და წარმოადგენს, ერთი მხრივ, საზოგადოებრივ სტუქტურაში რეალურად არსებული ურთიერთობების ასახვას ენაში, მეორეს მხრივ, თავად წარმოადგენს ენის ლექსიკური შემადგენლობის ნაწილს და არ შეიძლება შენარჩუნდეს ათასწლეულების მანძილზე, როგორც ამას თვლიდა მორგანი [3.103, გვ.30-31].

ზემოთ მოცემული ორი შეხედულების გარკვეულ სინთეზს წარმოადგენს საბჭოთა ეთნოგრაფების ე. კრიჩევსკისა და ლ. შტერნბერგის მსგავსი მოსაზრებები, რომელთა მიხედვითაც, ნათესაობის ნომენკლატურა არის არსებული, ან უკვე გამქრალი სოციალური ურთიერთობების გამოხატულება [3.86, გვ.260; 2.60, გვ.27]. დაახლოებით იგივე აზრისაა საბჭოთა ეთნოგრაფი ნ. გირენკო, რომელიც ნათესაობის ტერმინოლოგიას, სოციალურ ურთიერთობათა სისტემასთან შედარებით, უფრო ინერტულად მიიჩნევს და, ამავე დროს, უშვებს, რომ საზოგადოების განვითარების წინა ეტაპზე წარმოქმნილი ეს ტერმინოლოგია რეალურ ნათესაურ და სოციალურ ურთიერთობებს გამოხატავს. ნომენკლატურის ახალი ელემენტები იქმნება ძველი კატეგორიების გამოყენების შეუძლებლობის, ან მათი არასაკმარისობის დროს. ამიტომ ნათესაობის ტერმინების სისტემაში შეიძლება არსებობდეს ტერმინთა ისეთი ჯგუფები, რომლებიც მთელი სისტემის წარმოქმნის სხვადასხვა ეტაპებს მიეკუთვნება. ეს განაპირობებს ტერმინოლოგიის საისტორიო წყაროდ გამოყენების შესაძლებლობას [3.56, გვ.49; 3.57, გვ.16].

ნათესაობის ნომენკლატურების სოციალური განპირობებულობის პრობლემის მეორე მხარეს წარმოადგენს მათი წარმომქმნელი სოციალური ინსტიტუტების რაობის საკითხი.

ლ.მორგანი თვლიდა, რომ ნათესაობის ტერმინოლოგია შეიძლება წარმოიშვას ოჯახისა და ქორწინების ფორმების მიერ [2.53, გვ.220-221]. ეთნოგრაფიული მეცნიერების განვითარებამ გამოავლინა, რომ ტერმინოლოგიური თავისებურებების შექმნა შესაძლებელია სხვა სოციალური ინსტიტუტებითაც, რომელთა შორისაცაა ეგზოგამია, ლევირატისა და სორორატის ნორმები, ნათესავებს შორის არსებული უფლებრივი ურთიერთობები, ნათესავთა სტატუსები და სხვა [2.66, გვ.48-64; 3.203, გვ.198].

როგორც ვხედავთ, ნათესაობის ტერმინოლოგიის სოციალური განპირობებულობის პრობლემის ირგვლივ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა, რაც ძირითადად შეეხება ტერმინოლოგიისა და მისი წარმომქმნელი სოციალური ინსტიტუტების ქრონოლოგიური შესაბამისობის საკითხს. ამასთან დაკავშირებით, დიდ ინტერესს იწვევს მთიულეთისა და გუდამაყრის

ნომენკლატურის თავისებურებების წარმომქმნელი სოციალური ინსტიტუტების რაობის დადგენა, რაც გარკვეულ წვლილს შეიტანს ზემოხსენებული ზოგადი პრობლემის გადაწყვეტის საქმეში.

## § 2. მთიულეთისა და გუდამაყრის ნათესაობის ტერმინოლოგიის გამომწვევი სოციალური თავისებურებები

ტერმინოლოგიური თავისებურებებისა და ნათესავებს შორის არსებული ურთიერთობებისათვის დამახასიათებელი ნიშნების შეჯერება საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ ტერმინოლოგიის გამომწვევი სოციალური საფუძვლები და განვსაზღვროთ მათი ქრონოლოგიური შესაბამისობა ტერმინოლოგიურ თავისებურებებთან.

ნათესაობის ტერმინოლოგიების საინტერესო ნიშანს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ სისხლით ნათესავებს შორის არსებული ქორწინების შემთხვევაში ერთი და იგივე პირი შეიძლება აღინიშნოს როგორც მოკეთეობის, ისე სისხლით ნათესაობის ამსახველი ტერმინით [2.51, გვ. 160-162; 2.65, გვ. 125; 3.41, გვ. 204; 3.139, გვ. 81-82; 3.154, გვ. 35; 3.173, გვ. 560-561; 3.175, გვ. 607; 3.178, გვ. 406-409; 3.204, გვ. 413][37] ცხადია, რომ ისეთ საზოგადოებებში, სადაც მკაცრად არის აკრძალული ქორწინება ნებისმიერ სისხლით ნათესავთან, სისხლითნათესაობის და მოკეთეობის ტერმინოლოგიები მკაფიოდ უნდა იყოს გამიჯნული ერთმანეთისაგან. ასეთ ვითარებას ვხვდებით სწორედ მთიულეთისა და გუდამაყრის ნათესაობის ტერმინოლოგიაში და ამ თავისებურებას კარგად შეესაბამება მკაცრად დაცული ნათესაური ეგზოგამიის ნორმები ხსენებულ კუთხეებში[38] მეტად საინტერესოა ის ფაქტი, რომ ახლაც მთიულეთსა და გუდამაყარში დაცულია ქორწინების აკრძალვა ნებისმიერ ნათესავთან, რაც ამ შემთხვევაში მიუთითებს ნათესაობის ტერმინოლოგიისა და სოციალური ინსტიტუტების ქრონოლოგიურ შესაბამისობაზე. საყურადღებოა, რომ სისხლითნათესაობის და მოკეთეობის ნომენკლატურების ერთმანეთისაგან გამიჯვნას გამოხატავს მეუღლეებისა და სისხლით ნათესავების მეუღლეთა ტერმინების სიგნიფიკატუმებში მოქცეული კომპონენტი-"სისხლითნათესაური კავშირების არარსებობა".

მთიულეთისა და გუდამაყარის ეთნოგრაფიული რეალობის საინტერესო ნიშანს წარმოადგენს ნათესაური ეგზოგამიის პრინციპების გავრცელება მშობლების მოგვარეებსა და ქალი მოგვარის შვილებზედაც. უკანასკნელ ხანებში შეინიშნება ქორწინების იშვიათი შემთხვევები მოგვარეებს შორის, მაგრამ ხალხს ეს წესის დარღვევად მიაჩნია. ამიტომ მოგვარეებს შორის ქორწინების შეუძლებლობის რწმენა ახლაც საკმაოდ ძლიერია ადგილობრივ

მოსახლეობაში. ამ მოვლენას კარგად შეესაბამება სისხლითნათესაობის ტერმინების გავრცელება მშობლების მოგვარეებზე და ქალი მოგვარის შვილებზედაც, ე. ი. ყველა იმ პირზე, ვისთანაც არ შეიძლება ქორწინება. ეს ფაქტი აისახება ქალი მოგვარის შვილების აღმნიშვნელი ტერმინების სიგნიფიკატუმში კომპონენტ "მესამე გვარის" არსებობაშიც.

ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში ცნობილია სისხლითნათესაობის აღმნიშვნელი ტერმინების ნეიტრალურ პირებზე გავრცელების მაგალითები [3.164, გვ.80]. ერთი შეხედვით, საკვლევ კუთხეებში იდენტურ ვითარებასთან გვაქვს საქმე, მაგრამ მსგავსება აქ მხოლოდ გარეგნულ ხასიათს ატარებს, რადგანაც სისხლითნათესაობის ტერმინების გავრცელება ნეიტრალურ პირებზე მხოლოდ მიმართვის ფორმაში გამოიხატება და ნებისმიერი ადამიანის მიმართ შეიძლება იქნეს გამოყენებული ეგოს ნება-სურვილის მიხედვით. ამ შემთხვევაში ნათესაობის ტერმინი ხშირად ზრდილობიანი მიმართვის ფორმას იღებს. სრულიად სხვა ვითარებაა მშობლების მოგვარეებსა და ქალი მოგვარის შვილებზე სისხლითნათესაობის ტერმინების გავრცელების შემთხვევაში. ამ დროს ტერმინი ატარებს უკვე არა მიმართვის, არამედ აღნიშვნის ფორმას და ვრცელდება მხოლოდ გარკვეული გვარის, ასაკისა და სქესის ნიშნის მატარებელ პირზე. მაგალითად, რომელიმე წიკლაური მამის ასაკის მოგვარე მამაკაცზე იტყვის, რომ ის მას ბიძად ეკუთვნის, ღედის მოგვარე და მისი ასაკის მამაკაცს ღედიძმად მოიხსენიებს და ა. შ. ასეთი მდგომარეობის გამო ცხადია, რომ მთიულეთსა და გუდამაყარში მშობლების მოგვარეებსა და ქალი მოგვარის შვილებზე ნათესაობის ტერმინების გავრცელებას მკაფიოდ გამოხატული ნორმატიული ხასიათი აქვს[39] ეს ვითარება, მოგვარეებზე გავრცელებული ნათესაური ეგზოგამიის გარდა, დაკავშირებულია მოგვარეებს შორის არსებულ იდეოლოგიურ ერთიანობასთანაც, რომელიც გამოხატულია საერთო წარმომავლობის პრინციპებზე დაფუძნებული გვარზე გავრცელებულ ეგზოგამიის ნორმებში. ამ შემთხვევაში საერთო წარმომავლობის რწმენა და ეგზოგამია საკმაოდ მტკიცედ ჩანს ურთიერთგადაჯაჭვული[40] და ორივე თავისებურებას ერთად შეესაბამება სისხლით ნათესაობის აღმნიშვნელი ფართო შინაარსის მომცველი ტერმინები[41]

ქორწინების ფორმას კარგად უჩვენებს მეუღლეების აღმნიშვნელი ტერმინების ხასიათი.

როგორც ეთნოგრაფიული ლიტერატურიდანაა ცნობილი, არსებობს ნათესაობის ისეთი ტერმინოლოგიები, რომლებშიც ტერმინებს-"ცოლი" და "ქმარი", ან ერთ-ერთ მათგანს, აქვთ კლასიფიკატორული ხასიათი. ასეთი ვითარების არსებობა შესაძლებელია მხოლოდ იმ საზოგადოებებში, სადაც დაშვებულია სქესობრივი ურთიერთობები რამდენიმე გარკვეულ პირთან, ან მეუღლის რამდენიმე სისხლით ნათესავთან ერთდროული ქორწინება მეუღლის სიცოცხლეში. ასეთ შემთხვევაში ტერმინები-"ცოლი" და "ქმარი"-ვრცელდება

ყველა იმ პირზე, ვისთანაც შესაძლებელია სქესობრივი ურთიერთობების დამყარება და ვისთანაც ქორწინება დაშვებულია [2.60, გვ.25; 3.192, გვ.136, 166]. ვფიქრობთ, რომ მთიულეთსა და გუდამაყარში ტერმინების - "ცოლი" და "ქმარი" - ინდივიდუალური ხასიათი უნდა გამორიცხავდეს მეუღლის გარდა სხვა პირთან ლეგალური და წეს-ჩვეულებებით განპირობებული სქესობრივი ურთიერთობებისა და ერთდროულად რამდენიმე მეუღლის არსებობის შესაძლებლობას. ეთნოგრაფიული მასალები ამტკიცებს ტერმინოლოგიის ანალიზის შედეგად წარმოქმნილი ვარაუდის მართებულობას, რადგანაც მთიულეთსა და გუდამაყარში ადამიანს ერთდროულად ორი მეუღლე არ შეიძლება ჰყავდეს და, ამავე დროს, სქესობრივი ურთიერთობა მეუღლის გარდა სხვა პირთან დაშვებული არაა.

ყურადღებას იპყრობს ის ფაქტიც, რომ სისხლითნათესაობის ინდივიდუალური ტერმინები აღნიშნავს იმ პირებს, რომლებიც სხვადასხვა დროს შეიძლება შედიოდნენ ინდივიდუალური ოჯახის შემადგენლობაში. ეს ტერმინებია: "მამა", "დედა", "ძმა", "და", "შვილი", "ქალი". მათი ხასიათი, ზემოთ განხილულ თავისებურებებთან ერთად, მიუთითებს ინდივიდუალური ოჯახის არსებობაზე[42], რომელიც წარმოადგენდა ოჯახის გაბატონებულ ფორმას მთიულეთსა და გუდამაყარში[43]

გაანალიზებული თავისებურებები თანაარსებობენ მათ წარმომქმნელ სოციალურ საფუძვლებთან.

მთიულეთისა და გუდამაყრის რეფერენტული ტერმინოლოგიის დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს ნათესაობის პირდაპირი ხაზის გვერდითისაგან გამიჯვნის ფაქტი პირველ აღმავალ, ნულოვან და ორივე დაღმავალ თაობებში. როგორც ზემოთ მოყვანილი მასალებიდან ჩანს, ნათესაობის პირდაპირი ხაზის გამოყოფას გვერდითისაგან პირველ აღმავალ და პირველ დაღმავალ თაობებში და პირველი რიგის ნათესაობის გამიჯვნას მეორე რიგის კოლატერალური ნათესაობისაგან ნულოვან თაობაში საფუძვლად უდევს ინდივიდუალური ოჯახის არსებობა საკვლევ კუთხეებში. გარდა ამისა, ვფიქრობთ, რომ ნათესაობის ხაზების ერთმანეთისაგან გამიჯვნა მიუთითებს რომელიმე ხაზის ნათესაობის მეტ მნიშვნელობაზე უფლებრივ-ქონებრივ ასპექტში. ნათესაობის ტერმინოლოგიას შეუძლია მხოლოდ მიუთითოს, რომ რომელიმე ხაზის ნათესაობა მეორესთან შედარებით დაწინაურებულია, მაგრამ მას არ შეუძლია გვაჩვენოს დაწინაურებული ნათესავის ვინაობა. ამის დადგენა მხოლოდ ნათესავებს შორის არსებული სოციალური ურთიერთობების ამსახველი ეთნოგრაფიული მასალების ანალიზითაა შესაძლებელი. მაგალითად, საკვლევი კუთხეების ზემოხსენებული ტერმინოლოგიური თავისებურება მიუთითებს იმაზე, რომ ნათესაობის პირდაპირი ხაზი განსხვავდება გვერდითისაგან, მაგრამ არ უჩვენებს, რომელი ხაზის ნათესაობაა დაწინაურებული უფლებრივ-ქონებრივ ასპექტში. სხვა რიგის ეთნოგრაფიული მასალებიდან კი ჩანს, რომ ნათესაობის პირდაპირი

ხაზი უფრო მნიშვნელოვანია ეგოსთვის სოციალურ ასპექტში: მამა უფრო ახლობელია გვერდითი ხაზის აგნატებთან შედარებით და დედა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე დედის მხრიდან გვერდითი ნათესავები.

ცხადია, რომ ასეთი შესაბამისობის არსებობა გულისხმობს ნათესაობის პირდაპირი და გვერდითი ხაზების შერწყმას იმ შემთხვევაში, როდესაც მათ წარმომადგენლებს შორის არაა დიდი განსხვავება სოციალურ ასპექტში. სწორედ ასეთ ვითარებას ვხვდებით +2 თაობაში, სადაც ტერმინოლოგიურად შერწყმულია პირდაპირი-გვერდითი ხაზები. ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, მშობლის დედასა და სხვა ბებიებს შორის არაა განსხვავება, რადგანაც მათ პრაქტიკულად არავითარი სოციალური მნიშვნელობა არა აქვთ ეგოს ცხოვრებაში. ასევე თანაბრად უმნიშვნელონი არიან დედის მამა და დედის მამის ძმა. გარკვეული როლი აქვს მხოლოდ მამის მამას, რადგანაც ეგო, საბოლოო ჯამში, მის იმ ქონებასაც იღებს მემკვიდრეობით, რომელსაც მამის მამა თავის ვაჟს, ეგოს მამას, გადასცემს, მაგრამ ასეთი კავშირები, როგორც ჩანს, არ აისახება რეფერენტულ ტერმინოლოგიაში.

ნათესაობის ხაზების შერწყმისას ამ ხაზების ნათესავების მსგავსებას უფლებრივ-ქონებრივ ასპექტში ვხვდებით კოლატერალური ნათესაობის ამსახველ ნომენკლატურაში, სადაც არ არის დაცული დაყოფა ხაზობრიობის პრინციპების მიხედვით +1 და −1 თაობებში და ნაწილობრივ დაცულია 0 თაობაში. ეს კარგად შეესაბამება არსებულ ვითარებას, რომლის მიხედვითაც ბიოლოგიურად ყველაზე ახლობელ გვერდით ნათესავს არა აქვს ისეთი განსაკუთრებულად დიდი მნიშვნელობა დანარჩენ, ხაზობრივად უფრო დაშორებულ, მაგრამ სხვა მხრივ იგივე ფორმალური ნიშნების მქონე ნათესავებთან შედარებით, რომ ის გამოყოფილი იყოს მათგან. მაგალითად, მამის ძმას არა აქვს რეალურად უფრო მეტი სოციალური მნიშვნელობა მამის მამის ძმის ვაჟთან შედარებით. ამიტომ ისინი ტერმინოლოგიურად შერწყმულია ერთმანეთთან. იგივე თქმა შეიძლება დედის ძმისა და დედის მამის ძმის ვაჟის და ამ თაობის და პირველი დაღმავალი თაობის სხვა გვერდითი ნათესავების შესახებაც. რაც შეეხება 0 თაობას, აქ პირველი რიგის გვერდითი ნათესაობა გამიჯნულია დანარჩენებისაგან, რაც, როგორც უკვე ითქვა, მიუთითებს ინდივიდუალური ოჯახის გამოყოფაზე, ხოლო მეორე რიგის კოლატერალური ნათესაობის შერწყმა უფრო დაშორებულ გვერდით ნათესავებთან შეესაბამება არსებულ ვითარებას, რომლის მიხედვითაც მეორე და მეტი ხარისხის კოლატერალურ ნათესავებს შორის არაა დიდი განსხვავება უფლებრივ-ქონებრივ ასპექტში.

ჩატარებულმა ანალიზმა საშუალება მოგვცა დაგვედგინა ნათესაობის პირდაპირი-გვერდითი ხაზებისა და სხვადასხვა რიგის გვერდითი ნათესაობის გამიჯვნა-შერწყმის სოციალური საფუძვლები, რომლებიც ქრონოლოგიურად თანაარსებობენ მათ მიერ წარმოქმნილ ტერმინოლოგიურ თავისებურებებთან.

განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მოგვარეებზე სისხლით ნათესაობის ამსახველი ტერმინების გავრცელებას ეგზოგამიის პრინციპებისა და გვარის იდეოლოგიური ერთიანობის გარდა, საფუძვლად უდევს კოლატერალურ ნათესავებს შორის დიდი განსხვავების არარსებობაც. ეს ვითარება მიუთითებს იმაზე, რომ ერთი ტერმინოლოგიური თავისებურება შეიძლება რამდენიმე სოციალური მიზეზით იყოს განპირობებული.

მთიულეთისა და გუდამაყრის სისხლით ნათესაობის ამსახველი ტერმინოლოგიისათვის დამახასიათებელია ნათესავთა არასრული სქესობრივი დაყოფა. მაგალითად, +1 თაობაში ყველა ნათესავი გამიჯნულია ერთმანეთისაგან სქესის მიხედვით, ხოლო 0 თაობაში ასეთი ვითარება არა გვაქვს. აქ მხოლოდ სიბლინგები გამოიყოფიან ერთმანეთისაგან, ნათესაობის დანარჩენ ტერმინებში კი სქესობრივი ნიშანი ანსხვავებს დამაკავშირებელ ნათესავს. -1 თაობაში სქესობრივი გამიჯვნა ახასიათებს პირდაპირი ხაზის ნათესაობას, ხოლო დამაკავშირებელი ნათესავის სქესის რელევანტურობა - დანარჩენ ტერმინებს.

პრობლემის გადასაწყვეტად დავუშვათ, რომ სქესობრივი დაყოფის შემთხვევაში რომელიმე სქესის უპირატესობასთან გვაქვს საქმე უფლებრივ-ქონებრივ ასპექტში. ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, მამაკაცების როლი საკვლევ კუთხეებში მეტი იყო შესაბამისი ქალი ნათესავების უფლებრივ-ქონებრივ მდგომარეობასთან შედარებით. მაგალითად, მამის როლი უფრო მეტია, ვიდრე დედის, მამის ძმის მნიშვნელობა გაცილებით მეტია მამის დისაზე, რომელსაც საერთოდ არავითარი როლი არა აქვს ეგოს ცხოვრებაში და ა. შ. თუკი ამის შემდეგ მივუბრუნდებით ნათესაობის ტერმინოლოგიას, დავინახავთ, რომ ყველა ის მამაკაცი ნათესავი, რომელსაც შესაბამის ქალ ნათესავზე მეტი როლი აქვს ეგოს ცხოვრებაში, გამოყოფილია მისგან სქესობრივი ნიშნის მიხედვით. ეს ნათესავებია: მამა, მამის ძმა, დედის ძმა. სქესობრივი დიფერენციაცია შენარჩუნებულია იგივე ფორმალური ნიშნების მქონე უფრო დაშორებული ნათესავების ამ ტერმინების მიერ აღნიშვნის დროსაც.

მკითხველს შეიძლება ასეთი შეკითხვა გაუჩნდეს - თუ მამის ძმას აქვს გარკვეული მნიშვნელობა მამის დასთან შედარებით და გამოყოფილია მისგან, რატომ არაა ის გამიჯნული მამის მამის ძმის ვაჟისაგან?

ვფიქრობთ, რომ მამის ძმისა და მამის მამის ძმის ვაჟის და ...ა. შ. გაერთიანებას განსაზღვრავს პირდაპირ ხაზთან - მამასთან - შ ე დ ა რ ე ბ ი თ მათი დაახლოებით თანაბარი უმნიშვნელობა: მამას იმდენად დიდი როლი აქვს, რომ ის გამოლყოფა ბიძისაგან, ხოლო ბიძას არ აქვს იმდენად დიდი მნიშვნელობა, რომ ის გაიმიჯნოს მამის მამის ძმის ვაჟისაგან. მეორე შემთხვევაში კი ბიძის მნიშვნელობა იქცევა აბსოლუტურ და არა მამის

როლთან შეფარდებულ სიდიდედ. ამიტომ აქ ბიძის სოციალური ფუნქცია საკმარისია მამიდისაგან მის გამოსაყოფად.

საინტერესო ვითარებაა ნულოვან თაობაში, სადაც მამის ძმის შვილები გამოყოფილი არიან მამის დის შვილებისაგან, მაგრამ თვით ბიძაშვილებს შორის არაა სქესობრივი განსხვავება. ცხადია, რომ ჩვენი ჰიპოთეზის მიხედვით, სქესობრივი ნიშნის გაქრობა უნდა ასახავდეს ნათესავთა თანაბრობას.

წინამდებარე ნაშრომის მეორე თავში ჩვენ უკვე მივუთითეთ, რომ XIX–XX სს.-ის მიჯნაზე მამის ძმის ვაჟს გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა ეგოსთვის. ის იყო ეჯიბი ეგოს ქორწილში და მისი პოტენციალური მემკვიდრეც გარკვეულ ვითარებაში. ამის გამო, ვაჟი ბიძაშვილის რეალური მოვალეობა იყო მხოლოდ ეჯიბობა, რაც არაა საკმარისი მისი მამის ძმის ქალიშვილისაგან გამოსაყოფად თვად ეჯიბობის არცთუ დიდი მნიშვნელობის გამო. აქვე აღვნიშნავთ, რომ ეს ფაქტი მიუთითებს მამის ძმის ვაჟის ნაკლებ მნიშვნელობაზე მამის ძმასთან შედარებით სოციალურ სფეროში.

თუკი თანმიმდევრულად გავყვებით ჩვენს ჰიპოთეზას, უნდა ვიფიქროთ, რომ მამის ძმის და მამის დის შვილები არ უნდა იყვნენ გამოყოფილები ერთმანეთისაგან, მაგრამ დამაკავშირებელი ნათესავის სქესობრივი ნიშნის არსებითობას სხვა ფუნქცია აქვს – ის მშობლების აგნატ ნათესავებს გამიჯნავს სხვა რიგის ნათესაობისაგან და სწორედ ამიტომ არიან მამის სიბლინგების შვილები დიფერენცირებულნი ერთმანეთისაგან. აქვე დავუმატებთ, რომ მშობლების აგნატების გამოყოფა ზოგადად აგნატური ნათესაობის უპირატესობის გამომხატველი უნდა იყოს სოციალურ ასპექტში.

ალტერის სქესის ნეიტრალურობის კავშირი ამ ნათესავის ეგოსთვის თანაბარ მნიშვნელობასთან კარგად ჩანს ტერმინებში – "მამიდაშვილი", "დედიძმიშვილი", "შინში", რომლებშიც გაერთიანებული არც ერთი მამაკაცი ნათესავი არაა უფრო ახლოს ეგოსთან მათ დებთან შედარებით, რადგანაც პრაქტიკულად არც ერთი სქესის ნათესავს არა აქვს მეტ – ნაკლებად რეალური სოციალური მნიშვნელობა ეგოს ცხოვრებაში. ასეთი ვითარების გამო თითქოს ბოლო ორი ნათესაური ურთიერთობა ერთი ტერმინის ქვეშ უნდა იყოს გაერთიანებული, მაგრამ ამ შემთხვევაშიც თავს იჩენს დამაკავშირებელი ნათესაობისთვის დამახასიათებელი სქესობრივი გამიჯვნის ფუნქცია და ერთმანეთისაგან გამოყოფილნი არიან ეგოს დედის სიბლინგების შვილები.

სქესობრივი ნიშანი აბსოლუტურად ნეიტრალურია ტერმინში "შვილიშვილი", რადგანაც აქ არც დამაკავშირებელი ნათესავები გაიმიჯნებიან სქესობრივი ნიშნის მიხედვით. ეს ვითარება შეესაბამება რეალურ სოციალურ თავისებურებებს, რომელთა მიხედვითაც ქალის შვილს და ვაჟის შვილს თანაბარი სოციალური მნიშვნელობა აქვთ ეგოსთვის. მართალია, ვაჟის ვაჟი საბოლოო ჯამში მისი მემკვიდრეა, მაგრამ ასეთი გაშუალოებული

ურთიერთობები, როგორც უკვე ითქვა, არ აისახება რეფერენტულ ტერმინოლოგიაში. აქვე მივუთითებთ, რომ აგნატური ნათესაობისაგან გამიჯვნის პრინციპი ამ შემთხვევაში არაა დაცული, რაც -2 თაობის თავისებურებად უნდა ჩაითვალოს.

პრაქტიკულად არაა განსხვავება დის შვილებს შორისაც. მართალია, დედის ძმა თითქოს იღებს გარკვეულ მონაწილეობას დის შვილის გათხოვებაში, მაგრამ პრიორიტეტი ამ საქმეში ქალის მშობლებს ეკუთვნით. ამის გამო ტერმინ "დისწულში" სქესობრივი ნიშანი შერწყმულია, რაც კარგად შეესაბამება ნათესავებს შორის რეალური განსხვავების არარსებობას.

იგივეს თქმა შეიძლება ტერმინ "ძმისწულის" შესახებაც. ძმის ვაჟსა და ძმის ქალიშვილს შორის ერთადერთი განსხვავება ისაა, რომ ძმის ვაჟი შეიძლება ეგოს მემკვიდრე გახდეს გარკვეულ პირობებში, მაგრამ ეს პოტენციალური მემკვიდრეობა არაა საკმარისი ხსენებულ ნათესავებს შორის არსებული დიფერენციაციის ტერმინოლოგიაში ასახვისათვის.

საინტერესო ხასიათს ატარებს სქესობრივი გამიჯვნა უშუალო შთამომავლებში, სადაც ტერმინი "შვილი" მხოლოდ მამაკაც ნაშიერს აღნიშნავდა უახლოეს წარსულში. ის ახლაც ზოგჯერ მამაკაცის მნიშვნელობით იხმარება, მაგრამ თავის ადრინდელ ფუნქციას თანდათან კარგავს და ძირითადად უკვე ორივე სქესის შთამომავალს აერთიანებს.

ჩვენი აზრით, შთამომავლების სქესობრივი დიფერენციაცია მიუთითებს ვაჟი მემკვიდრის როლის უპირატესობაზე ქალთან შედარებით.[44] მართალია, გათხოვებისას მამა ქალს აძლევდა სათავნოს, მაგრამ მისი ღირებულება მნიშვნელოვნად ჩამოუვარდებოდა ვაჟის მიერ შთამომავლობით მიღებულ ქონებას. გარდა ამისა, ვაჟი გვარის, აგნატური ნათესაობის გამგრძელებელიც იყო.

თანამედროვე მთიულეთსა და გუდამაყარში შედარებით გაიზარდა ქალის ქონებრივ-მემკვიდრეობითი უფლებები და სწორედ ამიტომ თანდათან ისპობა ტერმინოლოგიური გამიჯვნა შვილებს შორის, თუმცა ბიჭის, როგორც აგნატური ნათესაობის გამგრძელებლის, შემეცნება შენარჩუნებულ იქნა. ამ შემთხვევაში სოციალური ცვლილებების ტერმინოლოგიაში მყისიერ ასახვასთან ერთად ნიშანდობლივია ამ ცვლილების გამომწვევად მეკვიდრეობითი პრინციპების წინა პლანზე წამოწევა ნათესაური სიმტკიცის, აგნატური შთამომავლობის გაგრძელების აუცილებლობის რწმენასთან შედარებით.

როგორც ვხედავთ, ალტერების სქესობრივი გამიჯვნა ტერმინოლოგიაში შეიძლება აიხსნას რომელიმე სქესის დაწინაურებით უფლებრივ-ქონებრივ ასპექტში, ხოლო დამაკავშირებელი ნათესავების ამ ნიშნით დიფერენცირება — ეგოსა და მშობლების აგნატური ნათესაობის გამოყოფის აუცილებლობით, რაც გამოწვეულია ზოგადად აგნატური ნათესაობის დაწინაურებით უფლებრივ-ქონებრივ ასპექტში. ალტერების სქესობრივი

გამიჯვნა მხოლოდ გვიჩვენებს ორი სქესის ნათესავებს შორის არსებული განსხვავების ფაქტს. ნათესავთა სოციალური ურთიერთდამოკიდებულების ამსახველი ეთნოგრაფიული მასალების ანალიზი კი დაწინაურებული ნათესაობის გამოვლენის შესაძლებლობას გვაძლევს. ორივე განხილულ შემთხვევაში ტერმინოლოგიური თავისებურებების წარმომქმნელი სოციალური ინსტიტუტები ქრონოლოგიურად თანაარსებობენ მათთან, ხოლო სოციალურ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილება თითქმის მაშინვე აისახება ნათესაობის ტერმინოლოგიაში, როგორც ეს მკაფიოდ გამოჩნდა ტერმინ "შვილის" მაგალითზე.

საკვლევი კუთხეების ნათესაობის ნომენკლატურის საინტერესო ნიშანს წარმოადგენს შედარებითი ასაკის ტერმინოლოგიაში არასახვის ფაქტი. დ. ოლდეროგე მიუთითებს, რომ ნულოვან თაობაში მამაკაც სიბლინგებს შორის ასაკობრივი დაყოფის ასახვა ტერმინოლოგიაში დაკავშირებულია რომელიმე ვაჟზე ძირითადი მემკვიდრეობის გადასვლასთან [3.103, გვ.35][45]. ეს დებულება მეტად საინტერესოა და კარგად მიესადაგება საკვლევი კუთხეების ტერმინოლოგიის იმ თავისებურებას, რომლის მიხედვითაც ასაკობრივი დაყოფა ერთი თაობის წევრებს შორის არაა ასახული ნომენკლატურაში. მაგალითად, უფროსი ძმა დანარჩენი ძმებისაგან არ გაიმიჯნება და არც უფროსი ვაჟიშვილია გამოყოფილი სხვა ვაჟებისაგან. ეს ვითარება შეესაბამება საოჯახო ქონების მოწილეებზე თანაბრად გაყოფის წესს, რომელიც ფუნქციონირებდა მთიულეთ - გუდამაყარში. გამოვლენილი შესაბამისობა კიდევ ერთხელ მიუთითებს ტერმინოლოგიური თავისებურებების ქრონოლოგიურ თანაარსებობაზე შესაბამის სოციალურ ინსტიტუტებთან.

საკვლევი კუთხეების ნომენკლატურის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს ნათესავთა გამიჯვნა თაობრივი ნიშნის მიხედვით.

ჩვენი აზრით, ამ მოვლენას კავშირი უნდა ჰქონდეს რაიმე ნიშნის მიხედვით მთელი თაობის გამოყოფასთან. როგორც ეთნოგრაფიული მასალებიდან ჩანს, +1 თაობის ნათესავებს ზოგადად მსგავსი უფლებრივ-ქონებრივი დამოკიდებულება ჰქონდათ ეგოს მიმართ. მაგალითად, ეგო შეიძლებოდა ამ თაობის აგნატების რეალური და პოტენციალური მემკვიდრე ყოფილიყო, პირიქით კი შეუძლებელი იყო მომხდარიყო: +1 თაობის წევრი ვერასდროს ვერ გახდებოდა ეგოს მემკვიდრე. თაობის წევრთა შორის მსგავსება ჩანს ქორწინების ორგანიზაციის საქმეშიც, რომელიც ძირითადად ორივე მშობლის უფლებას წარმოადგენდა. ზავშვის დაობლების შემთხვევაში ის მამის ძმას უნდა გაეზარდა, ხოლო თუ რაიმე მიზეზის გამო აგნატები ვერ მოახერხებდნენ ზავშვის გაზრდას, მას დედის ძმა წაიყვანდა.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ცხადია, რომ +1 თაობის ნათესავებისათვის დამახასიათებელი იყო ზოგადად მსგავსი ნიშნები.

მსგავსება 0 თაობის წევრთა მფარველობასა და მათზე ზრუნვაში გამოიხატებოდა.

განსხვავებული ტიპის სოციალური ურთიერთობა ჰქონდათ 0 თაობის წევრებს ერთმანეთის მიმართ. კერძოდ, ამ თაობის მამაკაცები პოტენციალურად ერთიმეორის მემკვიდრეები შეიძლებოდა გამხდარიყვნენ.

-1 თაობის წარმომადგენლებს აერთიანებს ის გარემოება, რომ ისინი იყვნენ ეგოს ყოველნაირი დახმარებისა და ყურადღების ობიექტი. ამ თავისებურების გამო -1 თაობა გამოყოფილია განხილული ორი თაობისაგან.

თაობრივი ნიშნის შერწყმა-გამიჯვნის პრინციპების კავშირი სოციალურ ინსტიტუტებთან კარგად ჩანს მოკეთეობრივ ტერმინოლოგიაშიც, რომლის ერთ - ერთი საინტერესო თავისებურებაა თაობრივი ნიშნის შერწყმა ტერმინებში -"სიძე" და "რძალი". "სიძე" აერთიანებს -1 და 0 თაობების ქალი აგნატი ნათესავების ქმრებს, ხოლო "რძალი" - ამავე თაობების აგნატი ნათესავების ცოლებს. ცხადია, რომ ერთ ტერმინში გაერთიანებულ სხვადასხვა თაობის ნათესავებს შორის არ უნდა არსებობდეს განსხვავება სოციალურ ასპექტში. ეს ვარაუდი მტკიცდება ეთნოგრაფიული მასალებით, რომელთა მიხედვითაც ხსენებულ მოკეთეებს არა აქვთ რეალური სოციალური მნიშვნელობა ეგოსთვის.

განსხვავებული ვითარებაა +1 თაობაში. თუ ქალი აგნატი ნათესავების ქმრებზე არ ვრცელდება არავითარი სტაბილური ტერმინი, მამაკაცი აგნატების მეუღლეებს აღნიშნავს ტერმინი "ძალუა". ამ ვითარებას გარკვეულწილად შეესაბამება ბიძის ცოლის როლი ეგოს ცხოვრებაში. მაგალითად, თუ ბიძა აღარ იყო ცოცხალი, ობოლ ძმისწულს ხშირად მისი ცოლი გაზრდიდა.

ყოველივე ზემოთქმულს დავუმატებთ, რომ განხილული ტერმინოლოგიური თავისებურებების წარმომქმნელი სოციალური საფუძვლები განაგრძობენ არსებობას. ცხადია, რომ ამ შემთხვევაშიც საქმე გვაქვს ტერმინოლოგიური თავისებურების და მისი გამომწვევი სოციალური მიზეზების ქრონოლოგიურ თანაარსებობასთან.

მთიულეთ-გუდამაყრის სისხლით ნათესაობის ამსახველი ტერმინოლოგიის საინტერესო ნიშანია აგნატური ნათესაობის გამიჯვნა დედის მხრიდან ნათესაობისაგან. ამ შემთხვევაშიც საქმე უნდა გვქონდეს რომელიმე ხაზის უპირატესობასთან უფლებრივ-ქონებრივ ასპექტში. საგულისხმოა, რომ დაწინაურებული ნათესაობის ვინაობის დასადგენად აქაც საჭირო ხდება ნათესავებს შორის არსებული სოციალური დამოკიდებულების ამსახველი ეთნოგრაფიული მასალების მოშველიება, რომელთა მიხედვითაც, აგნატ ნათესავებს უფრო მეტი მნიშვნელობა აქვთ უფლებრივ-ქონებრივ ასპექტში. სწორედ ამიტომ, ისინი გამოყოფილნი არიან იმ თაობებში, სადაც ასეთი განსხვავება არსებითია. რაც შეეხება +2 თაობას, აქ ჩვენ ვხვდებით ორივე მხრის ნათესაობის ტერმინოლოგიურ შერწყმას, რადგანაც სხვადასხვა

მშობლის მშობლებს შორის პრაქტიკულად არ არსებობს განსხვავება. მართალია, ეგოსა და მამის მამას შორის არსებობს გაშუალოებული მემკვიდრეობითი კავშირები, მაგრამ ეს ვითარება არც ამ შემთხვევაშია საკმარისი ხსენებული ნიშნის მიხედვით ტერმინოლოგიური გამიჯვნისათვის[46].

მშობლების ნათესავების ერთმანეთისაგან გამიჯვნას სხვა ფუნქციაც აქვს. ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, ნათესაობის მამისა და დედის ხაზების ერთმანეთისაგან დიფერენცირება დაკავშირებულია ნათესაობის ათვლასთან რომელიმე ხაზით [3.103, გვ.34].

მთიულეთსა და გუდამაყარში ნათესაობა აითვლებოდა მამის ხაზით, რასაც კარგად შეესაბამება ხსენებული ტერმინოლოგიური თავისებურების არსებობა +1, 0 და -1 თაობებში. რაც შეეხება მშობლის ნათესავების ერთმანეთში შერწყმას +2 თაობაში, ეს ფაქტი იმ ვარაუდის განმამტკიცებელ საბუთად უნდა მივიჩნიოთ, რომლის მიხედვითაც ნათესაობის ათვლა აისახება მხოლოდ ხსენებულ სამ თაობაში არსებულ ტერმინოლოგიურ გამიჯვნაში.

როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაშიც ნათესაობის ტერმინების დიფერენცირება მხოლოდ მიუთითებს რომელიმე ხაზით ნათესაობის ათვლის არსებობაზე, ეთნოგრაფიული მასალები კი ავლენენ ამ ხაზის ვინაობას.

ყოველივე ზემოთქმულს დავუმატებთ იმ ფაქტს, რომ აქაც ჩვენ საქმე გვაქვს სოციალური საფუძვლებისა და მათ მიერ წარმოქმნილი ტერმინოლოგიური თავისებურებების ქრონოლოგიურ შესაბამისობასთან.

მოკეთეობრივი ტერმინოლოგიის საინტერესო ნიშანს წარმოადგენს ქალის მოკეთეების აღმნიშვნელი ტერმინების კლასიფიკატორული ხასიათი, მაშინ, როცა მამაკაცის მოკეთეები ინდივიდუალური ტერმინებით აღინიშნებიან. ეს თავისებურება მიუთითებს საქორწინო დასახლების პატრილოკალურ ხასიათზე ახლო ნათესავების ძირითადად ერთ სოფელში დასახლების პირობებში, რადგანაც ასეთ შემთხვევაში ქალს უხდება ქმრის აგნატ ნათესავებთან ხშირი ურთიერთობა და ამის გამო იმ პირთა რიცხვი, ვისთანაც მას კონტაქტები აქვს, ზევრად აღემატება იმ მოკეთე პირთა რაოდენობას, ვისთანაც უხდება ურთიერთობა მამაკაცს[47] ამის გამო, ქმრის უახლოესი აგნატების აღმნიშვნელი ტერმინები გავრცელდა უფრო დაშორებულ ნათესავებზედაც და მოიცვა ის პირები, ვისთანაც ხშირი კონტაქტები აქვს ქალს.

როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაშიც ტერმინოლოგიური თავისებურება ქრონოლოგიურად შეესაბამება მის წარმომქმნელ სოციალურ ინსტიტუტებს.

ნაშრომის მეორე თავში განხილული მასალებიდან გამოჩნდა, რომ მთიულეთისა და გუდამაყრის სოციალურ-ნათესაურ სტრუქტურაში გარკვეული ადგილი ეკავა დიდი ოჯახის გადმონაშთურ ფორმას და უახლოესი განაყრების წრეს, ხოლო გენეალოგიებს პრაქტიკულად არ ჰქონდათ სოციალური მნიშვნელობა.

რეფერენტული ტერმინოლოგიის ანალიზი უჩვენებს, რომ ნომენკლატურაში ასახულია დიდი (და ინდივიდუალური) ოჯახის ერთ-ერთი თავისებურება - მონაწილეებზე ქონების თანაბრად გაყოფის პრინციპები. რაც შეეხება უახლოეს განაყრობას და გენეალოგიას, ისინი საერთოდ არ არიან ასახული რეფერენტულ ტერმინოლოგიაში. როგორც ჩანს, ნაკლები მნიშვნელობის, ან სოციალური ფუნქციების არმქონე ნათესაური კოლექტივები ან მცირე კვალს ტოვებენ რეფერენტულ ტერმინოლოგიაში, ან საერთოდ არ აისახებიან მასში.

ეს მოსაზრება, უნივერსალობის თვალსაზრისით, ჰიპოთეტურ ხასიათს ატარებს, რადგანაც მისი დამაჯერებელი მტკიცებისათვის საჭიროა ზევრად უფრო ფართო ფაქტოლოგიური ბაზისის არსებობა, ვიდრე ეს დღესდღეობით გააჩნია ავტორს.

მთიულეთ-გუდამაყრის ნათესაობის აღმნიშვნელი ტერმინოლოგიისა და ნათესავებს შორის არსებული სოციალური ურთიერთობების ანალიზმა გამოავლინა ტერმინოლოგიური თავისებურებების შემდეგი სოციალური საფუძვლები:

1. ოჯახის გაბატონებულ ფორმად ინდივიდუალური ოჯახის არსებობა.

2. ქორწინების პრინციპები: ა. მონოგამიური ქორწინების არსებობა; ბ. მშობლების მოგვარეებზე გავრცელებული ნათესაური ეგზოგამია.

3. პირდაპირი ხაზის ნათესავების უპირატესობა კოლატერალურთან შედარებით უფლებრივ-ქონებრივ ასპექტში +1 და -1 თაობებში. მათი მსგავსება იგივე ასპექტში +2 თაობაში.

4. სხვადასხვა ხარისხის გვერდითი ნათესავების მსგავსება სოციალურ ასპექტში +1 და -1 თაობებში. 0 თაობაში ასეთი მსგავსება ახასიათებთ მეორე ხარისხისა და უფრო დაშორებულ გვერდით ნათესავებს.

5. აგნატი ნათესავების უპირატესობა უფლებრივ-ქონებრივ ასპექტში დედის მხრიდან ნათესაობასთან შედარებით.

6. ნათესაობის მამის ხაზით ათვლის არსებობა.

7. გვარის მიერ იდეოლოგიური ერთიანობის რწმენის შენარჩუნება, რაც, უკვე დასახელებული ეგზოგამიის გარდა, გამოიხატება საერთო საგვარეულო კულტის არსებობაში.

8. მამაკაცების უპირატესობა უფლებრივ-ქონებრივ ასპექტში მათ დებთან შედარებით, გამოხატული სრულად +1 თაობაში, ნაწილობრივ -0 და -1 თაობებში.

9. ორივე სქესის ნათესავების მსგავსება უფლებრივ-ქონებრივ ასპექტში, გამოხატული ნაწილობრივ 0 და - 1 თაობებში და სრულად - 2 თაობაში.

10. საოჯახო ქონების ვაჟიშვილებზე თანაბრად განაწილების პრინციპები.

11. საქორწინო დასახლების პატრილოკალური ხასიათი ახლო აგნატი ნათესავების ძირითადად ერთ სოფელში განსახლების პირობებში.

12. ერთი თაობის წევრებს შორის მსგავსება უფლებრივ-ქონებრივ ასპექტში.

როგორც ვხედავთ, გამოვლენილი ტერმინოლოგიური თავისებურებები ქრონოლოგიურად შეესაბამება მათ წარმომქმნელ სოციალურ ინსტიტუტებს. იმ შემთხვევაში, როდესაც სოციალურ ცხოვრებაში რაიმე ცვლილება ხდება, იცვლება ტერმინოლოგიაც, რის მკაფიო მაგალითსაც წარმოადგენს ტერმინ "შვილის" მიერ ორივე სქესის შთამომავლის აღნიშვნა თანამედროვე ნომენკლატურაში, რაც შეესაბამება ქალის მემკვიდრეობითი წილის ზრდას მთიულეთსა და გუდამაყარში.

ზოგიერთი ტერმინოლოგიური დიფერენციაცია უჩვენებს ნათესავებს შორის არსებულ განსხვავებას, მაგრამ არ მიუთითებს უფლებრივად დაწინაურებული ნათესავის ვინაობაზე. ამ შემთხვევაში აუცილებელია ნათესავებს შორის არსებული სოციალური ურთიერთობების ამსახველი ეთნოგრაფიული მასალების დახმარებაც, რაც კარგად უჩვენებს ნათესაობის სისტემის ბუნების გარკვევაში ნათესაობის ტერმინოლოგიისა და ნათესაური ურთიერთდამოკიდებულების კომპლექსური შესწავლის მნიშვნელობას.

საყურადღებოა, რომ ზოგიერთი ტერმინოლოგიური თავისებურება რამდენიმე სოციალური მიზეზითაა განპირობებული. ხდება პირიქითაც, როდესაც ერთი სოციალური ინსტიტუტი სხვადასხვა ტერმინოლოგიურ თავისებურებაში აისახება. ყოველივე ეს მიუთითებს ნომენკლატურასა და სოციალურ ინსტიტუტებს შორის კავშირის მრავალფეროვნებაზე.

ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლინდა კატეგორიების სოციალური განპირობებულობის დადგენის შესაძლებლობა. საყურადღებოა, რომ სოციალური საფუძველი აქვს არა მხოლოდ ნათესავების გამიჯვნის ასახვას ტერმინოლოგიაში, არამედ მათ შერწყმასაც. გარდა ამისა, სოციალურ საფუძვლებს კარგად წარმოაჩენს თვად ტერმინების გავრცელების არეალი. ამიტომ ტერმინოლოგიური თავისებურებები მხოლოდ კატეგორიებით არ ამოიწურება.

როგორც უკვე ითქვა, ნათესაობის სისტემა არის ნომენკლატურისა და ნათესავებს შორის არსებული სოციალური ურთიერთობების ერთობლიობა. განხილულმა მასალამ კარგად უჩვენა, რომ ტერმინოლოგია წარმოადგენს საზოგადოებაში ნათესავებს შორის არსებული რეალური სოციალური ურთიერთობების გამოხატულებას. ვფიქრობთ, რომ სწორედ ამ ორი მომენტის ასეთი მჭიდრო ურთიერთკავშირისა და ურთიერთგანპირობებულობის გამო მათ გაერთიანებას შეიძლება ეწოდოს სისტემა.

### § 3. ინდივიდუალური და კლასიფიკატორული ტერმინების ფუნქცია მთიულეთისა და გუდამაყრის ნათესაობის ნომენკლატურაში

ნათესაობის ტერმინოლოგიისა და მისი წარმომქმნელი სოციალური ინსტიტუტების შესაბამისობის განხილვა შესაძლებლობას გვაძლევს გამოვავლინოთ ინდივიდუალური და კლასიფიკატორული ტერმინების როლი.

როგორც განხილული ეთნოგრაფიული მასალებიდან გამოჩნდა, მთიულეთისა და გუდამაყრის ნათესაობის ნომენკლატურაში შედის შემდეგი ინდივიდუალური ტერმინები: "დედა", "მამა", "და", "ძმა", "შვილი", "ქალი", "ცოლი", "ქმარი", "სიმამრი", "სიდედრი", "ცოლისდა", "ცოლისძმა", "ცოლის დისწული", "ცოლის ძმისწული".

წინა პარაგრაფში ჩატარებული კვლევის შედეგად ირკვევა, რომ სისხლით-ნათესაობის ყველა ინდივიდუალური ტერმინის არსებობის უპირველესი მიზეზია ინდივიდუალური ოჯახის ფუქციონირება. მეუღლეების ამსახველი ტერმინების ინდივიდუალური ხასიათი კი გამოწვეულია ინდივიდუალური ოჯახისა. და ქორწინების არსებობით. დანარჩენი მოკეთეობრივი ტერმინები ასახავენ დასახლების პატრილოკალურ ხასიათს. გარდა ამისა, +1 და -1 თაობებში სისხლითნათესაობის ტერმინების ფუნქციონირებას იწვევს ნათესაობის პირდაპირი ხაზის უპირატესობა კოლატერალურთან შედარებით უფლებრივ-ქონებრივ ასპექტში.

საინტერესო სურათს იძლევა კლასიფიკატორული ტერმინების განხილვა, რომლებიც მთიულეთისა და გუდამაყრის ტერმინოლოგიის უმეტეს ნაწილს შეადგენენ.

ზოგად ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში არსებობს მრავალი მოსაზრება კლასიფიკატორული ტერმინების წარმოშობისა და რაობის შესახებ.

თავის დროზე ლ. მორგანი ნათესაობის სისტემების კვლევისას ამოდიოდა იქიდან, რომ საზოგადოების განვითარების უადრეს პერიოდში ადამიანებს უკვე შემეცნებული ჰქონდათ ინდივიდუალური ნათესაობა [2. 53, გვ. 224].

აღნიშნული შეხედულების საპირისპიროდ ჯერ რუსულ, ხოლო შემდეგ კი საბჭოთა ეთნოგრაფიაში გავრცელდა მოსაზრება, რომლის მიხედვითაც უძველეს პერიოდში არ არსებობდა ინდივიდუალური ნათესაობის შემეცნება ადამიანთა შორის და ნათესაობის ტერმინს თავიდან ჰქონდა არა ინდივიდუალური, არამედ ჯგუფური ხასიათი. თავდაპირველად ასეთი აზრი გამოთქვა რუსმა ეთნოგრაფმა ა. მაქსიმოვმა [3.94, გვ.68], ხოლო შემდეგ კი მის გამტარებლად მოგვევლინენ საბჭოთა ეთნოგრაფები ს. ტოკარევი და ი. ლიხტენბერგი [3.91, გვ.197; 3.92, გვ.217; 3.131, გვ.35-41].

განსხვავებული მოსაზრება წამოაყენა ნ. ზუტინოვმა, რომელმაც მიიჩნია, რომ კლასიფიკატორული ნათესაობის ჩანასახი არსებობს თვით ოჯახში [2.39, გვ.204-205].

ა. რ. რედკლიფ-ბრაუნის აზრით, ეგო ქცევის ნორმების თვალსაზრისით არის თანაბარ ურთიერთობაში ერთი ტერმინით აღნიშნული ნათესავების მიმართ. მაგალითად, თუ მამა და მამის ძმა ერთი ტერმინის ქვეშ არიან გაერთიანებული, კაცის ქცევა მისი მამის მიმართ იგივე უნდა იყოს, როგორც მამის ძმის მიმართ. პრიმიტიულ საზოგადოებაში არსებობს მკაფიოდ გამოხატული ტენდენცია ინდივიდების შერწყმისა იმ ჯგუფში, რომელსაც ეს პირი ეკუთვნის. ამის შედეგად, ჯგუფის ყველა წევრზე აფართოებენ ქცევის გარკვეულ ტიპს, რომელსაც თავისი საწყისი აქვს ჯგუფის ერთ ცალკეულ პირთან ურთიერთობაში. ტერმინ "ქცევაში" ავტორი აერთიანებს ისეთ ელემენტებს, როგორიცაა მზრუნველობა, პატივისცემა, თვინიერება [2.68, გვ.18-19][48].

საინტერესოა აღინიშნოს, რომ დროთა განმავლობაში, როგორც ჩანს, ა. რ. რედკლიფ-ბრაუნის შეხედულებები შეიცვალა. ყოველ შემთხვევაში, მის ბოლო ნაშრომში "სოციალური ანთროპოლოგია" კლასიფიკატორულ ტერმინებზე საუბრისას მკვლევარი ნათესავების გაერთიანებას კატეგორიებად აღარ უკავშირებს ამ ნათესავთა საერთო ქცევის ნორმებს და მხოლოდ მიუთითებს, რომ ორი პიროვნების ქცევა ერთმანეთის მიმართ დამოკიდებული იყო იმ ურთიერთობებზე, რომლებშიც ისინი იყვნენ ნათესაურ სტრუქტურაში [2.67, გვ.171-172].

განსხვავებული მოსაზრება შემოგვთავაზა ინგლისელმა ანთროპოლოგმა ე. ლიჩმა, რომელმაც მიიჩნია, რომ ერთი ტერმინის ქვეშ გაერთიანებული ნათესავები არიან ტერიტორიული, ან დასახლებითი ერთეულის წევრები. ეს შეხედულება არ მტკიცდება ეთნოგრაფიული მასალებით [3.203, გვ.187].

ე. ლიჩს სხვა მოსაზრებაც აქვს. კერძოდ, ის თვლის, რომ არსებობს უნიფიკაციის ორი ტიპი. ერთ შემთხვევაში პირები ერთიანდებიან იმიტომ, რომ მნიშვნელოვან ურთიერთობაში არიან ეგოს მიმართ. სხვა შემთხვევაში კი მათ გაერთიანებას განსაზღვრავს მათი უმნიშვნელობა [2.64, გვ.52].

ამერიკელმა ანთროპოლოგმა დ. ზ. კრონენფელდმა ფანტის ტომის (განა) მაგალითზე შეისწავლა კლასიფიკატორული ტერმინებისა და ქცევითი კატეგორიების ურთიერთობა. მის გამოკვლევაში ინტერესს იწვევს ის ფაქტი, რომ ტერმინ "ქცევაში" ავტორი გულისხმობს უფლებრივ-ქონებრივი ურთიერთობების მთელ კომპლექსს, რომელშიც შედის მემკვიდრეობა, ფულის მიცემა, ტანსაცმლის ჩუქება და ა. შ. მისი მასალების მიხედვით, ერთი ტერმინის ქვეშ გაერთიანებულ ნათესავებს არა აქვთ მსგავსი ქცევითი ნორმები [3.182, გვ.265-272]. ვფიქრობთ, რომ ამ დასკვნას აქვს მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობა და არ მიესადაგება ყველა საზოგადოებას,

რადგანაც სურინამის ერთ-ერთ ტომში კლასიფიკატორულ ნათესავებს შეუძლიათ რეალური ნათესავის როლის შესრულება [3. 179, გვ. 238-239].

როგორც ვხედავთ, კლასიფიკატორული ტერმინების წარმოშობისა და რაობის შესახებ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა, რაც პრობლემის დღესდღეობით გადაუჭრელობაზე მიუთითებს.

კლასიფიკატორული ტერმინების რაობა სულ სხვა კუთხით გააშუქა ამერიკელმა ანთროპოლოგმა ა. კრიობერმა, რომელმაც მის მიერვე გამოყენებული 8 კატეგორიის მიხედვით დაადგინა კლასიფიკატორულ ტერმინში სხვადასხვა ნათესავის გაერთიანების კრიტერიუმები. მან მიიჩნია, რომ ერთი ტერმინის ქვეშ მოქცეულ სხვადასხვა დენოტატუმს აქვს მსგავსი ნიშნები, რის გამოც გასაგებია მათი გაერთიანება ამ ტერმინის ქვეშ [3.181, გვ.82].

როგორც ვხედავთ, ა. კრიობერი, ა. რ. რედკლიფ-ბრაუნის მსგავსად, კლასიფიკატორული ტერმინის ქვეშ ნათესავთა გაერთიანების ახსნას ამ ნათესავებს შორის მსგავსებაში ეძებს და ეს ფაქტი ამ ორ თეორიას გარკვეულად აახლოებს, ოღონდ ა. კრიობერი პრობლემას სულ სხვა სიბრტყეში განიხილავს და საერთო ფორმალური ნიშნების არსებობას მიიჩნევს სხვადასხვა ნათესაური ურთიერთობების ერთ ტერმინში გაერთიანების საფუძვლად. ეს მოსაზრება გაზიარებულია ზოგიერთი საბჭოთა ეთნოგრაფის მიერ [3.137, გვ.155].

ამასთან დაკავშირებით, დიდ ინტერესს იწვევს პრობლემის ასეთი კუთხით დასმა: ერთი ტერმინის ქვეშ სხვადასხვა ნათესაური ურთიერთობის გაერთიანებას მათ შორის არსებული საერთო ფორმალური ნიშნები იწვევს, თუ ერთ ტერმინში გაერთიანებულ დენოტატუმებს უბრალოდ საერთო ნიშნები აქვთ?

პრობლემის გადასაწყვეტად განვიხილოთ მთიულეთ-გუდამაყრის ტერმინოლოგიაში შემავალი ერთ-ერთი ტერმინი "ბიძა", რომლის ფორმალური ნიშნებია: მამრობითი სქესი, პირველი აღმავალი თაობა, პირველი რიგისა და უფრო დაშორებული ხაზების გვერდითი ნათესაობა, აგნატური ნათესაობა, დამაკავშირებელი ნათესავის მამრობითი სქესი. გარდა ამისა, ტერმინი ვრცელდება მსგავსი ფორმალური ნიშნების მქონე მოგვარეებზედაც.

ჩამოთვლილ თავისებურებებს იწვევს შემდეგი სოციალური ნიშნების არსებობა:

1. მამრობითი სქესის უპირატესობა უფლებრივ-ქონებრივ ასპექტში +1 თაობაში.

2. თაობის წევრთა მსგავსება უფლებრივ-ქონებრივ ასპექტში.

3. პირველი რიგისა და უფრო დაშორებული ხაზების გვერდითი ნათესავების მსგავსება უფლებრივ-ქონებრივ ასპექტში +1 თაობაში.

4. აგნატური ნათესაობის უპირატესობა სხვა ნათესაობასთან შედარებით იგივე ასპექტში +1 თაობაში.

5. ნათესაობის ათვლა მამის ხაზით.

6. ეგზოგამიის პრინციპების გავრცელება მოგვარეებზედაც.

როგორც ვხედავთ, ტერმინ "ზიძაში" სხვადასხვა ნათესაური ურთიერთობის გაერთიანება გამოწვეულია მთიულეთ-გუდამაყრის მოსახლეობის სოციალური ცხოვრების რამდენიმე თავისებურების არსებობით. ამიტომ იმის თქმა, რომ რომელიმე ტერმინში ნათესაური ურთიერთობების რაღაც ერთობლიობაა გაერთიანებული მათი საერთო ფორმალური ნიშნების არსებობის გამო, პრინციპში სწორია, მაგრამ საკმაოდ არასრული. აქ აუცილებელია იმის დამატებაც, რომ ფორმალურ ნიშნებს აქვთ სოციალური ინტერპრეტაცია და მათი საშუალებით ნათესაური ურთიერთობების თავისებურებები გამოვლინდება დენოტატუმების დაჯგუფებაში რომელიმე ტერმინის ქვეშ.

დანარჩენი კლასიფიკატორული ტერმინების სოციალური საფუძვლების საჩვენებლად საჭიროა შემდეგი შემოკლებების შემოღება:

A-მშობლების მოგვარეებზე გავრცელებული ეგზოგამია.

B-პირდაპირი-გვერდითი ხაზების ნათესავების მსგავსება უფლებრივ-ქონებრივ ასპექტში.

C-სხვადასხვა ხარისხის გვერდითი ნათესავების მსგავსება იგივე ასპექტში.

$D_1$-აგნატური ნათესაობის უპირატესობა უფლებრივ-ქონებრივ ასპექტში.

$D_2$-აგნატური და სხვა მხრიდან ნათესაობის მსგავსება იგივე ასპექტში

E-ნათესაობის მამის ხაზით ათვლის არსებობა.

$F_1$-მამაკაცების უპირატესობა სოციალურ ასპექტში მათ დებთან შედარებით.

$F_2$-ორივე სქესის ნათესავთა მსგავსება იგივე ასპექტში.

$G_1$-ერთი თაობის წევრთა მსგავსება უფლებრივ-ქონებრივ ასპექტში.

$G_2$-სხვადასხვა თაობის წევრთა თანაბარი უმნიშვნელობა იმავე ასპექტში.

H-საქორწინო დასახლების პატრილოკალური ხასიათი ახლო აგნატი ნათესავების ძირითადად ერთ სოფელში განსახლების პირობებში.

I-გვარის მიერ იდეოლოგიური ერთიანობის რწმენის შენარჩუნება.

ამ შემოკლებების საშუალებით ჩვენთვის საინტერესო სქემა შემდეგ სახეს მიიღებს:

| ნათესაობის აღმნიშვნელი ტერმინები | მათი სიგნიფიკატუმების წარმომქმნელი სოციალური მიზეზები |
|---|---|
| 1. პაპა | $BD_2F_1$ |
| 2. ბებია | $BF_1$ |
| 3. მამიდა | $ACD_1EF_1G_1$ |

| | | |
|---|---|---|
| 4. | დედიძმა | $ACD_1EF_1G_1$ |
| 5. | დედიდა | $ACD_1EF_1G_1$ |
| 6. | ბიძაშვილი | $ACD_1EF_2G_1I$ |
| 7. | მამიდაშვილი | $ACEF_2G_1$ |
| 8. | დედიძმიშვილი | $ACEF_2G_1I$ |
| 9. | შინში | $ACD_1EF_2G_1$ |
| 10. | ძმისწული | $ACD_1EF_2G_1I$ |
| 11. | დისწული | $ACEF_2G_1$ |
| 12. | შინშიშვილი | $ACF_2G_1$ |
| 13. | შვილიშვილი | $D_2G_1$ |
| 14. | მამამთილი | H |
| 15. | დედამთილი | H |
| 16. | მაზლი | H |
| 17. | მული | H |
| 18. | მაზლისწული | H |
| 19. | მულიშვილი | H |
| 20. | სიძე | $G_2$ |
| 21. | რძალი | $G_2$ |
| 22. | ძალუა | $G_1$ |

კლასიფიკატორული ტერმინების შექმნაში მხოლოდ მათი წარმომქმნელი სოციალური ინსტიტუტები არ იღებენ მონაწილეობას. მათი არსებობა შეუძლებელი იქნებოდა ინდივიდუალური ტერმინების გამომწვევი სოციალური მიზეზების გარეშე. მაგალითად, ინდივიდუალური ოჯახი რომ არ არსებობდეს, კლასიფიკატორული ტერმინი +1 და −1 თაობებში შეიძლებოდა გავრცელებულიყო არა მარტო გვერდით, არამედ პირდაპირ ნათესავებზედაც. ცხადია, რომ მთიულეთისა და გუდამაყრის ნათესაობის ტერმინოლოგიის დაყოფა ინდივიდუალურ და კლასიფიკატორულ ტერმინებად გამოწვეულია ტერმინოლოგიური თავისებურებების წარმომქმნელი სოციალური ინსტიტუტების არსებობით.

## § 4. ნათესაობის სისტემის ტიპოლოგიის ზოგიერთი საკითხი. ნათესაობის სისტემის ტიპი მთიულეთსა და გუდამაყარში

ნათესაობის სისტემის კვლევისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება სისტემის მთავარ თავისებურებათა ერთობლიობას, ანუ მისი ტიპის დადგენას. ბუნებრივია, რომ ეს პრობლემა ყოველთვის იდგა სპეციალისტთა ყურადღების ცენტრში.

ლ. მორგანმა ნათესაობის სისტემები დაყო აღწერილობით და კლასიფიკატორულ სისტემებად. კლასიფიკატორულ სისტემებში სისხლით ნათესავები იყოფიან კატეგორიებად ეგოს მიმართ მათი სიახლოვე-სიშორის

მიუხედავად. ამ დროს ნათესაობის ერთი ტერმინი მიეკუთვნება ყველა პირს, ვინც ერთ კატეგორიაში შედის. ასეთია კლასიფიკაცია როგორც მალაური, ისე თურანული სისტემებისა. აღწერილობით სისტემაში სისხლით ნათესავები აღიწერებიან ან ნათესაობის ძირითადი ტერმინებით, ან მათი კომბინაციით. ამგვარად, ყველა ცალკეული პირის ნათესაური ურთიერთობა გამოხატულია სპეციფიკურად. ასეთია ნათესაობის არიული სისტემა, რომელიც წარმოიშვა მონოგამიასთან ერთად [2.53, გვ.222].

ნათესაობის სისტემების დიფერენციაციის პრინციპების გამოყოფას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პრობლემის კვლევის შემდგომი გაღრმავებისათვის. ამასთან ერთად, შენიშნულ იქნა ზოგიერთი უზუსტობაც, რომელთა გამოვლენამ ხელი შეუწყო ნათესაობის სისტემათა ტიპოლოგიის საფუძვლების უკეთ გაგებას.

ა. კრიობერმა და უ. რივერსმა გააკრიტიკეს მორგანის მიერ შემოთავაზებული დიფერენციაციის ხაზისი,რამდენადაც აღწერილობითად სახელდებულ ინგლისურ და სხვა ინდოევროპულ ტერმინოლოგიებში არსებობდა კლასიფიკატორული ტერმინებიც [2.66, გვ.95]. საინტერესოა, რომ უ. რივერსმა შემოგვთავაზა საკუთარი ტიპოლოგია, რომლის მიხედვითაც ნათესაობის სისტემები იყოფოდა ოთხ ტიპად:ჰავაურ, ოჯახურ, ნათესაურ და კლანურ ტიპებად [2.51, გვ.39].

საკითხის დამუშავებაში დიდი დამსახურება მიუძღვის რ. ლოუის, რომლის ტიპოლოგიის საფუძველს წარმოადგენს პირველ აღმავალ თაობაში გვერდითი ნათესაობის ტერმინოლოგიური აღნიშვნა. ამ პრინციპის გამოყენების შედეგად შესაძლებელი გახდა ნათესაობის სისტემების შემდეგი ტიპების გამოყოფა:

1. გენერაციული - ბიძებსა და დეიდებს (uncles and aunts) მიმართავენ იგივე ტერმინით, როგორითაც მშობელს.

2. ბიფურკაციულ-შერწყმული - მამის ძმას და მამას ერთი ტერმინი აღნიშნავს, დედის დას და დედას- სხვა საერთო ტერმინი. მამის დას და დედის ძმას ცალკეული ტერმინები აღნიშნავს.

3. ბიფურკაციულ-კოლატერალური - მშობლებსა და ყველა გვერდით ნათესავს აქვს სპეციალური ტერმინი.

4. ხაზობრივი - გვერდითი ნათესავები გამოიყოფიან მშობლებისაგან, მაგრამ საერთო აქვთ ბიძის, ან დეიდის აღმნიშვნელი ტერმინები [2.66, გვ.98].

ნათესაობის სისტემების ტიპოლოგიაში 0 თაობის ნათესავთა დაჯგუფების პრინციპს ყურადღება მიაქცია ამერიკელმა ეთნოლოგმა ჯ. მერდოკმა, რომელმაც ლ. სპირის ტიპოლოგიის დახვეწის საფუძველზე 0 თაობაში გამოყო შერწყმა-გამიჯვნის შემდეგი ვარიანტები:

1. მალაური - პარალელურ, ჯვარედინ კუზენებსა და სიბლინგებს საერთო ტერმინი აქვთ.

2. სუდანური, მურნგინური ამ კატეგორიებიდან ყველას ცალკეული ტერმინი აღნიშნავს.

3. ესკიმოსური - ჯვარედინ და პარალელურ კუზენებს ერთი საერთო ტერმინი აქვთ, სიბლინგს - სხვა.

4. იროკეზული, კროუ, ომაჰა - პარალელურ კუზენებსა და სიბლინგს საერთო ტერმინი აქვთ, ჯვარედინ კუზენებს - სხვა ტერმინი [3.119, გვ.44].

ნათესაობის სისტემათა ტიპოლოგიის ზოგადი პრობლემატიკის დამუშავებაში გარკვეული წვლილი შეიტანეს საბჭოთა ეთნოგრაფებმაც.

უკვე XX ს.-ის 20-იანი წლების ბოლოს, უ. რივერსის შრომების გავლენის შედეგად საბჭოთა ეთნოგრაფიაში წარმოიშვა შეხედულება მორგანისეული კლასიფიკაციის არასრულყოფილების შესახებ [3.96, გვ.66; 3.131, გვ.30], ხოლო უფრო მოგვიანებით დ. ოლდეროგეს მიერ მოცემულ იქნა სისტემათა ტიპოლოგიის საკუთარი გააზრებაც.

დ. ოლდეროგე თვლის, რომ ნათესაობის სისტემების სტრუქტურის ძირითადი პრინციპები ის ნიშნებია, რომლებიც ასახავენ საზოგადოების საზოგადოებრივ-ეკონომიკურ სტრუქტურას, ან, უფრო ზუსტად, იმ ეკონომიკურ უჯრედს, რომელიც ძირითადია მოცემულ საზოგადოებაში [3.105, გვ.26].

ამ პრინციპის მიხედვით, დ. ოლდეროგე იძლევა ნათესაობის სისტემების შემდეგ ტიპოლოგიას:

თურანულ-განოვანური სისტემები, რომლებიც ასახავენ გვაროვნულ წყობას გვაროვნული ეგზოგამიით. ეს წყობა დაფუძნებულია გვარის ეკონომიკურ ერთიანობაზე.

შემდეგი საფეხურია დიდი პატრიარქალური ოჯახის ნორმების ამსახველი სისტემები. გვარის დაშლის გზები სხვადასხვაა. ამიტომ მრავალფეროვანია ნათესაობის შესაბამისი სისტემებიც. ხშირად გვაროვნული ურთიერთობების დაშლისას თურანულ-განოვანური სისტემა მარტივდება და იძლევა მალაური სისტემის ნიშნებს, როგორც ეს გარკვეულია მრავალი ეთნოგრაფის მიერ[49].

განვითარების ბოლო საფეხურია მცირე ოჯახის ამსახველი სისტემები. ესაა ინდოევროპელთა სისტემები, რომელთა შორის უძველესები ჯერ კიდევ ინარჩუნებენ გვაროვნული საზოგადოების ნათესაობის სისტემათა კვალს [3.105, გვ.29].

დ. ოლდეროგეს ტიპოლოგია შეესაბამება გვარისა და ოჯახის განვითარების უზოგადეს ეტაპებს, რაც თავისთავად მნიშვნელოვან ფაქტს წარმოადგენს.

ამჟამად საბჭოთა ეთნოგრაფიაში ყველაზე გავრცელებული და მიღებულია მ. კრიუკოვის მიერ შემოთავაზებული ტიპოლოგია, რომელიც აერთიანებს +1 თაობის ტრადიციულ ტიპოლოგიას ჯ. მერდოკის კლასიფიკაციასთან [3.119, გვ.44] და შეიცავს შემდეგ ძირითად ტიპებს:

იროკეზული- +1 თაობაში მამასა და მამის ძმას აქვთ საერთო ტერმინი, დედის´ძმას - სხვა ტერმინი. 0 თაობაში ძმას და პარალელურ კუზენებს, ერთის მხრივ, და ჯვარედინ კუზენებს, მეორეს მხრივ, განსხვავებული საერთო ტერმინები აქვთ.

პავაური +1 თაობაში ყველა დასახელებულ ნათესაურ კატეგორიას ერთი საერთო ტერმინი აქვს. 0 თაობაშიც იგივე მდგომარეობაა.

ინგლისური - +1თაობაში მამა გამოიყოფა მამისა და დედის ძმებისაგან, რომელთაც საერთო ტერმინი აქვთ. 0 თაობაში ძმა იმიჯნება ერთი ტერმინის ქვეშ გაერთიანებული დანარჩენი ნათესავებისაგან.

არაბული - ორივე თაობაში ყველა დასახელებულ ნათესავს შესაბამისი სპეციალური ტერმინი აღნიშნავს [2.51, გვ.40][50]

შემდგომი კვლევის შედეგად მ. კრიუკოვმა საწყისი იროკეზულის მაგივრად ყველაზე მარტივად აღიარა ე. წ. "ავსტრალიური" სისტემა, რომლისთვისაც, იროკეზულისაგან განსხვავებით, დამახასიათებელი იყო ტერმინების დუალური დაყოფა [2.51, გვ.225].

ავსტრალიური სისტემები ასახავენ დუალურ-გვაროვნული ეგზოგამიური ორგანიზაციის თავისებურებებს, რომელიც დაფუძნებულია აუცილებელ ქორწინებაზე. ეს ტიპი შეიძლება გარდაიქმნას როგორც მალაურ, ისე არაბულ ტიპად. მალაურ ტიპად გარდაქმნა წარმოადგენს განვითარების სპეციფიკურ გზას, რომელიც განპირობებულია განსაკუთრებული სოციალურ-ისტორიული პირობებით. უფრო ხშირია ავსტრალიური ტიპის გარდაქმნა არაბულ ტიპად, რომელსაც ქმნის დიდი ოჯახის ნორმებზე დაფუძნებული ეგზოგამიური კლანური ორგანიზაცია, ხოლო იძულებითი კლანური ენდოგამია კი იწვევს მალაური ტიპის სისტემის წარმოშობას. ინგლისური ტიპის წარმოქმნა ისტორიულად ემთხვევა კლანის გვიანდელი ფორმების დაშლას და თანამედროვე მონოგამიური ოჯახის წარმოშობას, რომელიც წარმოადგენს საზოგადოების ძირითად სოციალურ უჯრედს [2.51, გვ.282-283].

ზემოთქმულთან დაკავშირებით წარმოიქმნება ასეთი პრობლემა - საკმარისია, თუ არა მ. კრიუკოვის სქემაში გამოყენებული კრიტერიუმები ტერმინოლოგიის შესაბამისი სოციალური სტრუქტურების სრული სახით გამოსახატავად?

მ. კრიუკოვის მიერ შემოთავაზებული კრიტერიუმების მიხედვით, მთიულეთ-გუდამაყრის ნათესაობის ტერმინოლოგია მიეკუთვნება არაბულ ტიპს. როგორც ცნობილია, არაბულ სამყაროში დაშვებულია ქორწინება რეალურ, ან კლასიფიკატორულ მამის ძმის შვილთან [3.200, გვ.132]. ამ თავისებურებით არაბული სამყარო ძირეულად განსხვავდება მთიულეთ-გუდამაყრისაგან, რაც აისახება კიდეც ტერმინოლოგიაში - არაბულ სისტემაში ზოგი ტერმინი აერთიანებს სისხლითნათესაურ და მოკეთეობრივ ურთიერთობებს [3.114, გვ.35-36], ჩვენს მიერ გაანალიზებულ ტერმინოლოგიაში კი ნათესაობის ეს ორი ტიპი მკაფიოდაა გამიჯნული ერთმანეთისაგან. ყოველივე ამის გამო, განხილული ორი სისტემის გაერთიანება ერთ ტიპში არაა სწორი. ვფიქრობთ, რომ მ. კრიუკოვის კრიტერიუმების აღიარება ზოგადი ტიპოლოგიის საფუძვლად არ უნდა იყოს

საკმარისი და შესაძლოა, მოკეთეობრივი და სისხლით ნათესაობის ამსახველი ტერმინოლოგიების შერწყმა-გამიჯვნის პრინციპი ტიპოლოგიის კიდევ ერთ კრიტერიუმად გამოდგეს[51] სავარაუდებელია, რომ ეს პრინციპი ერთმანეთისაგან გამოყოფს: ა. ტერმინოლოგიებს, რომლებშიც აბსოლუტურადაა შერწყმული მოკეთეობრივი და სისხლით ნათესაობის ტერმინები. ბ. ნომენკლატურებს, სადაც მხოლოდ რამდენიმე ტერმინშია გაერთიანებული ეს ორი ტიპის ნათესაობა და გ. სისტემებს, რომლებშიც მოკეთეობრივი და სისხლით ნათესაობის ტერმინები აბსოლუტურადაა გამიჯნული ერთმანეთისაგან.

როგორც ზემოთ ითქვა, მ. კრიუკოვი მონოგამიური ოჯახის წარმოქმნას უკავშირებს ინგლისური სისტემის წარმოშობას.

მთიულეთ-გუდამაყრის ეთნოგრაფიული მასალების ანალიზისას თვალნათლივ გამოჩნდა, რომ მეუღლეებისა და ინდივიდუალურ ოჯახში შემავალი ნათესავების ამსახველი ტერმინების ინდივიდუალური ხასიათი შეესაბამებოდა ინდივიდუალური ოჯახის ფუნქციონირების ფაქტს. ვფიქრობთ, რომ ამ ოჯახის მქონე საზოგადოების ნომენკლატურის ხსენებული თავისებურებები უფრო სრულად წარმოაჩენს ინდივიდუალური ოჯახის არსებობას, ვიდრე მ. კრიუკოვისეული კრიტერიუმები.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ცხადი ხდება, რომ საბჭოთა ეთნოგრაფიაში მიღებულ ტიპოლოგიას საფუძვლიანი დახვეწა სჭირდება, რაც აძნელებს მთიულეთ-გუდამაყრის ნათესაობის სისტემის მოთავსებას ამ ტიპოლოგიაში. ლიტერატურაში არსებული თვალსაზრისის მიხედვით, ნათესაობის სისტემათა ტიპები არის მკვლევართა მიერ შექმნილი მოდელები მათი სამეცნიერო ანალიზის ინსტრუმენტად გამოყენების მიზნით. ამა თუ იმ სისტემის რომელიმე ტიპისადმი მისადაგების შედეგად მკვლევარი იძულებულია აბსტრაჰირებდეს მოცემული კონკრეტული სისტემის მრავალი კერძო თავისებურებიდან, რომელთა ემპირიული მრავალფეროვნება უთვალავია [2.51, გვ.280]. ამიტომ მთავარი პრობლემა ასეთი კუთხით წარმოჩნდება:

რომელი ტერმინოლოგიური თავისებურებები და შესაბამისი სოციალური ინსტიტუტები ქმნიან გარკვეულ ტიპს და რომელი კერძო ნიშნებისა და შესატყვისი სოციალური თავისებურებების უგულვებელყოფა შეიძლება მოცემული სისტემის რომელიმე ტიპისადმი მისადაგებისას?

მ. ჩლენოვი თვლის, რომ სხვადასხვა ტერმინოლოგიების სტრუქტურისწარმომქმნელი პრინციპების ერთმანეთთან შეჯერების შედეგად წარმოიქმნება იმ მკაცრად მეცნიერული ტიპოლოგიის შემუშავების შესაძლებლობა, რომელიც აღარ იქნება დაფუძნებული ცალკეულ, ნებისმიერად ამორჩეულ ნიშნებზე [3.137, გვ.168-169]. ვფიქრობთ, რომ ეს მართებული აზრია და მისმა განხორციელებამ მომავალში შესაძლოა კარგი შედეგები მოგვცეს.

თ ა ვ ი  მ ე ო თ ხ ე

# მთიულეთისა და გუდამაყრის ნათესაობის ტერმინების ლინგვისტურ-საისტორიო წარმომავლობისა და მორფოლოგიური სტრუქტურის საკითხები. ნათესაობის სისტემა აღმოსავლეთ საქართველოში V-X სს.

## § 1. სისხლით ნათესაობის ტერმინების ანალიზი

სისხლით ნათესაობის ტერმინოლოგიის განხილვას ჩვენ დავიწყებთ მეორე აღმავალი თაობის ტერმინებით - "პაპა" და "ბებია".

ტერმინ "პაპის" შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. დ. ჩუბინაშვილი თვლის, რომ ტერმინი საქართველოში შემოვიდა საბერძნეთიდან [5.7, გვ.396]. იგივე თვალსაზრისი აქვს ნ. ჩუბინაშვილსაც [5.4, გვ.326]. არნ. ჩიქობავა ადარებს ჭანურ პაპ-ულ-ი // პაპ-უ-ს; მეგრულ პაპ-უ // პაპ-ულ - ს, ქართულ პაპ-ა - პაპ-ალ-//პაპ-ან-თან და გამოყოფს ყველა ამ ტერმინისათვის საერთო "პაპ"-ძირს [5.3, გვ.14-15]. გ. კლიმოვის აზრით, ტერმინი რეკონსტრუირდება ქართულ-ზანური ენობრივი ერთიანობის პერიოდისათვის [5.5, გვ.152]. საენათმეცნიერო ლიტერატურის მონაცემების მიხედვით, ეს პერიოდი მიეკუთვნება ჩვ. წ. აღ.-მდე XIX-VIII სს.-ებს [3.76, გვ.245; 5.5, გვ.35].

ტერმინ "პაპის" შესახებ ცნობებს ვხვდებით ქართულ წერილობით ძეგლებში, რომელთა მიხედვით, ტერმინის არსებობა ფიქსირდება ჩვ. წ. აღ.-ით XI ს. [2.31, გვ.8]. აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად ქართულ სალიტერატურო ენაში გამოიყენებოდა აღწერილობითი ხასიათის ტერმინი "მამის მამა", რომელიც მოწმდება V-XIსს.-ის პერიოდის ამსახველ ი. აბულაძის ლექსიკონში [5.1, გვ.214]. ამ დროის წყაროებში ჩვენ ვერ ვხვდებით ტერმინს "დედის მამა", მაგრამ სავარაუდებელია, რომ დედის მამის აღსანიშნავად აუცილებლად იარსებებდა რაიმე ტერმინი, რომელიც ანალოგიის მიხედვით, უნდა ყოფილიყო სწორედ "დედის მამა". რამდენადაც ჭანურსა და მეგრულ ენებში "პაპის" მსგავსი ტერმინები აღნიშნავდნენ მშობლების მამას, სავარაუდებელია, რომ V-XI სს. "პაპა" საქართველოში აღნიშნავდა

მშობლების მამას, მაგრამ სალიტერატურო ენაში იხმარებოდა ზემოხსენებული აღწერილობითი ტერმინები, რომლებიც XI ს-ის შემდეგ "პაპამ" სალიტერატურო ენიდანაც გამოდევნა.

მორფოლოგიური თვალსაზრისით ტერმინი ელემენტარულია.

საინტერესოა ტერმინ "ბებიას" შინაარსი და წარმომავლობა.

ს.-ს. ორბელიანის აზრით, "ბებია" აღნიშნავს დედის დედას [5.2, გვ.37]. დავით და ნიკო ჩუბინაშვილების ლექსიკონებში ტერმინი განმარტებულია, როგორც მშობლების დედა [5.4, გვ.150; 5.7, გვ.50]. V-XI სს. მის მაგივრად იხმარებოდა აღწერილობითი ტერმინები "დედის დედა" და "მამის დედა" [5.1, გვ.139].

ტერმინის წარმომავლობის შესახებ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. ნ. მარის აზრით, ტერმინებში "ბებია" და "ბაბუა" ერთი და იგივე "ბბ" ძირის არსებობას ხსნის ავარული ენა, რომლის მამრობითი სქესის აღმნიშვნელი ɑ( >W ) და მდედრობითისა - i(>Y) მიუთითებს ტერმინების ავარულ წარმოშობაზე [3.98, გვ.319]. ივ. ჯავახიშვილი არ იზიარებს ნ. მარის თვალსაზრისს, რადგანაც ეს სიტყვები არ არსებობს ავარულ ენაში და ტერმინი "ბაბუა" აღმოსავლეთ საქართველოში არსად იხმარება; "ბაბუა" ავარულიდან რომ შემოსულიყო, პირველად აღმოსავლეთ საქართველოს უნდა შეეთვისებინა [2.36, გვ.170].

განსხვავებული მოსაზრება წამოაყენა ლ. პანეკმა, რომელმაც ტერმინი "ბებია" დაუკავშირა ქართულ სიტყვებს - "ბებერი" და "ბერწი" [3.111, გვ.73] და ამით მის ქართულ წარმომავლობას გაუსვა ხაზი.

ტერმინის სადაურობისა და წარმოქმნის პერიოდის დადგენა შესაძლებელი ხდება ლინგვისტური მონაცემების საშუალებით, რომელთა მიხედვითაც, მეგრულსა და სვანურში მოცემულ ნათესაურ ურთიერთობებს აღნიშნავენ მსგავსი ტერმინებით, შესაბამისად, "ბები"-ით და "ბებე"-თი. განსხვავება არის ჭანურ ენაში, სადაც გვაქვს ტერმინი "ნანდიდი//ნანდი" [2.58, გვ.62, 77, 89]. ეს უკანასკნელი გარემოება შეიძლება აიხსნას ჭანურში მშობლების დედის აღმნიშვნელი ტერმინის სტრუქტურული თავისებურებით - "ნანდიდი" ნიშნავს დიდ დედას. შესაძლოა, ასეთი ტიპის კონსტრუქცია დანარჩენი ქართველური ენებისთვის ყოფილიყო დამახასიათებელი შორეულ წარსულში, მაგრამ მხოლოდ ერთ ენაში ასეთი ტერმინის არსებობა უფრო მის შედარებით ახალ წარმოშობაზე უნდა მიუთითებდეს. მით უმეტეს, რომ "ბებიის" მსგავსი ტერმინი დადასტურებულია სვანურ ენაშიც, რომელთანაც ქართულს ნაკლები პარალელები მოეძებნება, ვიდრე ჭანურსა და მეგრულ ენებთან. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ ტერმინი "ბებია" წარმოიშვა საერთოქართული ერთიანობის პერიოდში, ანუ ჩვ. წ. აღ.-მდე XIX ს.-ზე ბევრად ადრე.

მორფოლოგიური თვალსაზრისით ტერმინი ელემენტარულია.

პირველი აღმავალი თაობის ტერმინოლოგიიდან გამოირჩევა მშობლების აღმნიშვნელი ტერმინები - "მამა" და "დედა".

ტერმინი "მამა" გვხვდება V საუკუნის ქართულ ძეგლში "შუშანიკის წამება", სადაც მას, მამრობითი სქესის მშობლის გარდა, ზოგადად მამრობითი სქესის აღმნიშვნელის ფუნქციაც აკისრია [2.29, გვ.7,16]. მის უძველეს ქართულ წარმომავლობაზე მეტყველებს ენათმეცნიერული მონაცემებიც, რომელთა მიხედვითაც ქართული "მამა", მეგრული "მუმა", ჭანური "მუმა" და სვანური "მუ" რეკონსტრუირდება საერთოქართული ენობრივი ერთიანობის დონისათვის [5.5, გვ.126].

ივ. ჯავახიშვილის აზრით, ზმნა "ქმნა"-საგან მიღებული სავარაუდო მიმღეობისაგან "მაქმარი", შესაძლოა, წარმოიშვა ტერმინი "მამარი", რომელიც ისტორიულ წარსულში ერთდროულად მამობისა და მამრობითობის ცნების გამომხატველი იყო და შემდეგ დაუდო საფუძველი ტერმინებს "მამალი" და "მამა", რომლებმაც ეს თვისება - ერთდროულად მამობისა და მამრობითობის აღნიშვნა - შეინარჩუნეს [2.36, გვ.224-227].

როგორც ვხედავთ, ტერმინი "მამა" უძველესი ქართული წარმომავლობისაა და მისი შინაარსი დაკავშირებულია მამაკაცის როლთან ბავშვის გაჩენაში, რადგანაც "ქმნა"-ს კაცის მხრიდან სქესობრივი ურთიერთობის გამომხატველის ფუნქცია ჰქონდა ძველად [2.36, გვ.227]. მორფოლოგიური სტრუქტურის მიხედვით, ტერმინი ელემენტარულია.

ქართველური ენების ერთიანობის პერიოდისათვის რეკონსტრუირდება ტერმინი "დედაც" [5.5, გვ.71], რომელიც უძველესი დროიდან ერთდროულად დედობისა და მდედრობითი სქესის აღმნიშვნელი იყო [2.29, გვ.7,16]. ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, "დვალ" ფუძე დებას და ნაყოფის გამოღებას ნიშნავს. დედაჲ არის დედალის ზოლოშეკვეცილი ფორმა. დადული იმას ნიშნავს, რომლის დანიშნულებას შვილების გაჩენა, ან დაყრა წარმოადგენს. დადული - საგან "უ"-ს "ვა" კომპლექსით შენაცვლებით ჯერ წარმოიშობოდა "დადვალი", ხოლო "ვ"-ს გაქრობის შემდეგ - დადალი, რომელიც შემდეგ დედალ-ად გადაიქცა [2.36, გვ.232-233].

ამ შემთხვევაშიც მშობლის აღმნიშვნელი ტერმინი უკავშირდება მის სპეციფიკურ როლს ბავშვის გაჩენაში. სტრუქტურის მიხედვით ტერმინი ელემენტარულია.

პირველი აღმავალი თაობის სხვა ტერმინებიდან განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ტერმინი "ბიძა".

V-XI სს-ის ქართულ წერილობით წყაროებში არ ჩანს ტერმინი "ბიძა" და მის მაგივრად გამოიყენება აღწერილობითი ხასიათის ტერმინი "მამის ძმა" [2.28, გვ.207; 2.29, გვ.368]. ქართულ ძეგლებში "ბიძა" მხოლოდ XII ს. ჩნდება და ის "მამის ძმის" პარალელურად იხმარება [2.26, გვ.121]. როგორც ჩანს, ამ პერიოდში ერთი ნათესაური ურთიერთობის აღმნიშვნელი ორი

ტერმინი თანაარსებობდა და შემდეგ თანდათანობით გამოიდევნა "მამის ძმა", იმდენად, რომ ეს უკანასკნელი საერთოდ არაა ნახსენები ს.-ს. ორბელიანის ლექსიკონში. ტერმინი "ბიძა" საკმაოდ ტრადიციულია მთიულეთსა და გუდამაყარში, რაზედაც მიუთითებს მისი მოხსენიება "ძეგლის დადებაში" [2.30, გვ.405].

დიდ ინტერესს იწვევს ტერმინის წარმომავლობისა და ეტიმოლოგიის დადგენა.

ნ. მარი ქართულ "ბიძას" უკავშირებს აფხაზურ abyema-ს, რომელიც მამის ძმას ნიშნავს. აფხაზურში y-ს წინ "e" გარდაიქმნება "i"-ში. ამიტომ დამკვირვებელმა შეიძლება "abyema" აღიქვას, როგორც abyima, რასაც ძირის ელემენტის თავდაპირველი ხმოვნის (a-) შეკვეცით შეეძლო მოეცა *-byima, ანუ "ბიძის" აშკარა პროტოტიპი. ქართველებმა ისესხეს ეს სიტყვა აფხაზებისაგან და მოახდინეს მისი ქართიზაცია (მ-მ შეცვალა შ) [3.97, გვ.146].

ნ. მარის მოსაზრების მისაღებად აუცილებელია დამტკიცდეს, რომ აფხაზურ ენაში abyema მამის ძმას აღნიშნავდა XI ს-მდე და განიმარტოს, თუ რატომ უნდა მომხდარიყო ძირის ელემენტის თავდაპირველი ხმოვნის შეკვეცა ქართველების მიერ აფხაზური ტერმინის მიღებისას. ამ აუცილებელი დაზუსტების გარეშე ხსენებული თვალსაზრისის გაზიარება შეუძლებელია.

არნ. ჩიქობავას აზრით, მეგრულში ტერმინი "ბიძა" ქართულიდან მოდის. მისი ფართოდ გავრცელება შედარებით ახალი საქმეა [5.3, გვ.28]. მ. კოვალევსკის მასალების მიხედვით, სვანეთში XIX ს. მშობლების ძმას აღნიშნავდნენ ტერმინებით "ბუბა" და "პიძაი" [2.46, გვ.13]. შესაძლოა, რომ ამ ბოლო ტერმინს ჰქონდეს გარკვეული კავშირი ქართულ "ბიძასთან", მაგრამ მათი მეტ-ნაკლები დამაჯერებლობით ერთმანეთთან დაკავშირება რთულდება დამატებითი ლინგვისტური მონაცემების არარსებობის პირობებში.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ცხადია, რომ ტერმინის ეტიმოლოგიისა და წარმომავლობის პრობლემა ღიად რჩება. ჩვენი ცოდნის თანამედროვე დონის მიხედვით შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ტერმინი არაა ელემენტარული და ის უნდა შეიცავდეს ორ კომპონენტს, რომელთაგან ბოლო "ძა" აშკარად "ძმისაგან" მოდის[52]. ეს ვითარება ტერმინის შინაარსსაც კარგად შეესაბამება. ამიტომ, პირობითად, "ბიძა" შეიძლება აღწერილობით ტერმინებს მივაკუთვნოთ, თუ "ბი" ელემენტს რაიმე კავშირი აქვს ნათესაობის რომელიმე ტერმინთან.

პირველი აღმავალი თაობის სხვა ტერმინებია "მამიდა", "დედიდა" "დედიძმა". სამივე აღწერილობითი ხასიათისაა. მათთვის დამახასიათებელია პირველი ელემენტის მერე სავარაუდებელი ნათესაობის ბრუნვის ნიშნის -"ს" ფონემის ამოვარდნა.

სამივე ტერმინი არსებობდა უკვე V-XI სს, ოღონდ "დედიძმას" "დედის

ძმის" ფორმა ჰქონდა [5.1, გვ.139,214]. ტერმინი "მამიდა" შეუცვლელი ფორმითაა შენარჩუნებული ქართულ სალიტერატურო ენაში, ხოლო ტერმინ "დედიდა"-ში მეორე "დ" ამოვარდნილია და ის ახლა "დეიდის" ფორმით წარმოგვიდგება. რაც შეეხება "დედის ძმას", ის სალიტერატურო ენიდან გამქრალია და "დედიძმის" ფორმითაა შემონახული მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის კუთხეებში, მათ შორის, მთიულეთსა და გუდამაყარშიც. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა ის ფაქტი, რომ დავით და ნიკო ჩუბინაშვილების ლექსიკონებში "დედის ძმა" საერთოდ არაა ნახმარი. ეს ტერმინი არც ს.-ს. ორბელიანის ლექსიკონში გვხვდება, სადაც დედის ძმის აღმნიშვნელად ნახსენებია ტერმინი "ბიძია", ხოლო ტერმინი "ბიძა" განმარტებულია, როგორც მამის ძმა [5.2, გვ.40]. როგორც ჩანს, დაახლოებით XVIII ს. "დედის ძმა" უკვე გამქრალია სალიტერატურო ენიდან და ამ ნათესაური ურთიერთობის ამსახველად ზოგჯერ გამოიყენებოდა ტერმინი "ბიძა". თუმცა ამავე პერიოდში საჭირო ყოფილა მშობლების ძმებს შორის არსებული განსხვავების აღნიშვნაც და ამის გამო უფრო ხშირი იყო დედის ძმის "ბიძია"-დ გამოხატვა. შემდეგ კი, XIX ს-ის დასაწყისში, ეს განსხვავება საბოლოოდ გაქრა და დედის ძმის აღმნიშვნელი გახდა "ბიძა". ამაზე მიუთითებს დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონიც, რომელშიც "ბიძა" მშობლების ძმად არის მოხსენიებული [5.7, გვ.54].

ზემოგანხილული ტერმინების ქრონოლოგიური წარმომავლობის პრობლემების გასაღებს გვაძლევს ენათმეცნიერული მონაცემები, რომელთა მიხედვითაც, ხსენებული ნათესაური ურთიერთობების აღმნიშვნელად მეგრულში გამოიყენება ტერმინები "მამიდა", "დედიდა", ხოლო მშობლების ძმები გაერთიანებული არიან ერთი ტერმინის ქვეშ. ჭანურსა და სვანურში მშობლების და, ერთის მხრივ, და მშობლების ძმა, მეორეს მხრივ, თითო ტერმინით არიან აღნიშნულნი. ჭანურში ეს ტერმინებია შესაბამისად "დადი", "ჯუმადი", სვანურში "გიგა", "ბუბა" [2.58, 62, 77, 89]. არც ერთი ამ ტერმინთან ქართული ტერმინები არ ამჟღავნებენ გენეტიკურ კავშირს, ხოლო მეგრული ტერმინები, როგორც ჩანს, ქართულიდან არის ნასესხები უახლოეს წარსულში. ყოველივე ეს კი გვაფიქრებინებს, რომ ტერმინები "მამიდა", "დედიდა", "დედის ძმა" წარმოიშვა ქართულ-ზანური ენობრივი ერთიანობის დაშლის შემდეგ, ე. ი. ჩვ. წ. აღ.-მდე VIII ს.-ზე გვიანდელ ეპოქაში. რაც შეეხება ტერმინების სადაურობას, ცხადია, პირველი ნაწილების მიხედვით სამივე ქართული წარმოშობისაა, ხოლო სრული სახით მათი ეროვნული წარმომავლობის დადგენა მხოლოდ სიბლინგების აღმნიშვნელი ტერმინების ანალიზის შემდეგ გახდება შესაძლებელი.

ნულოვანი თაობის ნომენკლატურიდან დიდ ყურადღებას იპყრობს ტერმინი "ძმა". ლ. პანეკის აზრით, უძველეს პერიოდში ქართული "ძე" აღნიშნავდა ორივე სქესის შთამომავალს. შემდეგ მას მიემატა მამრობითი სქესის ნიშანი

"მა" და მივიღეთ ძე+მა-ძმა, რომელიც თავიდან აღნიშნავდა მამრობითი სქესის შთამომავალს და პარალელურად - თანატოლსაც, შემდეგ კი ძმის აღმნიშვნელად გადაიქცა [3.111, გვ.73-74]. ავტორი არ მიუთითებს, რატომ და როგორ უნდა მიელო შთამომავლისა და სქესის ამსახველი ტერმინების კომბინაციის შედეგად წარმოქმნილ ტერმინს ერთდროულად უმცროსი თაობისა და თანატოლის აღმნიშვნელის ფუნქცია და არ არკვევს, როგორ გადაიქცა მხოლოდ თანატოლის გამომხატველი ტერმინი სიბლინგის აღმნიშვნელად. ყოველივე ამის გამო, ლ. პანეკის თვალსაზრისი მიუღებელია.

არნ. ჩიქობავას აზრით, ტერმინი წარმოქმნილია ძამ-ან-ისაგან. მისი შესატყვისი იყო ჯომ-ალ, შემონახული ლღმლის ჯუმ-ალ-ის სახით ჭანურში [5.3, გვ.27].

თანამედროვე ლინგვისტური მონაცემების მიხედვით, ტერმინი წარმოქმნილია * $ძ_1$მა საერთო ქართველური არქეტიპიდან და განეკუთვნება საერთოქართული ერთიანობის პერიოდს [2.4, გვ.114; 5.5, გვ.239].

წერილობით წყაროებში ტერმინი მეხუთე საუკუნიდან გვაქვს [2.29, გვ.11]. მორფოლოგიური სტრუქტურის მიხედვით, ის ელემენტარულია.

ასევე არქაული და ქართული წარმოშობისაა ტერმინი "და"-ც, რომელიც საერთოქართული დონისათვის რეკონსტრუირდება [5.3, გვ.29; 5.5, გვ.69]. ლ. პანეკი თვლის, რომ "ძე"-ს ტერმინ " და (ქალი)"-სთან ერთად შეეძლო მოეცა ძ+და, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო ძდა-ს ნაცვლად გვაქვს "და" - თავდაპირველად უმცროსი თაობის პირი და თანატოლი ქალი, შემდეგ კი ცოტა შეკვეცილი მნიშვნელობის "და", ჯერ კლასიფიკატორული, ხოლო შემდეგ კი - ინდივიდუალური ნათესაობის მნიშვნელობით [3.111, გვ.74]. ამ თვალსაზრისის მიღებას ართულებს ის მიზეზები, რომლებიც დასახელებული იყო ლ. პანეკის მიერ ტერმინ "ძმის" ინტერპრეტაციის განხილვისას.

მორფოლოგიური სტრუქტურის მიხედვით ტერმინი ელემენტარულია.

როგორც ვხედავთ, სიბლინგების აღმნიშვნელი ტერმინები უძველესი ქართული წარმომავლობისაა. ეს მიუთითებს ზემოგანხილული აღწერილობითი ხასიათის ტერმინების (მამიდა, დედიდა, დედის ძმა) ქართულ წარმოშობაზე. რაც შეეხება ტერმინების ეტიმოლოგიას, ეს პრობლემა ჯერჯერობით გადაუჭრელია.

ნულოვანი თაობის დანარჩენი ტერმინებიდან აღსანიშნავია ტერმინი "ბიძაშვილი", რომელიც შედარებით გვიანდელ კონსტრუქციას წარმოადგენს. მისი წინამორბედია ტერმინი "ბიძასძე" [2.30, გვ.405], ხოლო უფრო ადრინდელ ფორმად გვევლინება ტერმინი "მამის ძმისწული" [2.28, გვ.12]. "ბიძაშვილი" გვხვდება დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში [5.7, გვ.54]. ამიტომ ამ ტერმინის წარმოქმნის სავარაუდო პერიოდად შეიძლება მივიჩნიოთ XIX ს-ის დასაწყისი.

ცხადია, რომ "ბიძაშვილი" არის აღწერილობითი ხასიათის ტერმი-

ნი, ისევე, როგორც 0 თაობის სხვა ტერმინები - "მამიდაშვილი" და "დედი-ძმიშვილი". "მამიდაშვილის" ნაცვლად ადრე არსებობდა "მამის დისწული" [2.28, გვ.27], ხოლო შესაძლებელი ფორმა "დედის ძმისწული" არაა ჯერჯერობით ჩვენს მიერ დაფიქსირებული უძველეს ქართულ წყაროებში, მაგრამ იმდროინდელი აღწერილობითი ტერმინების მსგავსი კონსტრუქციული თავისებურებების გამო უნდა ვივარაუდოთ ამ ტერმინის არსებობაც უძველეს პერიოდში.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ტერმინი "შინში", რომლითაც საკვლევ კუთხეებში აღნიშნავდნენ დედის დის შვილს[53]. უძველეს პერიოდში ამ ნათესაური ურთიერთობის აღსანიშნავად გამოიყენებოდა აღწერილობითი ხასიათის ტერმინი "დედის დისწული" [2.28, გვ.27; 5.1, გვ.139]. თანამედროვე ქართულ ენაში არსებობს ტერმინი "დეიდაშვილი", ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სხვადასხვა კუთხეებში გამოიყენება ტერმინი "შინში", თუმცა განსხვავებული მნიშვნელობით - ხევსურეთში ამ ტერმინით ბიძაშვილებსაც აღნიშნავდნენ [3.33, გვ.509].

"შინშის" ეტიმოლოგიის შესახებ ლიტერატურაში არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. გ. ჩიტაია მას უკავშირებს ხევსურულ სენე//სენას, რომლითაც აღნიშნავდნენ სახლის იმ ნაწილს, სადაც რძის პროდუქტებს ამზადებდნენ [3.32, გვ.152, 162]. ავტორი არ მიუთითებს, რა საერთო შეიძლება ჰქონდეთ ნათესაობისა და სახლის ნაწილის აღმნიშვნელ ტერმინებს და რა პრინციპით უკავშირდება ეს ტერმინები ერთმანეთს ლინგვისტურად. ამიტომ გ. ჩიტაიას მოსაზრებას ვერ გავიზიარებთ.

ლიტერატურაში გამოთქმული სხვა მოსაზრების მიხედვით, "შინში" წარმოშობით ჩეჩნურ-ინგუშური ტერმინია [3.12, გვ.600-601; 3.33, გვ. 513]. რამდენადაც მასში შემავალი კომპონენტები არ წარმოადგენენ დამოუკიდებელ ტერმინებს საკვლევი კუთხეების ნათესაობის ნომენკლატურაში, ტერმინი შეიძლება მივიჩნიოთ ელემენტარულად მოცემული ტერმინოლოგიისათვის.

-1 თაობის ნომენკლატურიდან აღსანიშნავია ტერმინი "შვილი", რომელსაც ივ. ჯავახიშვილი თვლის "შობა" ზმნიდან მიღებულ მიმღეობად [2.36, გვ.198]. თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის აზრით, მეგრული, სქირ-ი ქართული შვილ-ის ზუსტი ფონემატური შესატყვისია და უკანასკნელის მსგავსად წარმოშობით "შეუ- ფუძისაგან" -ილ/<"-ელ/ სუფიქსით ნაწარმოებ პასიურ მიმღეობას წარმოადგენს [2.4, გვ.13]. გ. კლიმოვი თვლის, რომ "შვილი" ნიშნავს "დაბადებულს" და მის წარმოქმნას უკავშირებს ქართულ-ზანური ენობრივი ერთიანობის პერიოდს [5.5, გვ.217].

როგორც ვხედავთ, ტერმინი წარმოშობილია ჩვ. წ. აღ.-მდე XIX-VIII სს. და მასში ასახულია ბავშვის გაჩენის მომენტი. ამდენად, აქ, ისევე როგორც მშობლების აღმნიშვნელ ტერმინოლოგიაში, საქმე გვაქვს ტერმინის შინაარსის სრულ შესაბამისობასთან ნათესაურ ურთიერთობასთან. მორფოლოგიური სტრუქტურის მიხედვით, ტერმინი ელემენტარულია.

საინტერესოა მდედრობითი სქესის მთამომავლის აღმნიშვნელი ტერმინის "ქალ"-ის ეტიმოლოგია. დავით და ნიკო ჩუბინაშვილების ლექსიკონების მიხედვით, ტერმინს ზოგადად მდედრობითი სქესის წარმომადგენელთა ამსახველის გარდა, მდედრობით სქესის შვილის გამომხატველის ფუნქციაც ჰქონდა [5.4, გვ.399; 5.7, გვ.513]. ენათმეცნიერული მასალების მიხედვით, მეგრულში საერთოდ არაა შვილებს შორის სქესობრივი დაყოფა, ჭანურსა და სვანურში კი ქალიშვილს აღნიშნავდნენ შესაბამისად ტერმინებით - "ზოზომოტა" და "ჰასუში" [2.58, გვ.62, 77, 89]. ამ მონაცემებიდან თვალნათლივ ჩანს, რომ "ქალ"-ის მიერ მდედრობითი სქესის მთამომავლის აღნიშვნას არ მოეძებნება ლინგვისტური ანალოგები მონათესავე ქართველურ ენებში და, ამდენად, ეს მოვლენა მიეკუთვნება ქართული ენის ზანურისაგან გამოყოფის პერიოდს, ანუ ჩვ. წ. აღ-მდე VIII - ახ. წ. აღ.-ის V სს-ებს. მორფოლოგიური სტრუქტურის მიხედვით ტერმინი ელემენტარულია.

-1 თაობის სხვა ტერმინებია "ძმისწული" და "დისწული". ორივე მათგანი ტრადიციულია და გვხვდება უძველეს ქართულ წერილობით ძეგლებში.

ტერმინი "ძმისწული" მოიხსენიება V-XI სს-ის ქართულ ძეგლებში [2.28, გვ.20; 5.1, გვ.527]. წერილობითი წყაროების მიხედვით ძნელდება ტერმინის სქესობრივი ნიშნის დადგენა, რადგანაც ის საერთოდ იშვიათად გვხვდება და ყოველთვის მხოლოდ მამაკაც გმირს აღნიშნავს, რაც მის მიერ ქალის გამოხატვის შესაძლებლობასაც არ გამორიცხავს. ამიტომ ამ შემთხვევაში სხვა რიგის მონაცემებია საჭირო.

ს.-ს. ორბელიანის ლექსიკონში "ძმისწული" ახსნილია, როგორც ძმის ვაჟი [5.2, გვ.426], ხოლო დავით და ნიკო ჩუბინაშვილების ლექსიკონებში ის განმარტებულია ძმის შვილად [5.4, გვ.443; 5.7, გვ.527]. საინტერესოა, რომ ტერმინ "ძმისწულის" მიერ თავდაპირველად მხოლოდ მამაკაცი ნათესავის აღნიშვნაზე მიუთითებს სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება ადრეულ ეპოქაში ამ ტერმინის შემადგენელი კომპონენტის "წულის" მამრობითი სქესის მნიშვნელობით ხმარების შესახებ [2.7, გვ.362-363; 3.24, გვ.132].

მორფოლოგიური სტრუქტურის მიხედვით ტერმინი აღწერილობითია, წარმომავლობით კი - ქართული, რაზედაც მიუთითებს "წულის" უძველესი ქართული წარმოშობა [5.5, გვ 252]. თვით ტერმინი წარმოქმნილია ჩვ. წ. აღ-მდე VIII ს-ზე გვიანდელ ეპოქაში, რადგანაც ქართულის მონათესავე ენებში არაა დადასტურებული "ძმისწულის" მსგავსი ტერმინი.

მსგავსი აგებულებისა და წარმომავლობისაა ტერმინი "დისწული", რომელიც მხოლოდ დის ვაჟს აღნიშნავს უძველეს ქართულ ძეგლებში [2.28, გვ.57]. ს.-ს. ორბელიანის ლექსიკონშიც "დისწული" დის ვაჟადაა მოხსენიებული [5.2, გვ.100], თუმცა ი. აბულაძე მას დის შვილად განმარტავს [5.1, გვ.142].

წარმომავლობის მიხედვით "ღისწული" ქართულია და მისი წარმოშობა მიეკუთვნება ქართული ენის ზანურისაგან გამოყოფის პერიოდს მონათესავე ენებში ტერმინის შესატყვისობების არარსებობის გამო.

-1 თაობის სხვა ტერმინია "შინშიშვილი", რომელიც აღწერილობითი ხასიათისაა და რომლის წარმოქმნაც "შინშის" საკვლევ კუთხეებში ტერმინად დანერგვის შემდეგაა სავარაუდებელი. წარმომავლობით ტერმინი ნახევრადქართულია.

-2 თაობის ნათესავთა აღსანიშნავად გამოიყენება ტერმინი "შვილიშვილი", რომლის შესატყვისი ფორმა "შვილისშვილი" არსებობდა V-XI სს-ის ქართულ სალიტერატურო ენაში [5.1, გვ.500]. ქართულის მონათესავე არც ერთ ენაში არაა დაფიქსირებული მსგავსი ტერმინი, ამიტომ მისი წარმოშობა ჩვ. წ. აღ.-მდე VIII ს-ზე გვიანდელ ეპოქაში უნდა ვივარაუდოთ.

მორფოლოგიური სტრუქტურის მიხედვით ტერმინი აღწერილობითია.

## § 2. მოკეთეობრივი ტერმინოლოგიის ანალიზი

პირველი აღმავალი თაობის მოკეთეების ამსახველი ტერმინებია: "დედამთილი", "მამამთილი", "სიდედრი" და "სიმამრი".

გ. კლიმოვი ქმრის მშობლების აღმნიშვნელ ტერმინებს წარმოშობით მიაკუთვნებს ქართულ-ზანური ენობრივი ერთიანობის პერიოდს და "მთილ"-ს მიიჩნევს გაურკვეველი სემანტიკის კომპონენტად [5.5, გვ.72, 126-127]. ე. სოსელია გამოთქვამს ჰიპოთეზას, რომ ქართულ - ზანურ დონეზე შეიძლება ზოგადად მშობლის მეუღლის ნათესაობის რეკონსტრუირება, რომელიც, შესაძლოა, აღინიშნებოდა ტერმინით *მთილ [2.58, გვ.105].

ჩვენი აზრით, "მთილ" - წარმოადგენს მოკეთეობრივი ნათესაობის ამსახველ ერთ-ერთ კომპონენტს და, შესაძლოა, შორეულ წარსულში მას მართლაც ჰქონდა ნათესაობის ელემენტარული ტერმინის მნიშვნელობა.

ქმრის მშობლების აღმნიშვნელი ტერმინები არ წარმოადგენენ ელემენტარულ ტერმინებს. არ შეიძლებოდა მათი მიჩნევა არც აღწერილობით ტერმინებად, რადგანაც ისინი არ აღწერენ ალტერსა და ეგოს შორის არსებულ ნათესაურ ურთიერთობებს. როგორც ცნობილია, არსებობს შედგენილი ტერმინებიც, რომელთა გარკვეულ ნიშნებს ატარებენ ჩვენს მიერ განხილული ტერმინები, თუმცა, შედგენილი ტერმინებისაგან განსხვავებით, მათი შემადგენელი ყველა კომპონენტი გამოხატავს ნათესაურ ურთიერთობას. მიუხედავად ამ განსხვავებისა, "მამამთილი" და "დედამთილი" შეიძლება მივაკუთვნოთ შედგენილ ტერმინებს.

ცოლის მშობლების ამსახველ ტერმინებში გამოიყოფა პრეფიქსი "სი". თ. გამყრელიძე და გ. მაჭავარიანი თვლიან, რომ *ს$_1$ი- პრეფიქსი ამ

ტერმინებში ჯერ კიდევ ადრეულ ეპოქაში შეეზარდა ძირს და ფუძისეულ მასალად იქნა გააზრებული [2.4, გვ.134$_2$]. ე. სოსელიას აზრით, ამ ტერმინების ძირი ენის სინქრონულ დონეზე შედგება ერთი მორფემისაგან და მათი წარმოდგენა "სი-მამრ"-, "სი-დედრ"-სახით არაა გამართლებული, თუმცა, ერთი შეხედვით, ყოველ მათგანში გამოიყოფა გაურკვეველი სემანტიკის მორფემა სი-[2.58, გვ.47]. ივ. ჯავახიშვილს განსხვავებული მოსაზრება აქვს "სი" პრეფიქსის შესახებ. მისი აზრით, "სიმამრი" "სი" და "მამრი"-საგან შედგება, ისევე, როგორც "სიდედრი" "სი" და "დედრისაგან" არის ნაწარმოები და მამად და დედად მისაჩნევს ნიშნავს. ამ ორ შემთხვევაში "მამა" "მამრისა" და "დედა" "დედრის" სახით არის წარმოდგენილი [2.36, გვ. 225].

ჩვენი აზრით, ტერმინები "სიდედრი" და "სიმამრი" არაა ელემენტარული, რადგან "სი" კომპონენტი მხოლოდ მოგვიანებით შეეზარდა ფუძეს, ტერმინების წარმოშობის პერიოდში კი პრეფიქსის როლს ასრულებდა. ვფიქრობთ, რომ "სი" პრეფიქსი, "მთილის" მსგავსად, მოკეთეობრივი ნათესაობის გამომხატველ ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს და, შესაძლოა, ოდესღაც მასაც ჰქონოდა ელემენტარული ტერმინის მნიშვნელობა[54]. ამიტომ ცოლის მშობლების აღმნიშვნელი ტერმინებიც შედგენილად უნდა მივიჩნიოთ.

ტერმინი "სიდედრი" პირველად VI ს-ის წყაროში გვხვდება [2.29, გვ.32]. V-XI სს. არსებობდა ტერმინი "სიმამრიც" [5.1, გვ.391]. ქართული ენის მონათესავე ენებში არაა ამ ტერმინების ლინგვისტური შესატყვისობები. ამიტომ მათი წარმოშობა უნდა ვივარაუდოთ ჩვ. წ. აღ.-მდე VIII ს-ის მომდევნო ეპოქაში.

ნუღოვანი თაობის ნომენკლატურიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ტერმინები "ცოლი" და "ქმარი".

ივ. ჯავახიშვილის აზრით, შესაძლებელია "ქმარი" პირვანდელი "მაქმარისაგან" იყოს წარმოდგენილი, ე. ი. ეს სიტყვა "ქმნა"-სგან ნაწარმოები მიმღეობა იყოს, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ტერმინი "ქმარი" თავდაპირველად სქესობრივი დამოკიდებულებისა და შეილიერების აქტიური მონაწილის აღმნიშვნელი მიმღეობა უნდა ყოფილიყო [2.36, გვ.227]. "ქმნას" უკავშირებს ტერმინ "ქმარს" არნ. ჩიქობავაც [5.3, გვ.34].

ლინგვისტური მონაცემების მიხედვით, ქართული "ქმარის", მეგრული "ქომონჯის", ჭანური "ქომონჯი//ქიმოჯის" ამოსავალია "ქმარ არქეტიპი და ტერმინის წარმოშობა მიეკუთვნება ქართულ-ზანური ენობრივი ერთიანობის პერიოდს [2.4, გვ.120; 5.5, გვ.198]. მორფოლოგიური სტრუქტურის მიხედვით ტერმინი ელემენტარულია. საისტორიო წყაროებში ის V ს-დან ჩნდება [2.29, გვ.7].

ქართული ძირი დასტურდება ტერმინ "ცოლშიც", რომელიც საერთოქართული ენობრივი ერთიანობის პერიოდს განეკუთვნება [5.5, გვ.230]. ქართულ

წყაროებში ტერმინი V ს-დან ჩანს [2.29, გვ.7]. მორფოლოგიური სტრუქტურით ის ელემენტარულია.

პირველი დაღმავალი და 0 თაობების ტერმინებს განეკუთვნება "სიძე" და "რძალი".

ტერმინ "სიძეში" შემავალი "სი" კომპონენტი წარმოშობით პრეფიქსია და ადრეულ ეპოქაში შეეზარდა ძირს [2.4, გვ.$134_2$]. ე. სოსელია ტერმინს ერთ მორფემად მიიჩნევს [2.58, გვ.47]. გ. კლიმოვის აზრით, "სიძეს" წარმოშობა საერთოქართველურ დონეს მიეკუთვნება [5.5, გვ.164]. მორფოლოგიური სტრუქტურით ტერმინი შედგენილია.

საინტერესოა ტერმინ "რძალის" ეტიმოლოგია. წერილობითი წყაროებისა და საენათმეცნიერო მონაცემების მიხედვით, მას წინ უსწრებდა ტერმინი "სძალი" [2.4, გვ.$137_1$, $140_1$; 5.1, გვ.407]. ტერმინს "რძალის" ფორმა აქვს უკვე XIX ს-ის დასაწყისში [5.7, გვ.416]. არნ. ჩიქობავა ერთმანეთს ადარებს ჭანურ ოხორ-ჯა ⟵ ოხორ-ჯალ; მეგრულ ოხორ-ძა ⟵ ოხორ-ძალ-ს, ქართულ ს-ძალ//რ-ძალ-ს და გამოყოფს საერთო ფუძეს ძალ - [5.3, გვ.32-33].

ტერმინ "სძალ/რძალზე" დაკვირვება უჩვენებს, რომ მასში გამოიყოფა ს/რ ფონემა და ძალ- კომპონენტი. შესაძლოა, რომ ეს უკანასკნელი "ქალთან" იყოს კავშირში. ამიტომ ამ შემთხვევაში ჩვენ შედგენილ ტერმინთან უნდა გვქონდეს საქმე, რომელიც ამჟღავნებს დიდ სტრუქტურულ მსგავსებას ტერმინ "სიძესთან". თუ გავიხსენებთ, რომ ქართულ ენაში ტერმინი "ქალი" მდედრობითი სქესის აღმნიშვნელადაც იხმარებოდა, ცხადი გახდება, რომ ტერმინ "ს-ძალში" არსებული ძალ- კომპონენტი, თუ ის ქალ-ის გარდაქმნილი ფორმაა, აღნიშნავს მდედრობითი სქესის შთამომავალს, ისევე, როგორც ტერმინ "სიძეში" "ძე" კომპონენტი გამოხატავს ვაჟიშვილს. გარდა ამისა, ყურადღებას იპყრობს მსგავსება ტერმინების თავკიდურა მარცვლებში - ს/ძალ - სი/ძე/. სრულიად შესაძლებელია, რომ ს - ძალ - ში იყო თავდაპირველი "სი" პრეფიქსი და შემდეგში "ი" ფონემა ამოვარდა. თუკი ყოველივე ამას დავუმატებთ ტერმინების ქვეშ ნაგულისხმევი ნათესაური ურთიერთობების პრინციპიალურ მსგავსებას, ცხადი გახდება ტერმინების კონსტრუქციული იდენტურობა. რაც შეეხება ტერმინებში შემავალ კომპონენტებს "ძე" და "ძალ/ქალ", ისინი ნათესაური სიახლოვის მაჩვენებელ ელემენტებად უნდა მივიჩნიოთ, ისევე, როგორც მშობლების აღმნიშვნელი ტერმინები მეუღლის მშობლების ამსახველ ნომენკლატურაში.

ტერმინ "რძალიდან" წარმოქმნილია ტერმინი "ძალუა", სადაც დაკარგულია "რ" ფონემა და "ი" ფონემა შეცვლილია "უა" კომპონენტით. მორფოლოგიური სტრუქტურის მიხედვით ტერმინი შედგენილია.

მეუღლეების სიბლინგებს მთიულეთსა და გუდამაყარში აღნიშნავენ ტერმინებით "ცოლისძმა", "ცოლისდა", "მაზლი" და "მული".

ტერმინი "მაზლი" გვხვდება უკვე V ს. [2.29, გვ.11]. "მული",

შესაძლოა, უფრო მოგვიანებით იყოს წარმოქმნილი, რადგანაც ის არ არის ი. აბულაძის ლექსიკონში. საენათმეცნიერო მასალების მიხედვით, ამ ტერმინებს არა აქვთ შესატყვისობები მონათესავე ქართველურ ენებში. შესაძლოა, რომ ორივე ტერმინი არაქართული წარმოშობის იყოს., რამდენადაც მათში შემავალი კომპონენტები არაა დამოუკიდებელი ტერმინები საკვლევ კუთხეებში, ისინი ელემენტარულ ტერმინებად უნდა მივიჩნიოთ.

უძველესი ქართული წარმოშობისაა ცოლის სიბლინგების აღმნიშვნელი ტერმინები. "ცოლისდა" გვხვდება V-XI სს-ის ძეგლებში [5.1, გვ.519]. კონსტრუქციული მსგავსების გამო ამავე პერიოდს უნდა განეკუთვნებოდეს ტერმინ "ცოლისძმის" არსებობა. არც ერთ ამ ტერმინს არა აქვს შესატყვისობა მონათესავე ქართველურ ენებში. ამიტომ მათი წარმოქმნა უნდა ვივარაუდოთ ქართული და ზანური ენების ერთმანეთისაგან დაშორების შემდგომ პერიოდში. ორივე ტერმინი აღწერილობითი სტრუქტურისაა.

დანარჩენი მოკეთეობრივი ტერმინები "მაზლიშვილი" და "მულიშვილი" აღწერილობითი ხასიათისაა, ნახევრადქართულია და წარმოშობილია ქმრის სიბლინგების ამსახველი ტერმინების ქართულ სამყაროში დამკვიდრების შემდეგ.

ჩატარებული ანალიზის შედეგები შემდეგი დასკვნების გამოტანის საშუალებას გვაძლევს:

1. მთიულეთისა და გუდამაყრის ნათესაობის ტერმინოლოგიაში გამოიყენება ძირითადად ქართული წარმოშობის ელემენტარული, შედგენილი და აღწერილობითი ტერმინები.

2. ყველაზე ადრეული წარმომავლობისაა უახლოესი სისხლით ნათესაობისა და მეუღლეობის ამსახველი ელემენტარული ტერმინები და შედგენილი ტერმინი "სიძე".

3. ნათესაობის ტერმინების უმრავლესობა კონსერვატიული ხასიათისაა. ცვლილებები შეეხო მხოლოდ აღწერილობითი ხასიათის ზოგიერთ ტერმინს, რაც ამ ტიპის ტერმინების შედარებით ნაკლებ მდგრადობაზე მიუთითებს.

4. ყველა ელემენტარული ტერმინი უახლოეს ნათესაობას აღნიშნავს.

5. მოკეთეობრივი ტერმინოლოგია იქმნება სისხლით ნათესაობის აღმნიშვნელი ტერმინების, მდედრობითი სქესის მეუღლის ამსახველი ტერმინის "ცოლი", მოკეთეობრივი ტერმინების "მაზლი", "მული" და "სი", "მთილ" კომპონენტების სხვადასხვა კომბინაციებით.

6. საკვლევი კუთხეების რეფერენტული ტერმინოლოგიის შემქმნელი ტერმინებია: "დედა", "მამა", "ძმა", "და", "ცოლი", "წული", "შვილი", "მული", "მაზლი", და "სი", "მთილ" კომპონენტები.

კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები კარგად წარმოაჩენს განვითარების იმ გზას, რაც გაიარა ნათესაობის ტერმინოლოგიამ. გარდა ამისა, ჩატარებული ანალიზი საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ ისტორიულ წარსულში აღმოსავლეთ საქართველოში არსებული ნათესაობის ნომენკლატურა. რამდენადაც

წერილობითი წყაროების მიხედვით მეტ-ნაკლებად სრული ტერმინოლოგიის მქონე ყველაზე არქაულ პერიოდს V-X სს. წარმოადგენს, საკვლევ კუთხეებში ახლა დაფიქსირებულ ნომენკლატურასთან შესადარებლად აღებულ იქნება სწორედ ამ პერიოდის აღმოსავლეთ საქართველოს ნათესაობის ტერმინოლოგია.

## § 3. V-X სს. აღმოსავლეთ საქართველოში არსებული ნათესაობის სისტემის თავისებურებები

წერილობითი წყაროების მიხედვით, V-X სს-ის აღმოსავლეთ საქართველოში არსებობდა ნათესაობის შემდეგნაირი ტერმინოლოგია:

| ნათესაობის ტერმინი | დენოტატუმები |
|---|---|
| 1. პაპა | PaF |
| 2. მამის მამა | FF |
| 3. დედის მამა | MF |
| 4. ბებია | PaM |
| 5. მამა | F |
| 6. დედა | M |
| 7. მამის ძმა | FB |
| 8. დედის ძმა | MB |
| 9. მამიდა | FZ |
| 10. დედის და | MZ |
| 11. ძმა | B |
| 12. და | Z |
| 13. მამის ძმისწული | FBS |
| 14. მამის დისწული | FZS |
| 15. დედის ძმისწული | MBS |
| 16. დედის დისწული | MZS |
| 17. ძე | S |
| 18. ასული | D |
| 19. შვილი | CH |
| 20. ძმისწული | BS |
| 21. დისწული | ZS |
| 22. შვილისშვილი | CHCH |
| 23. ძისწული | ZS |
| 24. ასულის წული | DS |
| 25. სიდედრი | WM |
| 26. სიმამრი | WF |

27. დედამთილი HM
28. მამამთილი HF
29. ცოლი W
30. ქმარი H
31. სიძე DH, ZH
32. სძალი/რძალი SW, BW
33. ცოლისძმა WB
34. ცოლისდა WZ
35. მული HZ
36. მაზლი HB

როგორც ვხედავთ, ნათესაობის გამოვლენილი ტერმინოლოგია დიდი სისრულით არ გამოირჩევა, რადგანაც დადგენილი არ არის ტერმინების დენოტატუმების სრული კომპლექტები. მიუხედავად ამისა, ამ ტერმინოლოგიის კომპონენტური ანალიზის ჩატარების შედეგად შესაძლებელი ხდება მისი წარმომქმნელი ძირითადი სტრუქტურული თავისებურებების გამოვლენა.

სისხლით ნათესაობის აღმნიშვნელი ტერმინოლოგიის ანალიზის შედეგების საჩვენებლად საჭიროა შემდეგი შემოკლებების შემოღება:

A – ნათესაობის ხასიათი-$A_1$-სისხლით ნათესაობა, $A_2$- მოკეთეობრივი.

B – ნათესავის სქესი-$B_1$-მამრობითი სქესი, $B_2$-მდედრობითი.

C – ნათესავის ხაზობრიობა-$C_1$-პირდაპირი ხაზის ნათესაობა, $C_2$-პირველი რიგის გვერდითი ნათესაობა, $C_3$-მეორე რიგის გვერდითი ნათესაობა.

D – მშობლების ნათესაობა-$D_1$-აგნატური ნათესაობა, $D_2$-დედის მხრიდან ნათესაობა, $D_3$-"მესამე გვარი".

E – ნათესავთა თაობა-$E_5$-მეორე აღმავალი თაობა, $E_4$-პირველი აღმავალი თაობა, $E_3$-ნულოვანი თაობა, $E_2$-პირველი დაღმავალი თაობა, $E_1$-მეორე დაღმავალი თაობა.

F – დამაკავშირებელი ნათესავის სქესი -$F_1$-მამრობითი სქესი, $F_2$-მდედრობითი სქესი.

| ნათესაობის ტერმინები | მათი სიგნიფიკატუმები |
|---|---|
| 1. პაპა | $A_1B_1C_1D_{1,2}E_5F$ |
| 2. მამის მამა | $A_1B_1C_1D_1E_5F_1$ |
| 3. დედის მამა | $A_1B_1C_1D_2E_5F_1$ |
| 4. ბებია | $A_1B_2C_1D_{2,3}E_5F_2$ |
| 5. მამა | $A_1B_1C_1D_1E_4$ |
| 6. დედა | $A_1B_2C_1D_2E_4$ |
| 7. მამის ძმა | $A_1B_1C_2D_1E_4F_1$ |

| | |
|---|---|
| 8. დედის ძმა | $A_1 B_1 C_2 D_2 E_4 F_2$ |
| 9. მამიდა | $A_1 B_2 C_2 D_1 E_4 F_1$ |
| 10. დედის და | $A_1 B_2 C_2 D_2 E_4 F_2$ |
| 11. ძმა | $A_1 B_1 C_2 D_1 E_3$ |
| 12. და | $A_1 B_2 C_2 D_1 E_3$ |
| 13. მამის ძმისწული | $A_1 B_1 C_3 D_1 E_3 F_1$ |
| 14. მამის დისწული | $A_1 B_1 C_3 D_3 E_3 F_2$ |
| 15. დედის ძმისწული | $A_1 B_1 C_3 D_2 E_3 F_1$ |
| 16. დედის დისწული | $A_1 B_1 C_3 D_3 E_3 F_2$ |
| 17. ძე | $A_1 B_1 C_1 D_1 E_2$ |
| 18. ასული | $A_1 B_2 C_1 D_1 E_2$ |
| 19. შვილი | $A_1 BC_1 D_1 E_2$ |
| 20. ძმისწული | $A_1 B_1 C_2 D_1 E_2 F_1$ |
| 21. დისწული | $A_1 B_1 C_2 D_3 E_2 F_2$ |
| 22. შვილიშვილი | $A_1 BC_1 D_{1,3} E_1 F$ |
| 23. ძისწული | $A_1 BC_1 D_1 E_1 F_1$ |
| 24. ასულის წული | $A_1 BC_1 D_3 E_1 F_2$ |

მოკეთეობრივი ტერმინოლოგიის ანალიზის შედეგების საჩვენებლად საჭიროა ასეთი შემოკლებები:

B - ნათესავის სქესი - $B_1$-მამრობითი სქესი, $B_2$-მდედრობითი.

C - ქმრის სისხლის ნათესავთა ხაზობრიობა - $C_1$-პირდაპირი ხაზის, $C_2$-პირველი რიგის გვერდითი ხაზის ნათესავი.

D - ცოლის სისხლით ნათესავთა ხაზობრიობა - $D_1$-პირდაპირი ხაზის, $D_2$-პირველი რიგის გვერდითი ხაზის ნათესავი.

E - ქმრის ნათესაობა - $E_1$-აგნატური ნათესაობა, $E_2$-დედის მხრიდან ნათესაობა.

F - ცოლის ნათესაობა - $F_1$-აგნატური ნათესაობა, $F_2$-დედის მხრიდან ნათესაობა.

G - ნათესავის თაობა - $G_3$-პირველი აღმავალი თაობა, $G_2$-ნულოვანი თაობა, $G_1$-პირველი დაღმავალი თაობა.

H - სისხლით ნათესავების მეუღლეები - $H_1$-პირდაპირი ხაზის სისხლით-ნათესავის მეუღლე, $H_2$-გვერდითი ხჰზის სისხლითნათესავის მე-უღლე.

| ნათესაობის ტერმინები | მათი სიგნიფიკატუმები. |
|---|---|
| 1. ცოლი | $B_2 G_2$ |
| 2. ქმარი | $B_1 G_2$ |
| 3. სიდედრი | $A_2 B_2 D_1 F_2 G_3$ |

4. სიმამრი — $A_2 B_1 D_1 F_1 G_3$
5. დედამთილი — $A_2 B_2 C_1 E_2 G_3$
6. მამამთილი — $A_2 B_1 C_1 E_1 G_3$
7. სიძე — $A_2 B_1 G_{2,1} H$
8. სძალი/რძალი — $A_2 B_2 G_{2,1} H$
9. ცოლისძმა — $A_2 B_1 D_2 F_1 G_2$
10. ცოლისდა — $A_2 B_2 D_2 F_1 G_2$
11. მული — $A_2 B_2 C_2 E_1 G_2$
12. მაზლი — $A_2 B_1 C_2 E_1 G_2$

კომპონენტური ანალიზის შედეგად ვლინდება V-X სს-ის აღმოსავლეთ საქართველოში არსებული სისტემისათვის დამახასიათებელი შემდეგი თავისებურებები:

1. პირდაპირი და გვერდითი ხაზების სისხლით ნათესავების ერთმანეთისაგან გამიჯვნა.
2. აგნატური ნათესაობის გამიჯვნა დედის მხრიდან ნათესაობისაგან.
3. ნათესავების თაობრივი გამიჯვნა ერთმანეთისაგან.
4. სისხლით ნათესაობის გამიჯვნა მოკეთეობრივისაგან.
5. სქესობრივი ნიშნის სრული გამიჯვნა ალტერებში.
6. ინდივიდუალური ოჯახის წევრების ამსახველი ტერმინების ინდივიდუალური ხასიათი.
7. დამაკავშირებელი ნათესავის სქესის ნაწილობრივი რელევანტურობა.

გამოვლენილი თავისებურებები ამჟღავნებენ მსგავსებას იმ შესაბამის სტრუქტურულ ნიშნებთან, რაც ახასიათებს XIX-XX სს-ის მიჯნაზე მთიულეთსა და გუდამაყარში გავრცელებულ ტერმინოლოგიას. რა თქმა უნდა, ძნელია ხელ-აღებით იმის მტკიცება, რომ V-X სს. მთიულეთსა და გუდამაყარში არსებობდა ზუსტად ისეთივე ტერმინოლოგია, როგორიც დაფიქსირებულია განხილულ წყარო-ებში, მაგრამ ჰიპოთეზის სახით შეგვიძლია ვივარაუდოთ ასეთი ვითარების არსებობა.

ლიტერატურის მონაცემების მიხედვით, V-X სს-ის აღმოსავლეთ საქართველოში სოციალური სტრუქტურის ძირითად უჯრედს წარმოადგენდა ინდივიდუალური ოჯახი, ხოლო საოჯახო თემი შემონახული იყო გადმონაშთის სახით [4.12, გვ.26]. ამ ვითარებას კარგად შეესაბამება ინდივიდუალური ოჯახის წევრების აღმნიშვნელი ტერმინების ინდივიდუალური ხასიათი.

ამ პერიოდის აღმოსავლეთ საქართველოში სოციალური სტრუქტურის კიდევ ერთ მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენდა ეგზოგამია. მართალია, ზოგჯერ ადგილი ჰქონდა ენდოგამიის შემთხვევებსაც, მაგრამ ეს ვითარება, ივ. ჯავახიშვილის მართებული შენიშვნით, მხოლოდ მმართველი წრეებისათვის იყო დამახასიათებელი და საქართველოს მოსახლეობის ყველა ფენაში ის არ

გავრცელებულა [2.37, გვ.150]. ამ მოსაზრებას ჩვენ დავუმატებდით, რომ თვით ასეთი ენდოგამიაც კი არ წარმოადგენდა აუცილებელი ქორწინების გამოხატულებას, რადგანაც არ არსებობდა უპირატესი ქორწინება რომელიმე კონკრეტულ ნათესავთან და ენდოგამიურ კავშირებს პოლიტიკური საფუძველი ჰქონდათ.

განხილულ თავისებურებას კარგად შეესაბამება სისხლით ნათესაობისა და მოკეთეების ერთმანეთისაგან გამიჯვნა და ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს იმ უდავო ჭეშმარიტებაზე, რომ ნათესაობის ტერმინოლოგიაში მხოლოდ ნორმირებული ნათესაური ურთიერთობები აისახება, ნორმიდან გადახვევები კი - არა.

დანარჩენი სტრუქტურული თავისებურებების სოციალური საფუძვლების გამოძებნა ჯერჯერობით რთულდება შესაბამისი მასალების უქონლობის გამო. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ ეს კატეგორიები წარმოქმნილი უნდა იყოს პირდაპირი ხაზის, აგნატური ნათესაობის, მამრობითი სქესის ნათესავების უპირატესობით უფლებრივ - ქონებრივ ასპექტში და ერთი თაობის წევრთა მსგავსებით ამავე ასპექტში. მომავალი კვლევა, იმედია, მეტ სიცხადეს შეიტანს ხსენებულ საკითხში.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია გვერდით ნათესავთა სქესობრივი გამიჯვნა, რომელიც უფრო მეტი რაოდენობის ნათესავს მოიცავდა, ვიდრე XIX-XX სს-ის მთიულეთსა და გუდამაყარში გავრცელებულ ნათესაობის ტერმინოლოგიაში. ვფიქრობთ, რომ ეს ვითარება შეესაბამება ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ განვითარების პროცესში ნათესაობის სოციალური ორგანიზმი შეიცავს სულ უფრო ნაკლები რაოდენობის რეალურ კავშირებს საზოგადოებრივი ურთიერთობების საერთო სისტემასთან შედარებით [3.56, გვ.44].

ამრიგად, განხილული მასალა საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ V-X სს-ის საკვლევ კუთხეებში არსებობდა ძირითადად იგივე სტრუქტურული საფუძვლების მქონე ნათესაობის ტერმინოლოგია, როგორიც ჩვენ დავაფიქსირეთ XIX-XX სს-ის მიჯნაზე. ეს განცხადება შორსაა მტკიცებისაგან, რომ ამ ორ პერიოდში ერთმანეთის იდენტურ სისტემებთან გვაქვს საქმე, რადგანაც V-X სს. აღტერების სქესობრივი დიფერენციაცია 0 და -1 თაობებში უფრო ფართო იყო. მომავალი კვლევა საშუალებას მოგვცემს სრულად წარმოვაჩინოთ ამ პერიოდის აღმოსავლეთ საქართველოში არსებული ნათესაური ურთიერთობები, რაც უკეთ გამოავლენს მთელი სისტემის არსს და XIX-XX სს-ის მიჯნაზე არსებულ სისტემასთან უფრო სრული და მრავალმხრივი შედარების საშუალებას მოგვცემს. ყოველივე ეს კი, საქართველოს სხვა კუთხეებში ძველად და ახლა არსებული ნათესაობის სისტემებისათვის დამახასიათებელი ნიშნების გამოვლენის შემდეგ, უძველესი საერთოქართული ნათესაობის სისტემის რეკონსტრუქციის საშუალებას მოგვცემს.

## დ ა ს კ ვ ნ ა

ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა ნათესაობის სისტემის თავისებურებანი მთიულეთსა და გუდამაყარში.

კომპონენტური ანალიზის საშუალებით დადგინდა ტერმინოლოგიისათვის დამახასიათებელი შემდეგი სტრუქტურული პრინციპები:

1. ერთმანეთისაგანაა გამიჯნული სისხლით და მოკეთეობრივი ნათესაობა.

2. ყოველ თაობაში, +2-ის გარდა, პირდაპირი ხაზის სისხლით ნათესავები გამიჯნული არიან გვერდითი ხაზის ნათესავებისაგან.

3. ალტერების სქესობრივი დიფერენციაცია არის ნაწილობრივი. ის სრულადაა დაცული აღმავალ თაობებში და ნაწილობრივ - ნულოვანსა და პირველ დაღმავალ თაობებში. ამ უკანასკნელ ორ თაობაში სისხლით ნათესავები მკაფიოდ გაიმიჯნებიან დამაკავშირებელი ნათესავის სქესის მიხედვით. -2 თაობაში ალტერისა და დამაკავშირებელი ნათესავის სქესი ნეიტრალურია.

4. დაცულია სისხლით ნათესაობის აღმნიშვნელი ტერმინების დაყოფა თაობების მიხედვით. თითქმის იგივე მდგომარეობაა მოკეთეობრივ ნომენკლატურაშიც. გამონაკლისს წარმოადგენენ ტერმინები "სიძე" და "რძალი", რომლებშიც აერთიანებენ 0 და -1 თაობების სისხლით ნათესავების მეუღლეებს.

5. +1, 0 და -1 თაობებში აგნატური ნათესაობა გამოყოფილია დედის მხრიდან და სხვა რიგის ნათესაობებისაგან.

6. კოლატერალური ნათესაობის სხვადასხვა ხაზები ძირითადად არ დიფერენცირდება ერთმანეთისაგან. გამონაკლისს წარმოადგენს 0 თაობაში პირველი ხარისხის გვერდითი ნათესაობის გამოყოფა უფრო დაშორებული კოლატერალური ნათესავებისაგან.

7. შედარებითი ასაკი არ აისახება სისხლით ნათესაობის ტერმინოლოგიაში.

8. 0 და -1 თაობების სისხლით ნათესავების მეუღლეებს თითო ტერმინი აღნიშნავს. მათ შორის განსხვავება მხოლოდ სქესშია.

9. მეუღლეთა და სისხლით ნათესავთა მეუღლეების აღმნიშვნელი ტერმინების სიგნიფიკატუმებში შედის კომპონენტი "სისხლითნათესაური კავშირების არარსებობა".

10. ქალი ნათესავების შთამომავალთა აღმნიშვნელი ტერმინების სიგნიფიკატუმების ერთ-ერთი კომპონენტია "მესამე გვარი".

გარდა ამ კატეგორიებისა, ნათესაობის ნომენკლატურის აგებულებას

მთიულეთსა და გუდამაყარში კარგად ახასიათებს თავად ტერმინების გავრცელების არეალი:

1. ინდივიდუალური ტერმინები ვრცელდება მხოლოდ ინდივიდუალური ოჯახის წევრ უახლოეს ნათესავებზე. გვერდითი ნათესაობის ამსახველი სისხლით ნათესაობის ტერმინები კი ვრცელდება მსგავსი ფორმალური ნიშნების მქონე ნათესავებზე, მშობლების მოგვარეებზე და ქალი მოგვარეების შვილებზედაც.

2. მეუღლეობის ამსახველ ტერმინებს ინდივიდუალური ხასიათი აქვთ.

3. ქმრის სისხლით ნათესაობის გამომხატველი ტერმინები ვრცელდება უფრო დაშორებულ შესაბამის მოკეთეებზედაც. ცოლის უახლოესი ნათესავების ამსახველ ტერმინებს კი ინდივიდუალური ხასიათი აქვთ.

კომპონენტური ანალიზის დროს ტერმინების გავრცელების არეალის გათვალისწინება მიუთითებს ანალიზის წარმოების ფარგლების გაფართოების შესაძლებლობაზე.

ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ მთიულეთ-გუდამაყრის ნათესაურ სტრუქტურაში გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა პატრილინეურ გვარს. ის წარმოადგენდა ერთი წინაპრის მამის ხაზით შთამომავალ პირთა გაერთიანებას, რომლის შემადგენლობაშიც პრინციპულად შესაძლებელი იყო უცხო პირების შესვლა მათ მიერ მოგვარის ყველა უფლება-მოვალეობის მიღების პირობით. გვარის წევრები ერთმანეთის ნათესავებად შეიმეცნებდნენ თავს რეალური გენეალოგიური კავშირებისაგან დამოუკიდებლად. გვარს ჰქონდა საკუთარი კულტი და საკუთარი სასაფლაო. ყოველივე ეს მიუთითებს გვარის იდეოლოგიურ სიმტკიცეზე, ხოლო ეგზოგამიის წესები კარგად უჩვენებს გვარის სოციალურ მნიშვნელობას, რადგანაც ამ წესების გამო პოტენციალური მეუღლეების წრიდან ავტომატურად გამოირიცხებოდნენ მოგვარეები.

გვარის საერთო საკუთრებისა და მის წევრებს შორის ყოველგვარი უფლებრივ-ქონებრივი ურთიერთობების არარსებობა მიუთითებს იმაზე, რომ XIX-XX სს-ის მიჯნის მთიულეთსა და გუდამაყარში ჩვენ საქმე გვაქვს განვითარების ბოლო საფეხურზე მყოფ პატრილინეურ გვართან.

გვარის თავისებურებათა გამოვლენის შემდეგ დადგინდა უახლოეს აგნატ ნათესავებს შორის არსებული სოციალური ურთიერთობებისათვის დამახასიათებელი შემდეგი ნიშნები:

1. უახლოესი ნათესავი უფლებრივ-ქონებრივ ასპექტში არის მამა.

2. ზევრად ნაკლები მნიშვნელობა აქვთ უახლოეს გვერდით ნათესავებს - ძმას, ბიძას, ბიძაშვილს. მათი გარკვეული მნიშვნელობა ჩანს მხოლოდ მამულის პოტენციალურ მემკვიდრეობაში, ეჯიბის უახლოესი განაყრების წრიდან არჩევის ვალდებულებასა და ობლის გაზრდაში. პირველი თავისებურება დამახასიათებელი იყო XVIII ს-ის მთიულეთისა და გუდამაყრისათვის, ხოლო დანარჩენების ტრადიციულობაზე საუბარი რთულდება შესაბამისი საისტორიო წყაროების უქონლობის გამო.

3. უახლოესი განაყრების საერთო საკუთრების არსებობა არაა აუცილებელი მოვლენა. არსებობის შემთხვევაში კი მას აქვს ძალიან მცირე ღირებულება. ასეთი საერთო საკუთრების მორიგეობით მოხმარების წესი გამორიცხავს განაყრების ნორმირებულ სამეურნეო ერთიანობას. მათ არ ევალებათ საქონლის ერთობლივი მწყემსვა და უპირატესი დახმარების გაწევა. არაა აუცილებელი განაყრების ერთმანეთის გვერდით ცხოვრება. ქორწილისა და ხარჯის დროს არსებულ მატერიალურ შეწევნაში არ ჩანს მათი ნორმირებულად მეტი როლი დანარჩენ, უფრო დაშორებულ აგნატებთან შედარებით. ქორწინების ორგანიზაციაში კი მათი როლი, მაქსიმუმ, მრჩეველის სტატუსით შემოიფარგლება.

4. უახლოეს განაყრებს არა აქვთ საკუთარი რელიგიური დღესასწაული. მათი საერთო სახელის არსებობა არაა დაკავშირებული იდეოლოგიურ ერთიანობასთან. გარკვეული ერთიანობის რწმენა ჩანს მხოლოდ საერთო საგვარეულო სასაფლაოზე ერთ რიგად დაკრძალვის წესში, მაგრამ რეალურ ცხოვრებაში, უფლებრივ-ქონებრივ ასპექტში, ეს გრძნობა ნაკლებ ასახვას პოულობს.

გარდა ამ თავისებურებებისა, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მთიულეთსა და გუდამაყარში ოჯახის გაბატონებულ ფორმას წარმოადგენდა ინდივიდუალური ოჯახი, ხოლო დიდი ოჯახი შემორჩენილი იყო გადმონაშთის სახით. ქორწინებას მონოგამიური ფორმა ჰქონდა.

საბჭოთა ეთნოგრაფიაში მიღებული აზრის მიხედვით, დიდი ოჯახის ზრდისა და სეგმენტაციის შედეგად იქმნება პატრონიმია - ისტორიულად საზოგადოებრივი ფორმა, დამახასიათებელი პატრიარქალურ-გვაროვნული წყობი-სათვის. ის წარმოადგენს დიდი ან პატარა ოჯახების ჯგუფს, რომელიც, ამა თუ იმ ფორმით, ინარჩუნებს სამეურნეო, საზოგადოებრივ და იდეოლოგიურ ერთიანობას და ატარებს პატრონიმიულ სახელს, რომელიც გაყრილი ოჯახის საკუთარი სახელის მიხედვით იქმნება [2.50, გვ.97].

პატრონიმიასთან დაკავშირებული ზოგიერთი თეორიული საკითხი შემდგომ დამუშავებას მოითხოვს, რაშიც გარკვეული წვლილი შეაქვს მთიულეთისა და გუდამაყრის ეთნოგრაფიულ მასალას.

ამ მონაცემების მიხედვით, საკვლევ კუთხეებში გამოიყოფოდა დიდი ოჯახის ერთხელ გაყრით მიღებული ოჯახების ერთობლიობა, უახლოესი განაყრობა, რომლის გარკვეულ სოციალურ მნიშვნელობას განაპირობებდა უმემკვიდრეოდ დარჩენილი მამულის პოტენციალური მემკვიდრეობა უახლოესი განაყრების წრეში, მათ მიერ ობლის გაზრდა და ამ წრიდან ეჯიბის არჩევის ვალდებულება. პირველი ორი ვალდებულების არამყარი და პოტენციალური ხასიათი და ეჯიბის არცთუ დიდი მნიშვნელობა ქორწილში კარგად მიუთითებს უახლოესი განაყრების წრის მცირე სოციალურ მნიშვნელობაზე საკვლევ კუთხეებში.

პატრონიმია წარმოადგენს უახლოესი განაყრობის წრეზე უფრო ფართო გაერთიანებასაც. მთიულეთსა და გუდამაყარში დაფიქსირდა სწორედ ასეთი გაერთიანებები – განაყრობები, რომელთაც არ გააჩნდათ ერთიანობის ის მცირე ნიშნებიც კი, რაც ჰქონდათ უახლოეს განაყრობებს. მათ, ფაქტიურად, არ გააჩნდათ საერთო საკუთრება. მისი არსებობის უიშვიათეს შემთხვევაში კი საკუთრების წარმოშობა არ წარმოადგენდა აუცილებელ მოვლენას.

განაყრობებს არავითარი დამოუკიდებელი სოციალური ფუნქცია არ ჰქონდათ. ასეთი დასკვნის გამოტანის საშუალებას გვაძლევს პატრონიმიისა და გვარის ნიშნების ერთმანეთთან შედარება, საიდანაც ჩანს, რომ გვარისთვის დამახასიათებელი ნიშნებიდან ზოგი პატრონიმიასაც აქვს, ზოგი კი საერთოდ არ გააჩნია, ხოლო თვით პატრონიმიას არ აქვს არც ერთი ის ფუნქცია, რაც არა აქვს გვარსაც. ამიტომაც მიზანშეწონილია დამოუკიდებელი სოციალური ფუნქციების არმქონე პატრონიმიის სახელდება გენეალოგიად. აქვე მივუთითებთ, რომ პატრონიმიის როლის გამოსავლენად საჭიროა მისი შედარება ნათესაობის სტრუქტურის ყველა ელემენტთან. მაგრამ ჩვენი მიდგომა განპირობებულია იმ უდავო ჭეშმარიტებით, რომ პატრონიმიას აპრიორი არ შეიძლება ჰქონდეს რეალური ნიშნები ოჯახის ფუნქციების მიმართ.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ცხადი ხდება, რომ მთიულეთისა და გუდამაყრის ნათესაურ-სოციალურ სტრუქტურაში გამოიყოფოდა გვარი, როგორც ქორწინების მარეგულირებელი, საერთო კულტის მქონე იდეოლოგიური ერთიანობის რწმენით შეკავშირებული პირების გაერთიანება, უახლოესი განაყრების წრე, რომლის ფუნქციები ძირითადად თეორიულ ვითარებასთან იყო დაკავშირებული, სოციალურ-ნათესაური სტრუქტურის ძირითადი უჯრედი – ინდივიდუალური ოჯახი და გადმონაშთის ფორმით შემონახული დიდი ოჯახი, რომელთათვისაც დამახასიათებელი ქონების გაყოფის წესი არეგულირებდა მემკვიდრეობით ურთიერთობებს, და გენეალოგიები, რომელთაც არ ჰქონდათ დამოუკიდებელი სოციალური ფუნქცია.

საინტერესო სურათს იძლევა დედის მხრიდან ნათესავებს შორის არსებული სოციალური ურთიერთობების განხილვა.

როგორც ეთნოგრაფიული მასალებიდან ჩანს, გარკვეული სოციალური მნიშვნელობა ეგოსთვის ჰქონდათ მხოლოდ დედას და დედის ძმას. მათგან უფრო ახლობელი იყო დედა, რადგან მას მეტი სოციალური ფუნქციები ჰქონდა, ვიდრე დედის ძმას. ეს ფუნქციები გამოიხატებოდა შვილების აღზრდაში, ქალიშვილისადმი ქონების გადაცემაში, შვილის ქორწინების ორგანიზაციაში. დედის ძმის უმნიშვნელო როლი კი შემოიფარგლებოდა მაქსიმუმ მრჩეველის სტატუსით დის ქალიშვილის გათხოვებაში.

აგნატური და დედის მხრიდან ნათესაობისათვის დამახასიათებელი თავისებურებების გამოვლენა მათი შედარების საშუალებას იძლევა, რის შედეგადაც ირკვევა, რომ აგნატური ნათესაობა ბევრად უფრო დაწინაუ-

რებული იყო უფლებრივ-ქონებრივ ასპექტში, ვიდრე დედის მხრიდან ნათესაობა.

ნათესაური ურთიერთობების სრული სახით წარმოსადგენად აუცილებელია ხელოვნური ნათესაობის განხილვაც. ეთნოგრაფიული მასალების ანალიზი საშუალებას გვაძლევს მთიულეთსა და გუდამაყარში ხელოვნური ნათესაობის ორი ტიპი გამოვავლინოთ:

1. ნათესაობა, რომლის საშუალებითაც გარკვეულ ნათესაურ სტატუსს სრული სახით იღებს ის პირი, რომელსაც ადრე არავითარი კავშირი არ ჰქონდა ამ სტატუსთან. ასეთ შემთხვევათა რიცხვს განეკუთვნება გვარში უცხო პირის მიღება და შვილად აყვანა.

2. ნათესაობა, რომელზედაც ვრცელდება სისხლით ნათესაობისათვის დამახასიათებელი მხოლოდ ზოგიერთი პრინციპი, კონკრეტულად კი ეგზოგამია, რომელიც ხელოვნურად დანათესავებული პირების შთამომავალთაც უკრძალავს გარკვეული პერიოდის მანძილზე ქორწინებას. ასეთი ურთიერთობების რიცხვს მიეკუთვნება ძმადგაფიცვა, დადგაფიცვა, და-ძმად გაფიცვა და მონათვლით შექმნილი ურთიერთობა.

მთიულეთისა და გუდამაყრის ნათესაობის ტერმინოლოგიისა და ნათესავებს შორის არსებული სოციალური ურთიერთობების ხასიათის გამოვლენის შემდეგ შესაძლებელი ხდება ტერმინოლოგიური თავისებურებების გამომწვევი შემდეგი სოციალური ინსტიტუტების დადგენა:

1. ოჯახის გაბატონებულ ფორმად ინდივიდუალური ოჯახის არსებობა.

2. ქორწინების პრინციპები: ა. მონოგამიური ქორწინების არსებობა; ბ. ნათესაური ეგზოგამია, რომელიც მშობლების მოგვარეებზედაც ვრცელდება.

3. პირდაპირი ხაზის ნათესავების უპირატესობა კოლატერალურთან შედარებით უფლებრივ-ქონებრივ ასპექტში +1 და -1 თაობებში. მათი მსგავსება იგივე ასპექტში +2 თაობაში.

4. სხვადასხვა ხარისხის გვერდითი ნათესავების მსგავსება უფლებრივ-ქონებრივ ასპექტში +1, -1 თაობებში. ნულოვან თაობაში ასეთი მსგავსება ახასიათებთ მეორე ხარისხისა და უფრო დაშორებულ გვერდით ნათესავებს.

5. აგნატი ნათესავების უპირატესობა უფლებრივ-ქონებრივ ასპექტში დედის მხრიდან ნათესაობასთან შედარებით.

6. ნათესაობის მამის ხაზით ათვლის არსებობა.

7. გვარის მიერ იდეოლოგიური ერთიანობის რწმენის შენარჩუნება, რაც, უკვე დასახელებული ეგზოგამიის გარდა, გამოიხატებოდა საერთო საგვარეულო კულტის არსებობაში.

8. მამაკაცების უპირატესობა უფლებრივ-ქონებრივ ასპექტში მათ დებთან შედარებით, გამოხატული +1 თაობაში სრულად, ნულოვან და -1 თაობებში კი – ნაწილობრივ.

9. ორივე სქესის ნათესავების მსგავსება უფლებრივ-ქონებრივ ასპექ-

ტში, გამოხატული ნულოვან და +1 თაობებში ნაწილობრივ და -2 თაობაში - სრულად.

10. საოჯახო ქონების ვაჟიშვილებზე თანაბრად განაწილების პრინციპები, რაც დამახასიათებელი იყო ინდივიდუალური ოჯახისათვის და გადმონაშთის სახით შემონახული დიდი ოჯახისთვისაც.

11. საქორწინო დასახლების პატრილოკალური ხასიათი ახლო აგნატი ნათესავების ძირითადად ერთ სოფელში განსახლების პირობებში.

12. ერთი თაობის წევრებს შორის მსგავსება უფლებრივ-ქონებრივ ასპექტში, არსებული სრულად სისხლით ნათესაობაში და ნაწილობრივ - მოკეთეობრივში.

რეფერენტული ტერმინოლოგიის ანალიზმა გამოავლინა, რომ ნათესაობის ნომენკლატურაში გამოხატულია დიდი ოჯახის ერთი თავისებურება - ქონების მთამომავლებზე, ან მოწილეებზე თანაბრად გაყოფის წესი. სხვა ნათესაური გაერთიანებები კი - უახლოესი განაყრობები და გენეალოგიები - საერთოდ არაა ასახული ტერმინოლოგიაში. როგორც ჩანს, ნაკლები სოციალური მნიშვნელობის მქონე, ან დამოუკიდებელი სოციალური ფუნქციების არმქონე ნათესაური კოლექტივები ან მკრთალად აისახება, ან საერთოდ არ ტოვებს კვალს რეფერენტულ ტერმინოლოგიაში.

ტერმინოლოგიის სოციალური განპირობებულობის დადგენის შემდეგ შესაძლებელი გახდა ინდივიდუალური და კლასიფიკატორული ტერმინების თავისებურებათა გამოვლენა. აღმოჩნდა, რომ მთიულეთისა და გუდამაყრის ნათესაობის ტერმინოლოგიის დაყოფა ინდივიდუალურ და კლასიფიკატორულ ტერმინებად გამოწვეულია ტერმინოლოგიური თავისებურებების წარმომქმნელი სოციალური ინსტიტუტების არსებობით.

ნათესაობის სისტემის თავისებურებათა სრული სახით წარმოსაჩენად აუცილებელია მისი ტიპის განსაზღვრა.

საბჭოთა ეთნოგრაფიაში ამჟამად ყველაზე მიღებული და გავრცელებულია მ. ვ. კრიუკოვის მიერ შემოთავაზებული ტიპოლოგია, რომელსაც საფუძვლად უდევს ნათესავების პირდაპირ-გვერდითი ხაზებისა და მამისა და დედის მხრიდან ნათესავების შერწყმა-გამიჯვნის პრინციპები. ამ ტიპოლოგიის მიხედვით, მთიულეთისა და გუდამაყრის ნათესაობის სისტემა მიეკუთვნება არაბულ ტიპს, მაგრამ მთიულეთ-გუდამაყრისა და არაბთა საზოგადოებების სოციალურ სტრუქტურებს შორის არსებობს ძირეული განსხვავება - მთიულეთსა და გუდამაყარში არის უმკაცრესი ეგზოგამია, არაბებში კი დაშვებულია ქორწინება რეალურ და კლასიფიკატორულ მამის ძმის შვილებს შორის. ეს აისახება ტერმინოლოგიაში. პირველ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს სისხლით ნათესაობის და მოკეთეობრივი ტერმინოლოგიების სრული გამიჯვნა ერთმანეთისაგან, მეორე შემთხვევაში კი - ზოგიერთი მოკეთეობრივი და სისხლითნათესაობრივი ტერმინების ერთმანეთში შერწყმა. ცხადია, ეს

კრიტერიუმი გათვალისწინებული რომ ყოფილიყო ტიპოლოგიაში, მთიულეთ გუდამაყრის მოსახლეობასა და არაბებში გავრცელებული ტერმინოლოგიები ერთ ტიპში არ მოხვდებოდნენ. ამიტომ მომავალში ტიპოლოგიის საფუძვლად აუცილებელი გახდება სისხლითნათესაობრივი და მოკეთეობრივი ტერმინოლოგიების შერწყმა-გამიჯვნის პრინციპების გამოყენებაც.

მ. ვ. კრიუკოვი მიუთითებს, რომ ინგლისური ტიპის ტერმინოლოგიის წარმოშობა ემთხვევა ინდივიდუალური ოჯახის წარმოქმნას [2.51, გვ.283]. ჩვენი მასალის ანალიზის შედეგად კი დადგინდა, რომ ინდივიდუალური ოჯახის არსებობა მხოლოდ ინგლისური ტიპის ტერმინოლოგიას არ შეესაბამება და ასეთი ოჯახის არსებობის დასადასტურებლად საჭიროა მასში შემავალი ნათესავების ამსახველი ტერმინების ხასიათის გათვალისწინება.

ყოველივე ზემოთქმულის შედეგად ცხადია, რომ საბჭოთა ეთნოგრაფიაში მიღებულ ტიპოლოგიას დახვეწა სჭირდება, რაც ართულებს მთიულეთისა და გუდამაყრის ნათესაობის სისტემის მოთავსებას ამ ტიპოლოგიაში. მ. ჩლენოვი თვლის, რომ სხვადასხვა ტერმინოლოგიების სტრუქტურის წარმომქმნელი პრინციპების ერთმანეთთან შეჯერების შედეგად წარმოიქმნება იმ მკაცრად მეცნიერული ტიპოლოგიის შექმნის შესაძლებლობა, რომელიც აღარ იქნება დაფუძნებული ნებისმიერად ამორჩეულ ნიშნებზე [3.137, 168-169]. ვფიქრობთ, რომ ეს მართებული აზრია და მისმა განხორციელებამ მომავალში შესაძლოა კარგი შედეგები მოგვცეს.

მთიულეთისა და გუდამაყრის ნათესაობის სისტემის უკეთ შესწავლისათვის განხილულ იქნა ნათესაობის ტერმინების მორფოლოგიური სტრუქტურისა და მათი ლინგვისტურ-ისტორიული წარმომავლობის საკითხები. გამოირკვა, რომ:

1. მთიულეთისა და გუდამაყრის მოსახლეობის ნათესაობის აღმნიშვნელ ტერმინოლოგიაში გამოიყენება ძირითადად ქართული წარმოშობის ელემენტარული, შედგენილი და აღწერილობითი ტერმინები.

2. ყველაზე ადრეული წარმომავლობისაა უახლოესი სისხლით ნათესაობისა და მეუღლეობის ამსახველი ელემენტარული ტერმინები და შედგენილი ტერმინი "სიძე".

3. ნათესაობის ტერმინების უმრავლესობა კონსერვატული ხასიათისაა. ცვლილებები შეეხო მხოლოდ აღწერილობითი ხასიათის ზოგიერთ ტერმინს, რაც ზოგადად ამ ტიპის ტერმინების შედარებით ნაკლებ მდგრადობაზე მიუთითებს.

4. ყველა ელემენტარული ტერმინი უახლოეს ნათესაობას აღნიშნავს.

5. მოკეთეობრივი ტერმინოლოგია იქმნება სისხლით ნათესაობის აღმნიშვნელი ტერმინების, მეუღლეობის ამსახველი ტერმინის "ცოლი", მოკეთეობრივი ტერმინების - "მაზლი", "მული" და "სი", "მთილ" - კომპონენტების სხვადასხვა კომბინაციებით.

6. საკვლევი კუთხეების რეფერენტული ტერმინოლოგიის შემქმნელი

ტერმინებია: "დედა", "მამა", "ძმა", "და", "ცოლი", "წული", "შვილი", "მული", "მაზლი", და "სი", "მთილ" კომპონენტები.

ეს დასკვნები საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ განვითარების ის გზა, რაც გაიარა ნათესაობის ტერმინებმა. გარდა ამისა, ჩატარებული ანალიზი საშუალებას გვაძლევს წარმოვადგინოთ V-X სს.-ის აღმოსავლეთ საქართველოში არსებული ნათესაობის ტერმინოლოგია, რომლის კომპონენტური ანალიზი შემდეგ შედეგებს გვაძლევს:

1. პირდაპირი და გვერდითი ხაზების სისხლით ნათესავები გამიჯნული არიან ერთმანეთისაგან.

2. აგნატური ნათესაობა გამიჯნულია დედის მხრიდან ნათესაობისაგან.

3. ნათესავები თაობრივი ნიშნით გამიჯნული არიან ერთმანეთისაგან.

4. სისხლით ნათესავები გამიჯნული არიან მოკეთეობრივისაგან.

5. სქესობრივი ნიშანი თითქმის სრულადაა დიფერენცირებული ალტერებში.

6. ინდივიდუალური ოჯახის წევრების ამსახველ ტერმინებს ინდივიდუალური ხასიათი აქვთ.

7. დამაკავშირებელი ნათესავის სქესი ნაწილობრივ რელევანტურია.

ეს სტრუქტურული ნიშნები ამჟღავნებენ მსგავსებას იმ თავისებურებებთან, რაც ჰქონდა მთიულეთისა და გუდამაყრის მოსახლეობის ნათესაობის ტერმინოლოგიას XIX-XX სს.-ის მიჯნაზე. განსხვავება არის მხოლოდ სქესობრივი ნიშნის მიხედვით უფრო მეტი ნათესავის გამიჯვნაში, რაც დამახასიათებელია V-X სს-ის აღმოსავლეთ საქართველოს ნათესაობის აღმნიშვნელი ნომენკლატურისათვის. ეს ფაქტი უნდა მიუთითებდეს V-X სს. ეგოსთვის სოციალური მნიშვნელობის მქონე უფრო მეტი მამაკაცი ნათესავის არსებობაზე, რაც კარგად შეესაბამება სპეციალურ ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ განვითარების პროცესში ნათესაობის სოციალური ორგანიზმი შეიცავს სულ უფრო ნაკლები რაოდენობის რეალურ (ან პოტენციალურ) სოციალურ კავშირებს შეფარდებით საზოგადოებრივი ურთიერთობების მთელ საერთო სისტემასთან [3. 56, გვ. 44].

განხილულმა მასალამ, ვფიქრობ, კარგად უჩვენა ნათესაობის სისტემის არსი მთიულეთსა და გუდამაყარში, რაც, იმედია, თავის წვლილს შეიტანს მთიულეთისა და გუდამაყრის სოციალური სტრუქტურის სრული სახით წარმოჩენაში და მომავალში, საქართველოს სხვა კუთხეებში ძველად და ახლა არსებული ნათესაობის სისტემების გამოვლენის შემდეგ, ნათესაობის უძველესი საერთო ქართული სისტემის რეკონსტრუქციის შესაძლებლობას მოგვცემს.

## СИСТЕМА РОДСТВА В ГОРНОЙ ЧАСТИ ВОСТОЧНОЙ ГРУЗИИ

### (Мтиулети и Гудамакари)

Проведенное нами исследование выявило основные характерные черты системы родства Мтиулети и Гудамакари.

В результате компонентного анализа родственной терминологии Мтиулети и Гудамакари были выявлены следующие характерные ей черты:

1. Кровное родство разграничено от свойственного.

2. Во всех поколениях, кроме +2-го, кровные родственники прямой линии разграничены от боковых.

3. Половая дифференциация альтеров встречается полностью в восходящих поколениях и частично в нулевом и первом нисходящем поколениях. В этих последних двух поколениях родственники разграничены по полу связующего родственника. В +2-м поколении пол альтера и связующего родственника нейтрален.

